www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

ხუთშაბათი, 19 აგვისტო, 2004 წელი. №196 (745)

ფასი 50 თეთრი

© გაზეთი 24 საათი

# ხვალინდელი დილის შიშით



ძილი მხოლოდ დღისითაა შესაძლებელი.

მაია ურუშაძე

*"ნუ გადახვალთ დიდი ლიახვის ქართულ სოფლებში, საშიშია. ამაღამ შეიძლება სროლა ადრე დაიწყოს და იქ ჩარჩებით. აქ აღარავის აქვს იმის იმედი, რომ ოსები შეთანხმებას დაიცავენ," - გვაფრთხილებდნენ გუშინ შუადღისას ჯერ კიდევ ტყვიავის საგუშაგოსთან. მართლაც, გუშინ კონფლიქტის ზონაში სროლა საღამოს ექვსი საათისთვის დაიწყო. მოგვიანებით კი, საღამოს თერთმეტი საათისთვის, უკვე ცნობილი იყო - წუხანდელ ღამეს კიდევ ექვსი ქართველი ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა, რამდენიმე მებრძოლი კი მძიმედ დაიჭრა. ვანათი და თამარაშენი დაბომბილია. დამნაშავენი კი კვლავ "ფანტომები" არიან.*

## როგორი ჩანს ომი გარედან

კონფლიქტური ზონისთვის დამახასიათებელი დენთის სუნი ტყვიავის საგუშაგოდანვე იგრძნობა. ომის განწყობას ერგნეთის გზაზე გამოჭიმული რუსი სამშვიდობოების ტანკი კიდევ უფრო ამძაფრებს. ომის დაღი კი თითოეულ მებრძოლს ატყვია. უმაღლესი სტანდარტების მიხედვით გაწვრთნილი ბიჭების გარუჯული სახეებიდან ახალგაზრდული სიხალისე გამქრალია და მისი ადგილი კუშტ მზერას უჭირავს. არარსებული ფანტომების ტყვიებით გუშინ დაღუპული ბიჭების თანამებრძოლები დღეს პირქუში კაცები არიან. ომმა მათ სახეს წარუშლელი დაღი დაასვა.

**"ძნელია, უყურო, როგორ გიკლავენ თანამოძმეებს. წუხელ ორმეტრიანი ვაჟკაცი მოგვიკლეს თვალწინ. როდემდე უნდა ვუყუროთ, როგორ გვიკლავენ ბიჭებს,** - ჟურნალისტების დანახვაზე ემოციებს ვერ მალავენ ჯარისკაცები, **- მაგათაც ეგ უნდათ, ასე სათითაოდ ამოგვხოცონ და მერე ჩვენი მამაპაპის დანატოვარზე იბაირამონ."**

მიუხედავად საბრძოლო განწყობისა, ჯარისკაცები ბრძანების მოლოდინში მშვიდად სხედან და ელიან, რა მოხდება. ჯერჯერობით კი, აქ არაფერი ხდება, გარდა იმისა, რომ ხანდახან პოზიციებს ოფიციალური პირები სტუმრობენ. ღამ-ღამობით სასტიკი სროლა იწყება. დილაობით კი დაღუპულებსა და დაჭრილებს ითვლიან.

## ერედვი - მშვიდობის მოლოდინში

ერედვში გუშინ, ასე, შუადღისთვის ჩავედით. თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე და გენერალური შტაბის უფროსი გივი იუკურიძე შტაბში ერგნეთის უშედეგო მოლაპარაკებიდან ახალი დაბრუნებულები იყვნენ. ჯერჯერობით, ღიად იყო დარჩენილი საკითხი, თუ ვინ დადგება იმ სიმაღლეებზე, ვინ გააკონტროლებს იმ ადგილებს, საიდანაც ქართველებს ესვრიან.

**"კაცმა არ იცის, ამაღამ აქ რა ამბები დატრიალდება,"** - შიშობდნენ ადგილობრივები და როგორც კი იგებდნენ, რომ ჩვენ დიდი ლიახვის ხეობაში სტუმრობა გვქონდა განზრახული, საშიში ადგილებიდან თავის შორს დაჭერას გვირჩევდნენ.

ერედვში გავიგეთ, რომ დღეს კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების გარანტიას ვერავინ იძლევა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## "მესამე ძალაში" კაზაკები "ამოიცნეს"

ნინო გომართელი

თბილისში გამართული მრავალსაათიანი მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, სამხრეთ ოსეთში ქართული პოზიციების მიმართულებით მალევე განახლდა სროლა.

17 აგვისტოს, ღამით, სამაჩაბლოში კვლავ სროლები იყო, კვლავ გაურკვეველი იყო, ვინ წამოიწყო იგი, მაგრამ ცხინვალისა და თბილისის პოზიცია ერთიანია იმაში, რომ არსებობს რაღაც "მესამე ძალა", რომელიც უკონტროლოა.

არც კი ღირს იმაზე საუბარი, თუ ვის ინტერესებს ემსახურება აღნიშნული ძალა ან რეალურად არსებობს თუ არა იგი. თუმცა, ფაქტი ერთია - მთელი ღამის განმავლობაში ოსური მხარე ინტენსიურ ცეცხლს ხსნიდა რამდენიმე მხრიდან, სროლა წარმოებდა როგორც ავტომატური, ასევე მსხვილკალიბრიანი და მძიმე საბრძოლო ტექნიკიდან. შედეგად კი დაიღუპა კიდევ სამი ქართველი ჯარისკაცი და შვიდი დაიჭრა. საპასუხო ცეცხლი გახსნა ქართულმა მხარემაც, მაგრამ დე ფაქტო ხელისუფლება დაღუპულების ან დაჭრილების რაოდენობას არ ახმაურებს.

ოსური მხარე კატეგორიულად უარყოფს დიდი და პატარა ლიახვის ხეობის დამაკავშირებელ შემოვლით გზაზე მათი შეიარაღებული ფორმირებების მხრიდან ცეცხლის გახსნას და კვლავ აქცენტს "მესამე ძალაზე" აკეთებს, თუმცა საქართველოს თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე აბსოლუტურად გამორიცხავს ყოველგვარი მესამე ძალის არსებობას და ოსური მხარის ამ განცხადებას სრულიად აბსურდულს უწოდებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## პარლამენტის თავმჯდომარე ეუთო-ს მიმართავს

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის შემდეგ, ცხინვალის რეგიონში შექმნილი ვითარების შესახებ სპეციალურ განცხადებას უკვე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გააკეთებს. გუშინ, ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე, დახურულ კარს მიღმა, ნინო ბურჯანაძემ განცხადების ტექსტი პარლამენტარებს გააცნო.

სხდომა საკმაოდ დიდხანს მიმდინარეობდა. საბოლოოდ, გაირკვა, რომ პარლამენტის თავმჯდომარის მიმართვაში საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღება სწორედ იმ პრობლემებზე იქნება გამახვილებული, რაზეც განგაშის ზარი ორი დღის წინ საქართველოს პრეზიდენტმა შემოჰკრა. პირველ რიგში, ეს კონფლიქტის ზონაში ეუთო-ს მონიტორინგის გაძლიერებას, ამ ტერიტორიაზე მოქმედი სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციასა და რუსი სამშვიდობოების ქმედებების შეფასებას ეხება.

ამ ოფიციალური განცხადების ადრესატები ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა და ეუთო-ში შემავალი ქვეყნების პარლამენტები არიან. თუმცა, არ არის გამორიცხული, განცხადების ტექსტი ევროპის კავშირსაც გადაეგზავნოს. გუშინვე გაირკვა, რომ პარლამენტის თავმჯდომარე სპეციალური განცხადებით რუსეთის დუმასაც მიმართავს. ბუნებრივია, ამ მიმართვას გაცილებით კატეგორიული ტონი ექნება, ვიდრე ეუთო-სთვის გასაგზავნ ტექსტს.

**"იმ ვითარებაში, როცა ცხინვალის რეგიონში ვითარება უკიდურესად გამწვავდა, საკანონმდებლო ხელისუფლება ცდილობს, საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან კოორდინირებულად იმოქმედოს და მნიშვნელოვნად მიაჩნია, კონფლიქტის ზონაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, საერთაშორისო**

გაგრძელება A2 გვერდზე

### ეკონომიკა

## ნოვაცია ქართულ ტექნოლოგიაში



ქართულ-ებრაული თანამშრომლობის კიდევ ერთი წარმატებული შედეგი სახეზეა.

A4

### უცხოეთი

## უმაღლესი დონის შეხვედრები კურორტებზე



როგორც ჩანს, რუსეთისა და უკრაინის პრეზიდენტებს იმდენი სასაუბრო გაუჩნდათ, რომ ერთმანეთს ნორმალურად დასვენებასაც არ აცლიან.

A5

### საზოგადოება

## სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი რეფორმისთვის მზადაა

რამდენიმე თვის წინათ საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის ჩეხვაზე მორატორიუმი გამოცხადდა. ამ პერიოდში საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტში რეფორმის განსახორციელებლად სპეციალური პროექტი შეიმუშავეს.

A6

### სამართალი

## აბაშიძის დროინდელი ჩინოსნისთვის ქონების ჩამორთმევა გასაჩივრდება



აჭარის უზენაესი სასამართლოს სწორედ ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას გეგმავს კუპრეიშვილის ადვოკატი და დარწმუნებულია, რომ თუ სასამართლო კანონით იხელმძღვანელებს, გამარჯვება გარანტირებული აქვს.

A7

### ამინდი

| | 19/8 | 20/8 |
|---|---|---|
| თბილისი | 36 | 37 |
| ქუთაისი | 34 | 35 |
| ბათუმი | 27 | 29 |
| სოხუმი | 28 | 29 |
| ფოთი | 29 | 31 |
| თელავი | 34 | 35 |
| ზუგდიდი | 32 | 33 |
| გორი | 32 | 32 |
| ახმეტა | 35 | 35 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8200 |
| ევრო | 2.2410 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3204 |
| რუბლი | 0.0623 |

# 12 წლის შემდეგ

ის ტატამზე ჭიდაობდა, ჩვენ - ტრიბუნებზე

კახა ფარუაშვილი
*ათენიდან*

ზურაბ ზვიადაური ჩემპიონია! საქართველომ თორმეტი წლის შემდეგ პირველი, დამოუკიდებელი ოლიმპიური ოქრო მოიგო. ამ გამარჯვებისკენ ჩვენი ქვეყანა თანდათანობით, რუდუნებით მიდიოდა. ჯერ ფული გამოჩნდა, შემდეგ მსოფლიო ჩემპიონები - კურტანიძე, ასანიძე, კვირკველია; ბოლოს კი - ოლიმპიური ჩემპიონი. ასეა, იცვლება ქვეყანა და აშკარად უკეთესობისკენ მიდის. სპორტსაც დაეტყო ქართველის მარჯვენა და პირველი ოლიმპიური ოქროც მოვიგეთ.

გააკრა თუ არა ზვიადაურმა ჰიროში იზუმი ტატამზე, ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ჩემპიონს

გაგრძელება B4 გვერდზე



ზვიადაური გამარჯვებულის კვარცხლბეკზე.

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 გამოხმაურება

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 მეცნიერება და ტექნიკა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## ევროკავშირი საქართველოს წინადადებას ყურადღებით შეისწავლის

გუშინ ევროპის კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციამ ცნობად მიიღო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის წინადადება, ქართულ-ოსური კონფლიქტის თაობაზე საერთაშორისო კონფერენციის გამართვის შესახებ. აღნიშნული ორგანიზაცია ამ წინადადებას ყურადღებით შეისწავლის.

როგორც ევროკავშირის წარმომადგენელმა ეუთოს მუდმივი საბჭოს სხდომაზე, ვენაში განაცხადა, ევროპის კავშირი უკიდურესად არის შეშფოთებული ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განვითარებული მოვლენების გამო. მან სინანული გამოთქვა იმის თაობაზე, რომ კონფლიქტის ზონაში იღუპებიან ადამიანები, რაც ქართულ და ოსურ მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული შეთანხმების დარღვევამ გამოიწვია.

მან კონფლიქტის მხარეებს მოუწოდა, ძალისხმევის მაქსიმუმი გაიღონ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 13 აგვისტოს მიღწეული შეთანხმების დასაცავად.

მისი აზრით, ეუთოს პირველადი პასუხისმგებლობა ეკისრება ამ კონფლიქტის განვითარებაზე.

ევროკავშირის წარმომადგენელმა ეუთო-ს მოქმედ თავმჯდომარეს, სოლომონ პასის მოუწოდა, რაც შეიძლება სწრაფად ჩავიდეს ამ რეგიონში, რათა დაადასტუროს ამ საერთაშორისო ორგანიზაციის დაინტერესება ცეცხლის შეწყვეტით, რათა მხარეების მიერ კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების გზებზე მუშაობა შესაძლებელი გახდეს.

*პრაიმ-ნიუსი*

## საქართველო რუსეთისგან განმარტებას მოითხოვს

საქართველომ გუშინ რუსეთისაგან მოითხოვა ამომწურავი განმარტებები და შესაბამისი ზომების მიღება ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე რუსეთიდან შემოსული კაზაკების საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობის საკითხებზე.

საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი გიორგი ჩხეიძე შეხვდა საქართველოში რუსეთის ფედერაციის საელჩოს დესპანს, ვიქტორ რინზას, რომლის მოწვევის მიზეზი გახდა კაზაკი და ჩრდილო-კავკასიელი მებრძოლების მიერ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაკეთებული განცხადებები.

კერძოდ, "ნეზავისიმაია გაზეტაში" კაზაკთა ატამანი, ნიკოლაი კოზიცინი დაუფარავად საუბრობს მათ უშუალო მონაწილეობაზე ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში. ქართული მხარის განცხადებით, რუსეთის ფედერაცია პასუხისმგებელია მისი ყველა მოქალაქის იმ უკანონო ქმედებებზე, რაც სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ არის მიმართული.

*პრაიმ-ნიუსი*

## საქართველოში რუსეთის აღარ სჯერათ

საქართველოში რუსეთის საელჩოსთან ორი დღეა მიმდინარეობს ინტერნეტ-ფორუმის აქცია, რომლის მონაწილეები გმობენ რუსეთის ორმაგ პოლიტიკას და ცხინვალის რეგიონიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანას ითხოვენ. მათ მიერ რუსეთის ელჩის სახელზე მომზადებულ პეტიციაში ნათქვამია:

"ჩვენ შევიკრიბეთ, რათა დავიცვათ ჩვენი უფლება, უფლება იმისა, რომ ვიყოთ თავისუფალნი. ჩვენ გვამოძრავებს ერთადერთი მიზანი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა. რუსეთის სამშვიდობო ჯარებისთვის მანდატის გაცემა და შემდგომში გაგრძელება მუდამ განიხილებოდა როგორც იმედი, იმედი იმისა, რომ მათი დახმარებით ჩვენ ამ მიზანს მივაღწევდით. ჩვენ დავივიწყეთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მწარე ისტორიული გამოცდილება და კიდევ ერთხელ ვანდეთ მას მთელი ერის ბედი. მაგრამ, სამწუხაროდ, ქვეყანამ, რომელიც საკუთარ თავს საქართველოს მეგობარს და კეთილისმსურველს უწოდებს, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ნდობა ვერ გაამართლა.

მაშინ, როდესაც რუსეთის ფედერაციამ საკუთარ თავზე აიღო ვალდებულება, შეასრულოს შუამავლის როლი, ხელი შეუწყოს კონფლიქტის მოლაპარაკების გზით მოგვარებას და საკუთარი შეიარაღებული სამშვიდობო კონტინგენტის გამოყენებით უზრუნველყოს მოსახლეობის მშვიდობიანი და უსაფრთხო ცხოვრება დაპირისპირების ზონაში, დღემდე არა მარტო ვერ მოახერხა კონფლიქტის გადაწყვეტა, არამედ ხსენებული სამშვიდობო კონტინგენტის თანდასწრებით და ხელშეწყობით იბომბება ქართული სოფლები, სუფევს განუკითხაობა. იღუპება მშვიდობიანი მოსახლეობა, ქალები და ბავშვები, რაც უმეტეს შემთხვევაში ეთნოწმენდის და გენოციდის ნიშნებს ატარებს.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ რუსეთი, როგორც მესამე, მომრიგებელი მხარის ოფიციალური სტატუსის მატარებელი სუბიექტი, არ არის დაინტერესებული კონფლიქტის მოგვარებით და მისი შეიარაღებული ე.წ. სამშვიდობო ძალები ემსახურებიან სეპარატისტული რეჟიმის განმტკიცებას და რეგიონში რუსული რეაქციონისტული ძალების ინტერესების გატარებას.

ბ-ნ ელჩო, ჩვენ, ქართული საზოგადოების და ახალგაზრდობის წარმომადგენლებს, აღარ გვაინტერესებს რუსეთის ხელისუფლების და სამშვიდობო ჯარების მიერ მოყვანილი არგუმენტები. ჩვენ უბრალოდ და გასაგებად ვითხოვთ რუს ე.წ. მშვიდობისმყოფელთა საქართველოს კონსტიტუციური ტერიტორიიდან გაყვანას. მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, უფლებას ვიტოვებთ, მომავალში იგნორირება გავუკეთოთ რუსეთის ხელისუფლების მიერ მოცემულ ყველა დაპირებას იმის შესახებ, რომ სამშვიდობო ჯარების მოქმედების ხარისხი გაუმჯობესდება".

*მედია-ნიუსი*

## გია ჭანტურიას იუბილე



19 აგვისტო გიორგი ჭანტურიას დაბადების დღეა - 45 წლის იუბილე.

გია ჭანტურია - სულით ხორცამდე ქართველი, მართლმადიდებელი, ეროვნულ-დემოკრატი, ილიას საუკუნოვანი საქმის ღირსეული გამგრძელებელი.

მისთვის პოლიტიკა ადამიანთა ზნეობის, ერთგულების, მეგობრობის ყველაზე დიდი საკრებულო იყო.

"ჩემთვის საქართველო მომავალია, წინ გახედვა და პროგრესისათვის ბრძოლაა".

"ვაი, მას, ვისთვისაც სამშობლოს სიყვარული მხოლოდ ნილაბია. ასეთებს ერი უმალვე ივიწყებს და ისტორია თავადვე ანადგურებს," - ამბობდა გია.

ეროვნული და დემოკრატიული საქართველოს იდეა, რომელსაც მსხვერპლად შეეწირა გიორგი ჭანტურია, მავანთათვის შესაძლოა წარსული იყოს, მაგრამ ეს ის მომავალია, რომელზედაც ახალი თაობები აღიზრდებიან.

*ეროვნულ-დემოკრატიული პარტია*

## "მესამე ძალაში" კაზაკები "ამოიცნეს"

პირველი გვერდიდან

ქართველ და ოს ძალოვან მინისტრებს შორის გუშინ ერგნეთში მოლაპარაკება გაიმართა. ერგნეთის საგუშაგოსთან არსებულ შენობაში ერთმანეთს საქართველოს თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე, გენერალური შტაბის უფროსი გივი იუკურიძე და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების თავდაცვის მინისტრი ანატოლი ვარანკევიჩი შეხვდნენ.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*გივი იუკურიძე მიიჩნევს, რომ უშედეგო შეხვედრა ვითარებას კიდევ უფრო ამძაფრებს.*

მოლაპარაკებები, რომელიც საათნახევრის განმავლობაში დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, უშედეგო აღმოჩნდა. შეხვედრიდან გამოსული საქართველოს თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე საკმაოდ გაღიზიანებული ჩანდა და მან ერგნეთი კომენტარის გარეშე დატოვა.

ერთადერთი კომენტარი ქართული მხრიდან გენერალური შტაბის უფროსმა გივი იუკურიძემ გააკეთა, რომელმაც განაცხადა, რომ ოსური მხარე კვლავ საუბრობს ეგრეთ წოდებულ "მესამე ძალაზე", თუმცა, ამავე დროს კატეგორიული წინააღმდეგია, გაიზიაროს ქართული მხარის წინადადება და მათი ლიკვიდირება ერთობლივად მოხდეს.

**"დე ფაქტო სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს თავდაცვის უწყების ხელმძღვანელებს შორის შეხვედრას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. არ არის გამორიცხული, რომ მოვლენები გასული დღეების მსგავსად განვითარდეს, ანუ შებინდების შემდეგ ოსურმა მხარემ ცეცხლი გახსნას,"** - აღნიშნა იუკურიძემ.

მეტად შედეგიანი აღმოჩნდა გუშინვე ცხინვალში გამართული მორიგი ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის შეხვედრა, რომელსაც, წესისამებრ, ესწრებოდა საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხში გოგა ხაინდრავა.

შეხვედრაზე დადებითად გადაწყდა ედუარდ კოკოითისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას შეხვედრის საკითხი.

ამასთანავე, შერეულ საკონტროლო კომისიის სხდომაზე გადაწყდა, რომ ოსური მხარე ცხინვალის ციხეში მყოფ სამ ქართველ სამხედროს - კობალაძეს, სურმავასა და დურგლიშვილს გაათავისუფლებს.

ასევე ცნობილი გახდა, რომ ქართულმა მხარემ ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებას გადასცა ვინმე გაგლოევი, რომელიც დაახლოებით ორი კვირის წინ საბრძოლო ჭურვების კონფლიქტის ზონაში შეტანის ბრალდებით იყო დაკავებული.

ცხინვალში ჩატარებული შერეული სამშვიდობო კომისიის სხდომის შემდეგ ოსი სეპარატისტების ლიდერმა ედუარდ კოკოითმა განაცხადა, რომ იგი ცეცხლის გაუხსნელობის გარანტიას იძლევა, თუმცა ქართული მხარისგანაც იგივეს ითხოვს.

**"ოსური მხარე გულახდილი დიალოგისთვის მზად არის. ჩვენ ყველა საარტილერიო დანადგარი გავიყვანეთ პოზიციებიდან, ახლა ჯერი ქართველებზეა,"** - აცხადებს კოკოითი, რომლის თქმითაც, სამშვიდობო მოლაპარაკებებს ალტერნატივა არ აქვს. მოლაპარაკებების გაგრძელებას, რასაკვირველია, მხარს უჭერს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტის საკითხებში გოგა ხაინდრავა.

მისი თქმით, რამდენად პროდუქტიული იყო დღევანდელი მოლაპარაკებები, ეს ღამით გამოჩნდება, როცა ტრადიციულად საბრძოლო მოქმედებების განახლება ხდება.

გუშინ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა საქართველოში, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში არსებული მდგომარეობა განიხილეს.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის ადამ ერელის თქმით, აშშ, ისევე, როგორც რუსეთი, ყველა ღონეს ხმარობს, რათა პოლიტიკური დიალოგით მიაღწიოს სამაჩაბლოში შექმნილი მდგომარეობის დარეგულირებას. ვაშინგტონს ამ საკითხებთან დაკავშირებით დიპლომატიური კონტაქტები აქვს მოსკოვთან და თბილისთან.

რუსეთის საგარეო უწყების წარმომადგენლებმა ორი მინისტრის სატელეფონო საუბრის შემდეგ გაავრცელეს ინფორმაცია, რომ კოლინ პაუელმა მხარი დაუჭირა რუსეთის მიდგომას ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შექმნილი ვითარების დარეგულირებასთან დაკავშირებით.

ქართული და ოსური მხარეების მიერ გაკეთებულმა განცხადებამ "მესამე ძალის" არსებობის შესახებ რუსული მედიის დიდი ინტერესი გამოიწვია.

"ნეზავისიმაია გაზეტამ" გუშინ სტატია გამოაქვეყნა, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში "მესამე ძალას" რუსი კაზაკები წარმოადგენენ.

გაზეთი აქვეყნებს ინტერვიუს დონის კაზაკთა უმაღლესი შეიარაღებული ძალების მეთაურთან ნიკოლაი კოზიცინთან, რომელიც სამაჩაბლოში კაზაკების ყოფნას არ უარყოფს.

"ჩვენი ხალხი ყველგანაა," - აცხადებს კაზაკთა გენერალი, თუმცა, "სამხედრო საიდუმლოებიდან" გამომდინარე, მათი რაოდენობის დასახელებისგან თავს იკავებს.

კოზიცინის თქმით, "ცხელ წერტილში" დონიდან ჩასული კაზაკები, ძირითადად, ექიმები და იურისტები არიან. მათგან უკანასკნელნი სწორ შეფასებას გაუკეთებენ "საქართველოს შეჭრას ოსეთის ტერიტორიაზე", ექიმები კი, სისხლისღვრის შემთხვევაში, დაზარალებულებს სამედიცინო დახმარებას აღმოუჩენენ.

**"ჩვენ არ გვყავს დაქირავებულები, ყველაფერი კეთილ ნებაზეა დამოკიდებული და ჩვენ მშვიდად არასოდეს შევხედავთ იმას, თუ როგორ ჩაგრავენ პატარა ერებს. კაზაკები არ შევიწიღბებით, ჩვენ ღიად წავალთ, ამას ვერავინ დაგვიშლის და პროფესიონალურად დავიცავთ ჩვენს ძმებს - ოსებს,"** - მტკიცედ აცხადებს კაზაკთა გენერალი.

## პარლამენტის თავმჯდომარე ეუთო-ს მიმართავს

პირველი გვერდიდან

**თანამეგობრობის ინფორმირება, რათა საქართველო არ აღმოჩნდეს საომარ მოქმედებებში ჩათრეული,"** - განაცხადა სხდომის დასრულების შემდეგ ნინო ბურჯანაძემ. მისივე თქმით, მიმართვა ადრესატებს, სავარაუდოდ, დღეს მიუვათ.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ნინო ბურჯანაძემ და პარლამენტის ბიურომ მიმართვების ტექსტები შეიმუშავეს.*

როგორც ჩვენთან საუბარში პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე გაბაშვილმა განაცხადა, პარლამენტის ბიუროზე შემუშავებული მიმართვა საქართველოს პრეზიდენტის მიერ მსოფლიოს ქვეყნების პრეზიდენტებისადმი გაგზავნილ წერილს ეხმიანება. მისივე თქმით, დაგეგმილია ნინო ბურჯანაძის სატელეფონო საუბარი რუსეთის სათათბიროს ქვედა პალატის თავმჯდომარესთან ბორის გრიზლოვთან და ზედა პალატის თავმჯდომარესთან სერგეი მირონოვთან, რომლის შემდეგაც ქართული მხარე რუსეთის სათათბიროსადმი გასაგზავნ წერილზე მუშაობას გააგრძელებს.

საგულისხმოა, რომ გუშინ ნინო ბურჯანაძე გამოეხმაურა რუსეთის პრეზიდენტის განცხადებას, რომელმაც 90-იან წლებში საქართველოში დაწყებული ეთნოკონფლიქტები ქართული მხარის მიერ ჩადენილ სისულელედ მონათლა. **"მე არ მინდა, რუსეთის პრეზიდენტს იმავე ტონალობით ვუპასუხო, რა ტონალობითაც მან ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით თავისი დამოკიდებულება გამოხატა, მაგრამ ფაქტია, რომ სულელურ გადაწყვეტილებებს უფრო ხშირად ის საკანონმდებლო ორგანო იღებს, რომლის უმრავლესობა სწორედ პუტინის მხარდამჭერია. იმ ფონზე, როდესაც სრულიად ნათელია ცხინვალის რეგიონში რუსეთის არაკონსტრუქციული მოქმედება, შესაძლოა, პუტინის ჩამოსვლას აზრი მართლაც არ ჰქონდეს,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ, რომელიც მანამდე იმედოვნებდა, რომ ვლადიმირ პუტინი, **"რომელიც ყოველთვის კონსტრუქციულობას იჩენდა საქართველოსთან ურთიერთობების მოგვარების საკითხებში, უფრო დეტალურად გაეცნობოდა ცხინვალის რეგიონში შექმნილ ვითარებას და უფრო გონივრულ განცხადებებს გააკეთებდა".**

დაბოლოს: იმის მიუხედავად, რომ გუშინ დეპუტატები საკმაოდ სერიოზულად იყვნენ ჩართული სამუშაო პროცესში, მათ მაინც არ გამოჰპარვიათ ქართველი ოლიმპიელის, ზურაბ ზვიადაურის ოქრო და ინფორმაციას ქართველი სპორტსმენის გამარჯვებაზე შეძახილებითა და ტაშის გრიალით შეხვდნენ.

*24 საათი*

### საქართველოში ეუთო-ს დელეგაცია ჩამოვა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, 5 სექტემბერს საქართველოში ჩამოვა ეუთო-ს წარმომადგენლობითი დელეგაცია, რომელიც ცხინვალის რეგიონში შექმნილ ვითარებას ადგილზე გაეცნობა.

ზურაბიშვილის თქმით, ამ ვიზიტის შემდეგ ვენაში ეუთო-ს სპეციალური სხდომა გაიმართება, სადაც ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით იმსჯელებენ.

ზურაბიშვილს, რომელიც ამჟამად ვენაში იმყოფება, იმედი აქვს, რომ ეუთო-სა და საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევა სასურველ შედეგს გამოიღებს. საგარეო საქმეთა მინისტრს, ეუთოსთან ერთად, განსაკუთრებით, ამერიკის იმედი აქვს და მიაჩნია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა კიდევ ერთხელ დაუდგება საქართველოს გვერდით. **ინტერ-პრესი**

### ოსებმა ქართველი ტყვეები გაათავისუფლეს

ოსურმა მხარემ 41 დღის წინ, სოფელ ვანათში არსებული სამხედრო დანაყოფიდან გატაცებული სამი ქართველი ჯარისკაცი - სურმავა, კობალაძე და დურგლიშვილი გაათავისუფლა. სამივე მათგანი გორში, უშიშროების განყოფილებაში გადაიყვანეს. ჯარისკაცები აცხადებენ, რომ თავს ნორმალურად გრძნობენ.

ტყვეების სანაცვლოდ, ქართული მხარე კეთილ ნებას გამოიჩენს და ოსურ მხარეს იმ მიკროავტობუსის მძღოლს - გაგლოევს გადასცემს, რომლის დაკავებაც რამდენიმე კვირის წინ დიდი ლიახვის ხეობაში, სოფელ ქურთასთან, ადგილობრივი პოლიციის განყოფილების თანამშრომლების მიერ მოხდა. გაგლოევი იმ მიკროავტობუსის მძღოლია, რომელსაც განსაკუთრებული სიძლიერის ე.წ. "საგოტის" ტიპის იარაღი გადაჰქონდა ცხინვალიდან ჯავის მიმართულებით. ქართული მხარე ხაზგასმით აცხადებს, რომ ეს გაცვლა არ არის, ქართულმა მხარემ მხოლოდ კეთილი ნება გამოიჩინა. **ინტერ-პრესი**

### ვლადიმირ პუტინმა ჩამოსვლაზე უარი განაცხადა

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი საქართველოს ვიზიტით არ ეწვევა. "ჩვენ ქართველ კოლეგებთან საქართველოში ვიზიტის შესაძლებლობას განვიხილავდით, თუმცა სიტუაციის გამწვავების გამო, ჩემი ვიზიტი ამ ვითარებაში უადგილო იქნებოდა," - განუცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ჟურნალისტებს.

შეეხო რა საქართველოში შექმნილ სიტუაციას, პუტინმა განაცხადა, რომ "რუსეთის ხელისუფლება მზად არის, მიღწეული შეთანხმებების შუამავლის და გარანტის როლი შეასრულოს, თუ მხარეთა კეთილი ნება იქნება". **ინტერ-პრესი**

### ორი სიტყვით

**თბილისი.** რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი საქართველოში სიტუაციის გამწვავებას 1990-იანი წლების რეციდივად თვლის. გუშინ სოჭში გამართულ პრესკონფერენციაზე პუტინმა განაცხადა, რომ კონფლიქტი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ წარმოიშვა, როცა "მან გამოაცხადა, რომ წყვეტს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ავტონომიურ სტატუსს... ამ სულელური გადაწყვეტილებით დაიწყო ეთნიკური კონფლიქტები. დღეს იმის რეციდივი გრძელდება, რაც 90-იანი წლების დასაწყისში ხდებოდა", - თქვა პუტინმა. რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ კონფლიქტი ორმხრივ ქართულ-რუსულ კონფლიქტში არ გადაიზრდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ხელისუფლებამ ოფიციალურად უნდა გამოაცხადოს, რომ ცხინვალში მიმდინარე მოვლენებით რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ომს აწარმოებს, - აცხადებს "სახალხო ფრონტის" ლიდერი ნოდარ ნათაძე. მისი თქმით, რუსეთის თავდაცვის მინისტრი იგორ ივანოვი პირდაპირ ომით იმუქრება, იმ საბაბით, რომ ცხინვალში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეები დაიცვას. "ეს არ არის საკმარისი იურიდიული გამართლება ომისთვის, ამიტომ ხელისუფლებამ რუსეთის ბაზებს შორის ყოველგვარი მიმოსვლა უნდა შეწყვიტოს და დაუყოვნებლივ მოითხოვოს მათი საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანა", - აღნიშნა მან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზური მხარე ჭუბურხინჯის ყოველკვირეული ოთხმხრივი შეხვედრის ბოიკოტირებას განაგრძობს, რის გამოც ჭუბურხინჯის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე დღეისთვის დაგეგმილი ოთხმხრივი შეხვედრა მესამედ ჩაიშლება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის პრემიერი ბიძინა ბრეგაძე გავრცელებულ ინფორმაციას, მისი ქალაქის მერთან ზურაბ ჭიაბერაშვილთან დაპირისპირების შესახებ კატეგორიულად უარყოფს. როგორც ბრეგაძე აცხადებს, ის მხარს უჭერს და მიესალმება თბილისის მერის ინიციატივით მერიაში ჩატარებულ ნარკოლოგიურ გამოკვლევას. ამავდროულად, ბიძინა ბრეგაძე აცხადებს, რომ შეშფოთებულია შედეგებით და მიაჩნია, რომ მსგავსი გამოკვლევები სხვა სამსახურებშიც უნდა ჩატარდეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ტრადიციონალისტთა კავშირის" ლიდერი აკაკი ასათიანი ცხინვალის რეგიონში შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს საქართველოს ხელისუფლების ცვლილებაში ხედავს. მისი განცხადებით, ხელისუფლება არასწორად მოქმედებს და ამიტომ, ხალხმა ერთხელ მაინც ისეთი მთავრობა უნდა აირჩიოს, რომელიც გამოსავალს შესთავაზებს. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ხვალინდელი დილის შიშით



*რუსული ტანკი ომის შეგრძნებას უფრო ამძაფრებს.*



*მიუხედავად საბრძოლო განწყობისა, ჯარისკაცები ბრძანების მოლოდინში მშვიდად სხედან და ელიან.*

პირველი გვერდიდან

თუ აქამდე დიდი ლიახვის ქართულ სოფლებში მიმავალი გზა ცხინვალზე გადიოდა, დღეს ამ გზაზე გავლა ქართველებისთვის, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ცხინვალში შესვლა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ოსებთან მოლაპარაკებებზე სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა ან რომელიმე "მძიმეწონიანი" ოფიციალური დელეგაცია მიემართება. ისიც, ერთი პირობით: თურმე, დელეგაციას არ უნდა ჩამორჩე, თორემ არ არის გამორიცხული, ცხინვალის უშიშროების სამსახურებმა დაგაკავონ და მთელი ღამით "ვირის აბანოში" გაყურყუტონ.

ჩვენც მომენტით ვისარგებლეთ და ცხინვალისკენ მაშინ გავემართეთ, როცა შერეული საკონტროლო კომისიის შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა.

## გზა ცხინვალისკენ

ცხინვალში შესვლამდე ერგნეთის საგუშაგო გავიარეთ, სადაც რამდენიმე ათეული ქართველი სამხედრო და ერთი თვის წინ დატყვევებული გია ზურაბიანის ოჯახი დაგვხვდა. სამხედროები ოლიმპიადაზე მოასპარეზე ქართველ ძიუდოისტს გულშემატკივრობდნენ, ზურაბიანის ახლობლები კი, გამაყრუებელი აფეთქებების ხმის ფონზე, ტყვის გათავისუფლებას ამაოდ ელოდნენ. **"ოთხი კვირაა, გვპირდებიან და დღესაც არ ვიცით, გამოუშვებენ თუ არა,"** - წუხდნენ მძევლის ახლობლები. გუშინ ხუთი ტყვედან მხოლოდ სამი გამოუშვეს. ალიკ კოზაევი და გია ზურაბიანი კვლავ ტყვეობაში დარჩნენ...

## ცხინვალი

როგორც კი გაიგეს, რომ შერეული კომისიის სხდომაზე მივდიოდით, ცხინვალის საგუშაგოზე უპრობლემოდ გაგვიშვეს.

ცხინვალის ადმინისტრაციის შენობასთან კონფლიქტის ზონაში მომუშავე ჟურნალისტებისა და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლების თითქმის მთელი კორპუსი დაგვხვდა შეკრებილი.

კომისია ვერ თანხმდებოდა. მსჯელობის საგნად ის იყო ქცეული, თუ ვინ იწყებს სროლას ღამღამობით.

**"მი უჟე ვიასნილი, ჩტო ოგონ პოსტოიანნო გრუზინსკაია სტორონა ოტკრივაეტ,"** - ჟურნალისტების წინაშე უტიფრობდა გადაყენებული გენერალი ნაბზდოროვი, რომელიც კომისიის სხდომის დასრულებას გარეთ ელოდა.

**"დაგვცინიან,** - ამბობდა კომისიის ერთ-ერთი წევრი, - ირწმუნებიან**, რომ ქართველები ქართველებს ვხოცავთ..."**

კონფლიქტის ზონაში საღამოს დაწყებული სროლა გუშინ მხოლოდ ცოტა ხნით შეწყდა - სანამ ოსების მიერ გამოშვებულ სამ ტყვეს ტყვიავის საგუშაგომდე მოაცილებდნენ...

## რას ფიქრობენ ცხინვალში

ცხინვალელებს დაბომბვის ხმა ყოველდღე ესმით. **"არ გვეშინია. ამით ჩვენ ვერ დაგვაშინებენ,"** - ამბობენ და სჯერათ, რომ ჭურვების აფეთქების ხმა სხვა არაფერია, თუ არა მათი შეშინების ერთ-ერთი, მოძველებული მეთოდი. **"ეს ჩვენ ადრეც გვინახავს..."** - იღიმებიან ცხინვალის ადმინისტრაციული შენობის წინ სკვერში სასეირნოდ გამოსული ცხინვალელები.

ცხინვალელებმა არც ის იციან, რა ხდება. უფრო სწორად, ბრმად იმეორებენ იმას, რასაც ცხინვალის ადმინისტრაცია კარნახობს. **"ეს ომი, არეულობა და ყველაფერი საქართველოს ხელისუფლების ბრალია. შინაგან საქმეთა მინისტრი რომ გყავთ, ოქრუაშვილი, მართლა ოქრო არ გეგონოთ. ეგაა, რომ თავისიანებს ესვრის: ერთი პოზიციიდან - მეორე პოზიციაზე ხოცავს ხალხს,"** - დარწმუნებულია 30 წლის ცხინვალელი ქალბატონი.

**"თავისიანებს ხოცავს? სად არის ლოგიკა?"** - დავინტერესდით ჩვენ. **"ლოგიკა ისაა, რომ შთაბეჭდილება უნდა დატოვოს, ვითომ ოსები ისვრიან. წაგებული აქვს ქართულ მხარეს ეს ომი. რა მესამე მხარე მოიგონეთ? არავითარი მესამე მხარე აქ არაფერ შუაში არ არის - ერთ მხარეს ოსეთია, მეორე მხარეს - საქართველო. გამარჯვებული ქართველები კი აქ ჯერ არავის უნახავს,"** - ასე ფიქრობენ დღეს ცხინვალში და დარწმუნებულნი არიან, რომ **"თუ ქართველები თავს დაანებებენ, ყველაფერი კარგად იქნება".**

## რას ფიქრობენ დიდი ლიახვის ქართულ სოფლებში

ქართული სოფლების მცხოვრებლებს ეშინიათ, მაგრამ ჩუმად - თავისთვის. სხედან და მოთმინებით ელიან, რას მოიმოქმედებს ხელისუფლება.

**"სად უნდა წავიდეთ, სად უნდა გავიქცეთ, შვილო, ჩვენი მამაპაპა აქ მარხია, მათ ძვლებს არ მივატოვებთ და ჩვენც აქ დავიმარხებით,"** - ამბობს ელისო, 63 წლის.

ზოგი კი უკმაყოფილოა: **"აღარავის ვახსოვართ. ხომ თქვა პატარკაციშვილმა, ფინანსურად დაგეხმარებითო. ჯერჯერობით, არაფერი ჩანს. მალე ხალხი მშიერი ამოწყდება. თუ რამე მარაგი იყო მაღაზიებში, ყველაფერი გამოილია. ბავშვები ხომ გაიყვანეს, ახლა ქალებიც გავლენ და აქაურობა სეპარატისტებს დარჩებათ,"** - ამბობს ბადრი, 45 წლის.

**"მოგვცენ იარაღი და სულ არ გვინდა არავისი დახმარება, ჩვენ თვითონ დავიცავთ ჩვენს თავს. დაწყდა ხალხი მოლოდინში,"** - აღელვებულია 35 წლის ემზარი.

## როგორია ომი შიგნიდან?

სასტიკია, მშიერი და საშიში. აფეთქებების ხმა თითქმის არ წყდება.

დიდი ლიახვის ხეობის ქართულ სოფელ კეხვში ორი სახლია, რომელთაც დიდი სარდაფები აქვთ. ჰოდა, ღამ-ღამობით ხალხიც იქ აფარებს ხოლმე თავს. სხედან და ელიან, რა მოხდება. იგივე ხდება ხეითსა და თამარაშენში.

გასროლის ხმა... ორწამიანი პაუზა... სიხარული, რომ ცოცხალი ხარ და იმედი, რომ იქნებ ამ გასროლით არც არავინ დაშავებულა. და ასე დაუსრულებლად...

აქ ხვალინდელი დილის ეშინიათ.



*ნაბზდოროვი ჟურნალისტების წინაშე ჩვეულებისამებრ უტიფრობდა.*



*ცხინვალელები ზუსტად იმას იმეორებენ, რასაც მათი პროპაგანდა ჩასძახის.*



*მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა, იუკურიძე ახალ განკარგულებას ელის.*



*მათ თვალწინ თანამებრძოლებს უკლავენ.*

## რას მოუტანს საქართველოს Expo-2005?

*მომავალ წელს საქართველო მსოფლიო გამოფენა Expo-2005-ში მონაწილეობას მიიღებს. გამოფენაზე, რომელშიც მსოფლიოს 120-მდე სახელმწიფო მონაწილეობს, საქართველოს ხელისუფლება დიდ იმედებს ამყარებს. "როგორც წესი, ამ გამოფენებს ქვეყნებისთვის მეტი პოპულარიზაცია მოაქვს, ამიტომაც საქართველომ ასეთი შანსი არ უნდა დაკარგოს," - აცხადებს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე საბა კიკნაძე, რომელიც საქართველოს მხრიდან გამოფენის კომისიონერად არის დანიშნული.*

მარიამ ჭაჭავაძე

მსგავს გამოფენაზე საქართველო მონაწილეობას პირველად მიიღებს. Expo-2005-ის მთავარი ექსპონატი, რის წარმოდგენასაც ჩვენი ქვეყანა აპირებს, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი იქნება.

Expo საერთაშორისო დონის გამოფენაა, რომელიც 1900 წლიდან მოყოლებული, ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება. Expo-2005-ს იაპონია მასპინძლობს. სხვათა შორის, ეს უკვე მეორე შემთხვევაა Expo-ს 104-წლიან ისტორიაში, როცა გამოფენა ამომავალი მზის სახელმწიფოში ტარდება.

მსოფლიო გამოფენა სახელწოდებით "ბუნების სიბრძნე", იაპონიის აიჩის პრეფექტურაში 25 მარტს გიხსნება და ის ექვს თვეს, 25 სექტემბრამდე გაგრძელდება. საქართველოს გარდა, ხსენებულ გამოფენაში სამხრეთ კავკასიის დანარჩენი ორი სახელმწიფო - სომხეთი და აზერბაიჯანიც მიიღებს მონაწილეობას.

მიუხედავად იმისა, რომ Expo-2005-მდე ჯერ კიდევ დიდი დრო დარჩა, გამოფენის ორგანიზატორებმა და იაპონიის მთავრობამ ამ დღისთვის მზადება კარგა ხნის წინ დაიწყეს. გამოფენამდე თითქმის შვიდი თვით ადრე იაპონიის სახელმწიფოს სპეციალური წარმომადგენლები იმ ქვეყნებს სტუმრობენ და სწავლობენ, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ Expo-2005-ში. საქართველოსა და მთლიანად კავკასიაში ამ მისიას სავაიამა აკიჰირო ასრულებს, რომელმაც გუშინ ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე საბა კიკნაძესთან ერთად სპეციალური ბრიფინგი მოაწყო.

**"იაპონიაში ძალიან ბევრმა იცის კავკასიის შესახებ. თუმცა, ამ რეგიონში შემავალი ქვეყნების შესახებ ინფორმაცია მათ ძალიან მწირი აქვთ. ვფიქრობ, რომ ამ გამოფენით, იაპონიის გარდა, მსოფლიოს ძალიან ბევრი სახელმწიფო უფრო მეტს გაიგებს საქართველოზე,"** - განაცხადა სავაიამა აკიჰირომ.

Expo-2005-ში საქართველოს მაღალ დონეზე მონაწილეობის მოსამზადებლად, პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას განკარგულებით შექმნილია სპეციალური სამთავრობო კომისია.

13-კაციანი სამთავრობო კომისიის შემადგენლობაში შედის ეკონომიკური განვითარების მინისტრი კახა ბენდუქიძე, სახელმწიფო მინისტრი გურამ აბსანძე, სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე ეროსი კიწმარიშვილი და სხვები. გამოფენაში მონაწილე საქართველოს დელეგაცია დაკომპლექტდება სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, ეკონომიკური განვითარების, საგარეო საქმეთა, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროების წარმომადგენლებით.

ხსენებულმა კომისიამ ორი თვის ვადაში უნდა შეიმუშაოს და წარმოადგინოს "EXPO 2005", მსოფლიო გამოფენაში საქართველოს მონაწილეობის მოსამზადებელ ღონისძიებათა გეგმა და ხარჯთა ნუსხა. თითქმის ყველა ხარჯს ფინანსთა სამინისტრო გაიღებს.

### ორი სიტყვით

**ქუთაისი.** საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ონოფრიშვილმა, სამტრედიაში, ამიერკავკასიის რკინიგზის ცენტრალურ ტერიტორიულ სამმართველოში ახალი ხელმძღვანელი კოტე ნინიძე წარადგინა. მანამდე ეს თანამდებობა ბაჩუკი ტორონჯაძეს ეკავა, რომელიც გასული წლის რევოლუციის შემდეგ გათავისუფლდა. რვა თვის მანძილზე სამტრედიის რკინიგზის ცენტრალურ ტერიტორიულ სამმართველოს ხელმძღვანელი არ ჰყავდა. კოტე ნინიძე საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტში ლევან ვარშალომიძის ხელმძღვანელობის დროს მისი თანაშემწე იყო. **ინტერ-პრესი**

## ნოვაცია ქართულ ტექნოლოგიაში

დიანა ჩაჩუა

*ქართულ-ებრაული თანამშრომლობის კიდევ ერთი წარმატებული შედეგი სახეზეა. შპს "სამგორმა" და ქართულ-ებრაულმა ერთობლივმა კომპანიამ ახალ საწარმოს "სუპერმილი-პექსალჯის" ჩაუყარეს საფუძველი. ეს საწარმო იმით არის აღსანიშნავი, რომ ასეთი ტიპის ქარხანა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში პირველია. ქარხანაში შეიქმნება ახალი ტიპის პროდუქტი "ხუთშრიანი მილი". მისი გამძლეობა - საშუალოდ, 100 წელი, ხოლო გამოყენების არეალი საკმაოდ ფართო იქნება. ახალი საწარმოს დამფუძნებლების განცხადებით, ერთობლივი საწარმოს ამოქმედება ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის აღორძინებას და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას ამიერკავკასიისა და დსთ-ს ქვეყნების მასშტაბით.*



იური ლობოდინის ფოტო

*"ვერ ვიტყვი, რომ საქართველოს ხელისუფლება გვეხმარება, თუმცა მხარს გვიჭერს იმით, რომ ხელს არ გვიშლის," - აღნიშნა ფრენკელმა.*

ახალი საწარმო "სუპერმილი-პექსალჯი" ქართულ-ებრაული თანამშრომლობის პირველი ნაყოფი არ არის. თუმცა, ამჯერად ორივე მხარეს ახალ პროექტთან დაკავშირებით შორს მიმავალი გეგმები აქვს. დამფუძნებლებს იმედი აქვთ, რომ მათი პროდუქცია ქართულ ბაზარზე ფეხს მყარად მოიკიდებს და მსგავსი საქონლის ევროპიდან იმპორტირება საჭირო აღარ იქნება, რაც მათი აზრით, გაცილებით ძვირი ჯდება რეალიზატორებისთვისაც და მომხმარებლებისთვისაც.

ქარხნის მშენებლობა დასრულებულია, საჭიროა მხოლოდ მასიური წარმოებისთვის საჭირო ნედლეული, რომელსაც ხელმძღვანელები ევროპიდან ელიან. მათივე ცნობით, პროდუქცია ქართულ ბაზარზე პირველად სექტემბერში გავა, თუმცა საწარმო, ძირითადად, ექსპორტზე იქნება ორიენტირებული.

ახალ პროდუქციას, რომელსაც "ხუთშრიან მილს" უწოდებენ, თავისი კონკურენტებისგან განსხვავებით, მრავალი უპირატესობა გააჩნია. მისი გამოყენება, კანალიზაციის სისტემის გარდა, ყველგან შეიძლება, მათ შორის - ცხელი და ცივი წყლის გაყვანილობისას, გათბობის სისტემაში, აირის, ქიმიური ხსნარების და საწვავის ტრანსპორტირებისას.

წარმოება წელიწადში, დაახლოებით, 2,5 მილიონი მეტრი მილის გამოშვებას გეგმავს. ფასს რაც შეეხება, დამფუძნებლების განცხადებით, ისინი ქვეყანაში ანალოგიურ იმპორტირებულ პროდუქციაზე იაფად გაყიდიან და მომხმარებელს არჩევანის საშუალებას მისცემენ - ან ევროპიდან შემოსული პროდუქცია შეიძინონ, ან მასალა, რომელსაც გააჩნია წარწერა "made in Georgia".

საწარმოს ერთ-ერთი დამფუძნებელი ზეევი ჰენკელი დღეს საქართველოს საინვესტიციო გარემოს დადებითად აფასებს. **"ვერ ვიტყვი, რომ საქართველოს ხელისუფლება გვეხმარება, თუმცა მხარს გვიჭერს იმით, რომ ხელს არ გვიშლის,"** - აღნიშნა ფრენკელმა.

დამფუძნებლების თქმით, საწარმოს უახლოესი ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორია გააჩნია, რომლის მსგავსი კავკასიაში არ არსებობს.

სამომავლოდ ახალი ქარხნის დამფუძნებლები გამოშვებული პროდუქციის სახეობათა გაზრდას გეგმავენ. საუბრები სამშენებლო და გათბობის სისტემის პროდუქციის გამოშვებაზე მიმდინარეობს.

## ირანი ინვესტიციებზე უარს აცხადებს

თორნიკე შარაშენიძე

ირანის პარლამენტმა დაბლოკა მთელი რიგი რეფორმატორული კანონპროექტები, რომლებიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში საგარეო ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. კერძოდ, კანონპროექტების მიხედვით უცხოურ კომპანიებს უნდა მისცემოდათ ირანში ნავთობმოპოვების უფლება, უნდა მომხდარიყო სახელმწიფო ბანკების პრივატიზაცია და საბანკო სექტორში უცხოური კაპიტალის დაშვება.

ეს ირანელ კონსერვატორთა მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯია მას შემდეგ, რაც თებერვლის არჩევნების შემდეგ მათ კონტროლი დაამყარეს პარლამენტზე და ბოლო მოუღეს რეფორმატორთა გავლენას ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში.

სპეციალისტთა აზრით, რეფორმათა დაბლოკვა ერთობ სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ირანის ეკონომიკას. კერძოდ, ქვეყნის მთავრობას დაგეგმილი აქვს 2020 წლისათვის ნავთობმოპოვების დღეში 8 მილიონ ბარელამდე გაზრდას, მაგრამ უცხოური ინვესტიციების გარეშე ამის მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია. არადა, ნავთობი ირანის უმთავრესი შემოსავლის წყაროა.

ერთ-ერთი კონსერვატორი დეპუტატის თქმით, პარლამენტმა თავისი გადაწყვეტილებით არ დაუშვა "უცხოური გავლება ირანის ეკონომიკაზე."

გავლენა მოიცავდა ისეთი ბანკების შესვლას ირანის ბაზარზე, როგორიცაა "ეიჩესბისი" და "სტანდარტ ჩარტერზი." ორივე მათგანი სერიოზულად იყო დაინტერესებული ირანში ფილიალების გახსნით და რეფორმებს ელოდნენ.

რეფორმების ჩაგდებით ხაზი გადაესვა ეკონომიკური აღორძინების ხუთწლიან გეგმას. რეფორმატორთა ფრთა კარგად აცნობიერებს, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპის დამუხრუჭება კატასტროფულ შედეგებს გამოიწვევს. ირანის მოსახლეობა სწრაფი ტემპით იზრდება და შესაბამისად, მატულობს მუშახელის რაოდენობა და საჭიროა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

მაგრამ კონსერვატორები ერთობ დაიმედებულნი არიან ნავთობის ფასის არნახული ზრდით, რის წყალობითაც ირანის ბიუჯეტში შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგრამ ცხადია, ნავთობზე დამოკიდებულება სახიფათო საქმეა და მაღალი ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის ეპოქაში თავმოყვარე სახელმწიფო ამგვარი სახის შემოსავლით არ უნდა კმაყოფილდებოდეს.

ირანის ეკონომიკა ისლამური რევოლუციის შემდეგ რთულ ვითარებაში იმყოფება. ქვეყანა გამოფიტა ერაყთან ომმა და აშშ-ის მიერ მის წინააღმდეგ შემოღებულმა სანქციებმა. 1997 წლიდან მოყოლებული პრეზიდენტმა ხატამიმ ეკონომიკაში გარკვეული რეფორმების განხორციელება დაიწყო, მაგრამ ახლა ეს პროცესი ისევ დამუხრუჭდა.



# უმაღლესი დონის შეხვედრები კურორტებზე

*როგორც ჩანს, რუსეთისა და უკრაინის პრეზიდენტებს იმდენი სასაუბრო გაუჩნდათ, რომ ერთმანეთს ნორმალურად დასვენებასაც არ აცლიან. ჯერ იყო და გასულ თვეში რუსეთის ხელისუფალი ეწვია ყირიმში დასასვენებლად მყოფ ლეონიდ კუჩმას. ახლა კი თავად კუჩმა ჩავიდა სოჭში დამსვენებელ ვლადიმირ პუტინთან.*



*ზღვის კურორტები ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრის ადგილი ხდება.*

გუშინ სოჭში დასასვენებლად მყოფ ვლადიმირ პუტინთან უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა ჩავიდა. აღსანიშნავია, რომ ორი პრეზიდენტი წელს უკვე მეცხრედ შეხვდა ერთმანეთს. უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ, როცა ყირიმში ბატონი პუტინი იმყოფებოდა, ჯერ ერთი თვეც არ გასულა. მიუხედავად ამისა, გასაკვირი სულაც არ უნდა იყოს ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრების გახშირება. წელს უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნები იმართება, რომელმაც, ბევრის აზრით, გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს უკრაინის სამომავლო განვითარებისათვის. სწორედ ამით აიხსნება, ალბათ, რუსეთისა და უკრაინის დღევანდელ ხელმძღვანელობებს შორის ლამის რეგულარულად ქცეული კონსულტაციები. უკრაინის სათავეში მისთვის სასურველი კანდიდატის მოსვლით დაინტერესება რუსეთში ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

თუმცა, ოფიციალური განცხადებები ოქტომბრის ბოლოს დაგეგმილ არჩევნებს არ უკავშირდება. პრეზიდენტები მხოლოდ ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებაზე დეკლარაციებით იფარგლებიან ხოლმე. ასე იყო ყირიმში შეხვედრისას და ასე მოხდა გუშინაც. შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე პუტინმა და კუჩმამ ორმხრივ სავაჭრო ურთიერთობების გაზრდაზე გააკეთეს განცხადებები. "მიმდინარე წლის ექვს თვეში ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვა 40 პროცენტით გაიზარდა," - აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა. უკრაინა, რომელიც აქამდე მხოლოდ 4-5 ადგილზე იმყოფებოდა რუსეთის სავაჭრო პარტნიორთა სიაში, დღეს მტკიცედ იკავებს მესამე ადგილს. რუსეთის პრეზიდენტის თქმით ამის უპირველესი მიზეზი სხვა არაფერია, თუ არა ქვეყნებს შორის ეკონომიკური ბარიერების შემცირება.

ამავდროულად, პუტინის თქმით, ქვეყნებს შორის ორმხრივ ურთიერთობებში პრობლემებიც რჩება: "თქვენ გაქვთ კითხვები ჩვენთან, მე კი თქვენთან და თქვენს კოლეგებთან."

უკრაინის ხელისუფალი, თავისი რუსი კოლეგისაგან განსხვავებით, უფრო მჭერმეტყველი გამოდგა. ეკონომიკურ საკითხებთან ერთად, სავარაუდოდ, უფრო მეტადაც, უკრაინის მოქმედ პრეზიდენტს არჩევნები აწუხებს. "ბევრი არაა ისეთი, ვინც ჩვენი შეხვედრების პოზიტიურობაში ეჭვს შეიტანს. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ უკრაინაში მაინც არიან ასეთები. წელს საპრეზიდენტო არჩევნების წელია, და ყველაფერი განსხვავებული რაკურსით განიხილება," - უკრაინის პრეზიდენტი ცდილობს, დასაწყისშივე გაფანტოს ეჭვები, რომლებიც აუცილებლად ჩნდება რუს კოლეგასთან ბოლო დროს გახშირებული შეხვედრების შედეგად.

ორი ქვეყნის ლიდერთა ურთიერთვიზიტებს დაკვირვებით აკვირდებიან სხვა ქვეყნებშიც. თურქული სააგენტო "თარქიშპრესი" იტყობინება, რომ ორმა პრეზიდენტმა შეხვედრისას ოდესა-ბროდის ნავთობსადენის საკითხიც განიხილეს. სააგენტოს ცნობით, უკრაინა მზადაა, სამი წლის ვადით სარგებლობაში გადასცეს აღნიშნული ნავთობსადენი რუსულ-ბრიტანულ კომპანიას, რომელიც რუსული ნავთობის ევროპაში ტრანსპორტირებას მოახდენს. აქამდე მიღწეული შეთანხმებებით ვარაუდობდნენ, რომ ოდესა-ბროდის მილსადენში კასპიის აუზის ნავთობი გაივლიდა.

აღსანიშნავია, რომ კიევმა ბოლო პერიოდში რუსეთთან დაახლოებისაკენ რამდენიმე ნაბიჯი უკვე გადადგა. საინტერესოა, დასჯერდება თუ არა მოსკოვი უკვე მიღებულ დათმობებს, თუ კუჩმას ფავორიტი კანდიდატის მხარდაჭერის სანაცვლოდ უფრო მეტს მოითხოვს?

# აშშ ცენტრალურ აზიაში გავლენის შესუსტების საფრთხეს გრძნობს

ხათუნა გაბიევი



*ცენტრალურ აზიაში გენერალ რიჩარდ მაიერსის ერთკვირიანი ვიზიტი აშშ-ს სტრატეგიული ინტერესების დაცვას ემსახურებოდა.*

ცენტრალურ აზიაში პენტაგონის მაღალჩინოსნის ერთკვირიანი ვიზიტის მიზანი ამ რეგიონის წინაშე აშშ-ს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებისთვის მზადყოფნის კიდევ ერთხელ ხაზგასმა იყო. ყაზახეთში ჩასვლისას გენერალმა რიჩარდ მაიერსმა "ავღანეთსა და ერაყში ანტიტერორისტულ ოპერაციებში აშშ-სთან ყაზახეთის თანამშრომლობის" მნიშვნელობაზე ბევრი ისაუბრა და დადებითად შეაფასა. ერაყში ჯერ კიდევ იმყოფება ყაზახეთის სამხედრო ქვედანაყოფი, რომელიც ძირითადად გამნაღმველ სამუშაოებს ასრულებს. თანაც, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყაზახეთი ერთადერთი ქვეყანაა ცენტრალური აზიის დანარჩენ სახელმწიფოებს შორის, რომელიც ერაყულ კამპანიაში აშშ-სთან თანამშრომლობს.

ხუთ აზიურ ქვეყანაში ერთკვირიანი ვიზიტისას ძირითადი აქცენტები მაინც უზბეკეთზე გაკეთდა. აზიური ტურნე ამერიკელმა გენერალმა სწორედ ამ ქვეყნით დაიწყო. უზბეკეთის სამხედრო და პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან მაიერსის მოლაპარაკებების ძირითადი თემა რადიკალი ისლამისტების მხრიდან საფრთხის გაუვნებელყოფის გზები და საშუალებები იყო. რადიკალი ისლამისტების გააქტიურებას ივლისში ტაშკენტში განხორციელებული ტერაქტებიც ადასტურებს. როგორც გენერალმა რიჩარდ მაიერსმა განაცხადა, ვაშინგტონი მზადაა, უზბეკეთს, დაპირებულ 39 მილიონთან ერთად, სამხედრო დახმარების სახით დამატებით 21 მილიონი აშშ დოლარი გამოუყოს. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ამასწინანდელი უკმაყოფილების მიუხედავად, რომელიც უზბეკეთში ადამიანის უფლებების საერთაშორისო ნორმების დარღვევის ფაქტებით იყო გამოწვეული და რის გამოც უზბეკეთს 18 მლნ დოლარით აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან სამხედრო დახმარების შეკვეცა ემუქრებოდა, უზბეკეთი მაინც რჩება აშშ-ს სტრატეგიულ პარტნიორად.

უზბეკეთისთვის გამოყოფილი აშშ-ს სამხედრო დახმარება ბიოლოგიური იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ იქნება მიმართული. გარდა ამისა, მაიერსის განცხადების თანახმად, უზბეკეთს ამუდარიის პატრულირებისთვის 14 საპატრულო კატერი გადაეცემა, რომელთა საერთო ღირებულებაც 2.9 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

პენტაგონის გადაწყვეტილება, დახმარებოდა უზბეკეთს, უპირველეს ყოვლისა, უზბეკეთსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული კავშირების შესუსტებით იყო ნაკარნახევი. როგორც ცნობილია, 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ, ცენტრალურ აზიაში აშშ-ს უახლოესი მოკავშირე უზბეკეთი გახდა. ავღანეთის ტერიტორიაზე ანტიტერორისტული ოპერაციების მხარდასაჭერად უზბეკეთმა აშშ-ს თავის ტერიტორიაზე სამხედრო-საჰაერო ბაზების განთავსება შესთავაზა, რამაც მას პენტაგონის კეთილგანწყობა მოუპოვა. თუმცა, რადიკალური ისლამიზმის მზარდმა საფრთხემ ისლამ კარიმოვის ადმინისტრაციას უსაფრთხოების სისტემის დივერსიფიცირება აიძულა და დამატებითი ეკონომიკური და სამხედრო დახმარებისთვის რუსეთს მიეკედლა. ცენტრალური აზიის რუსეთთან ხელმძღვანელობის ... ორედ "დამშობილებამ" ამ რეგიონში აშშ-ს სტრატეგიული ინტერესების შელახვა-შევიწროება გამოიწვია. თანაც, ამ შემთხვევაში, მხოლოდ უზბეკეთი არ იგულისხმება.

ივლისში ტაჯიკეთი საკუთარ ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზის უვადოდ განთავსებას დათანხმდა. რუსი ანალიტიკოსების შეფასებით, რუსეთმა ცენტრალურ აზიაში თავისი სტრატეგიული გავლენის ხარისხობრივი გაზრდა ვაშინგტონის საპრეზიდენტო არჩევნებზე აქცენტის გაკეთების ხარჯზე შეძლო. თუ ისლამისტმა ტერორისტებმა 2000 წელს საპრეზიდენტო არჩევნებზე აშშ-ს მთელი ძალების კონცენტრაციით ისარგებლეს და ერთი წლის შემდეგ შემზარავი ტერაქტების სერია წარმატებით განახორციელეს, 2004 წელს წინასაარჩევნო ეიფორიითა და სხვა მრავალი ობიექტური ფაქტორების გამოყენებით აშშ-ს ინტერესების შელახვას ცენტრალურ აზიაში "დიდი რუსეთი" ცდილობს და რეგიონის ხელისუფლებასთან ურთიერთობების აქტიურებს.

# დნესტრისპირეთში ეუთო-ს მისიას არ უშვებენ

ლევან გელაშვილი

დნესტრისპირეთის ხელისუფლებამ რეგიონის ტერიტორიაზე ეუთო-ს მისიის წევრების შეშვება აკრძალა. 17 აგვისტოს ქ. ბენდერის მისადგომებთან, დნესტრისპირეთის საიმიგრაციო სამსახურის საგუშაგოზე მოლდოვაში ეუთო-ს მისიის ავტომობილი დააკავეს, რომელიც ქ. ბენდერის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებისათვის კვების პროდუქტების ჩატანას აპირებდა.

როგორც მოლდოვას მხრიდან ერთობლივი საკონტროლო კომისიის წევრმა იონ ლიახუმ განაცხადა, დნესტრისპირეთის საიმიგრაციო სამსახურის წარმომადგენლებმა მოლდოვაში ეუთო-ს მისიის წევრებს აუწყეს, რომ ტირასპოლის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, რეგიონსა და უსაფრთხოების ზონაში ეუთო-ს მისიის წევრებს შესვლა დროებით აკრძალული აქვთ. ამავე დროს, აღნიშნული გადაწყვეტილების ვადები უცნობია.

ეუთო-ს წარმომადგენლები ტირასპოლის ამ გადაწყვეტილებას დიპლომატიური სამსახურის სტატუსის შესახებ ვენის კონვენციის, ეუთო-ს მისიის პრინციპებისა და მთელი რიგი საერთაშორისო აქტების უხეშად დარღვევად აფასებენ. მათი აზრით, დნესტრისპირეთის ამგვარი ქმედებები არსებული პრობლემის კონფლიქტის ჭრილში გადაყვანის მცდელობაზე მეტყველებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის ზაფხულში ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული თვითაღიარებული რესპუბლიკების გარშემო სიტუაცია საკმაოდ გამწვავდა. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთის კონფლიქტების ფონზე დნესტრისპირეთისა და მოლდოვას ურთიერთობები გაცილებით მშვიდობიანი ჩანს. აქ, ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთისაგან განსხვავებით, ძირითადად, ეკონომიკური ხასიათის ომი მიმდინარეობს.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ მოლდოვას პრეზიდენტი ვლადიმირ ვორონინი დნესტრიპირეთში პრივატიზაციის შედეგებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოლდოვური სკოლების დახურვის შესახებ გადაწყვეტილების გადახედვით დაიმუქრა. კიშინიოვმა 1 აგვისტოდან დნესტრისპირეთის მიმართ ეკონომიკური ბლოკადა გამოაცხადა. ტირასპოლმაც არ დააყოვნა და მოლდოვაში მიმავალ ყველა სარკინიგზო მაგისტრალზე ბეტონის ბლოკები აღმართა, რამაც უკრაინასა და მოლდოვას შორის ტვირთების მოძრაობა სერიოზულად შეზღუდა. აგვისტოს დასაწყისში კი დნესტრისპირეთის ხელისუფლებამ მოლდოვას ზოგიერთ რაიონს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტა.

მოვლენათა ამგვარი განვითარების ფონზე ოფიციალურმა ტირასპოლმა განაცხადა, რომ მოლდოვასთან ერთად ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის თაობაზე მოლაპარაკებების წარმოება შეუძლებელია. "თავისი ქმედებებით მოლდოვამ ფედერაციის შექმნის ყოველგვარი წინაპირობა თავად დაასამარა და დღეს ჩვენ იძულებული ვართ, ისტორიის ამ ფურცელს წერტილი დავუსვათ," - განაცხადა თვითაღიარებული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა ვიქტორ ბალალამ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფედერაციის შექმნაზე საუბარი, ეკონომიკური თვალსაზრისით, შეუძლებელია, რადგან ამისათვის ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური საფუძვლები არ არსებობს.

ცოტა ხნით ადრე, დნესტრიპირეთის კონფლიქტის რეგულირების საკითხში რუსეთის, უკრაინისა და ეუთო-ს შუამავლებმა მოლდოვასა და დნესტრისპირეთის ხელისუფლებას რეკომენდაცია მისცეს, რომ პრობლემის მოგვარების დასკვნითი პოლიტიკური დოკუმენტის საფუძვლად მათ მიერ შეთავაზებული ასიმეტრიული ფედერაციის შექმნის შესახებ წინადადება გამოეყენებინათ. მოლდოვაში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელის, ვილიამ ჰილის განცხადებით, კიშინიოვი და ტირასპოლი ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის საკითხში მრავალ პრინციპულ პუნქტში ვერ თანხმდებიან. დნესტრისპირეთის მხარე თანაბარსუბიექტური ფედერაციისა და საკუთარი სახელმწიფოებრიობის შექმნას მოითხოვს, ხოლო მოლდოვა - ასიმეტრიული ფედერაციის მომხრეა. 2004 წლის ივნისის ბოლოს მოლდოვამ ეუთო-ს, რუსეთისა და უკრაინის შუამავლების მიერ წარმოდგენილ წინადადებებსა და რეკომენდაციებს ოფიციალურად დაუჭირა მხარი.

უნდა აღინიშნოს, რომ დნესტრისპირეთის ხელისუფლებამ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის საკითხი რეფერენდუმზე არაერთხელ დააყენა. გუშინ დნესტრისპირეთის ადგილობრივი საბჭოს წევრებმა რუსეთის ფედერაციის დეპუტატებს, ოლგა სელივერსტოვასა და ვიქტორ კოლესნიკოვს მიმართეს წინადადებით, რომ რუსეთის დუმაში დნესტრისპირეთში რუსული სამშვიდობო კონტინგენტის გაზრდის საკითხის განხილვა დაეწყოთ. დნესტრისპირელი დეპუტატები რუს პარლამენტარებს თვითაღიარებულ რესპუბლიკაში რუსეთის საკონსულოს გახსნასაც თხოვენ.

დღეისათვის რეგიონში რუსეთის სამშვიდობო ძალები ერთი მოტომსროლელი ბატალიონისა და სამშვიდობო ძალების შტაბის სახით არის წარმოდგენილი. მოლდოვასა და დნესტრიპირეთის მხარეებს სამ-სამი სამშვიდობო ბატალიონი ჰყავთ, ხოლო უკრაინას სამხედრო დამკვირვებლები წარმოადგენენ.

# აშშ მზადაა, სარაკეტო დარტყმები მოიგერიოს

პენსილვანიის შტატში, კომპანია "ბოინგის" ქარხანაში გამოსვლისას ჯორჯ ბუშმა დაადასტურა ის ფაქტი, რომ აშშ-ს ახალი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის პირველი ნიმუში უკვე განთავსებულია ალიასკაზე. გუშინ მისმა განცხადებამ კიდევ ერთხელ გააოცა საზოგადოება.

"ვფიქრობ, ისინი, ვინც რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის წინაღმდეგ გამოდის, ვერ ხვდებიან 21-ე საუკუნეში გაჩენილ საფრთხეებს, - ამბობს ბუში, - ჩვენ მივმართავთ ტირანებს, რომელთაც ჰგონიათ, რომ ამერიკასა და დანარჩენ თავისუფალ მსოფლიოს შანტაჟს მოუწყობენ: გამოუშვით, ჩვენ ჩამოვაგდებთ თქვენს რაკეტებს."

ბუშის მტკიცებით, ისინი, ვინც რაკეტსაწინაღმდეგო სისტემის შექმნაზე უარს ამბობენ, წარსულში ცხოვრობენ. "ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ამ ქვეყნის დასაცავად," - პირობას დებს აშშ-ს პრეზიდენტი.

შეგახსენებთ, საპრეზიდენტო არჩევნებში ჯორჯ ბუშის მთავარმა კონკურენტმა ჯონ კერიმ მანამდე სერიოზულად გააკრიტიკა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ახალი პროგრამა და განაცხადა, რომ თუ საშუალება მიეცემა, შეამცირებს ამ პროგრამის დაფინანსებას. "მე არ მჯერა ისეთი სისტემის სწრაფი სრულყოფის, რომელმაც შესაბამისი გამოცდა ვერ გაიარა," - აცხადებს კერი.

# სერბეთს ახალი ჰიმნი, გერბი და დროშა აქვს

სერბეთის პარლამენტმა, სკუპშჩინამ, რესპუბლიკის ახალი ჰიმნი, გერბი და დროშა დაამტკიცა, რომელიც ყოველგვარი კომუნისტური სიმბოლიკისგანაა თავისუფალი. სახელმწიფოს ახალი სიმბოლიკის კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ სერბეთის სოციალისტური პარტიის დეპუტატებს.

რესპუბლიკის ჰიმნი დღეიდან კვლავ 1872 წელს იოჰან ჯორჯევიჩისა და დავორინ იენკოს მიერ შექმნილი სიმღერა "უფალო ღმერთო" იქნება, რომელიც 1882 წელს სერბეთის სამეფოს მიერ იყო ჰიმნად არჩეული.

ახალი გერბი ასევე ისტორიული, 1882 წლის დროინდელი, სერბეთის სამეფოს გერბი იქნება. მასზე გამოსახულია ორთავიანი თეთრი არწივი სერბეთის ნემანიჩის თავადთა დინასტიის გვირგვინითა და ჯვრიანი ფარით. ჯვრის ბოლოებზე დატანილია 4 "ს", რომელიც ძველი სერბულით "სამო სლოგა სრბინა სპასავა"-დ ("სერბეთს მხოლოდ ერთიანობა იხსნის") იკითხება.

სახელმწიფო დროშაზე შენარჩუნდა სამი ფერი: წითელი-ლურჯი-თეთრი (ზემოდან ქვემოთ).

სკუპშჩინას წარმომადგენლის პრედრაგ მარკოვიჩის განცხადებით, სახელმწიფოს ახალი სიმბოლიკა იურიდიულ ძალას მხოლოდ ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ შეიძენს.


# ვაჟა ფშაველას გამზირზე "საქართველოს ბანკის" ვაკე-საბურთალოს ფილიალის განახლებული ოფისი გაიხსნა

ქალაქის ცენტრში (ვაჟა ფშაველას გამზ. №41) მდებარე თანამედროვე სტანდარტებით გარემონტებული ფილიალი, რომელიც აღჭურვილია მაღალხარისხოვანი საბანკო მომსახურების უზრუნველსაყოფად საჭირო ყველა შესაძლებლობით, "საქართველოს ბანკის" კლიენტებს კიდევ ერთ საშუალებას მისცემს მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი მომსახურება მიიღონ.

განახლებულ ფილიალში "საქართველოს ბანკი" მომხმარებელს შესთავაზებს ყველა იმ სახის პროდუქტს, რომელსაც ტრადიციულად სთავაზობდა თავის კლიენტებს. მათ საშუალება ექნებათ დროის უმცირესი დანახარჯებით გამოიყენონ დეპოზიტების მრავალფეროვანი პროგრამა, მიიღონ და ისარგებლონ VISA და MasterCard პლასტიკური ბარათებით, განახორციელონ ფულადი გადარიცხვები როგორც ანგარიშებზე, ისე "Western Union"-ისა და "ელვა" სისტემის ფულადი გზავნილების სერვისით,მიიღონ მოკლე და გრძელვადიანი კრედიტები, ისარგებლონ სადომბარდო მომსახურებითა და სრული საბანკო ელექტრონული პაკეტით.

ვაკე-საბურთალოს განახლებული ფილიალის გახსნას ესწრებოდნენ ბანკის პრეზიდენტი ვლადიმერ პაპუაშვილი, დავით ფანჯაკიძე - გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, მოწვეული სტუმრები და მასმედიის წარმომადგენლები. როგორც "საქართველოს ბანკის" ვაკე-საბურთალოს ფილიალის მმართველმა მერაბ ახვლედიანმა აღნიშნა, თანამედროვე სტანდარტების ფილიალი მომხმარებელს უმაღლესი ხარისხის სერვისს შესთავაზებს და თითოეული ადამიანი, რომელიც აღნიშნულ ფილიალში შემოვა, თავს უდავოდ დასავლური ტიპის საბანკო დაწესებულებაში იგრძნობს.



"საქართველოს ბანკის" განახლებულ და ახლადგახსნილ ფილიალებში მაქსიმალურად არის გათვალისწინებული კლიენტების სავარაუდო მოთხოვნები ბანკის მიმართ. ყველა განახლებული და ახლადგახსნილი ფილიალი შესაბამისი რაიონის მოსახლეობისათვის ადვილად მისაწვდომ ადგილებზეა განთავსებული, აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული სისტემით და დაკომპლექტებულია ახალგაზრდა,პროფესიონალი კადრებით.

დღეისათვის "საქართველოს ბანკს" ფილიალების ერთ-ერთი უმსხვილესი ქსელი აქვს - ბანკის თანამედროვე სტანდარტების მომსახურება ხელმისაწვდომია ქვეყნის მასშტაბით განლაგებულ 50-ზე მეტ ფილიალსა და მომსახურების ცენტრში.

2004 წლის მანძილზე დაგეგმილია კიდევ რამდენიმე ახალი მომსახურების ცენტრის გახსნა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.


# "ეი-ი-ეს თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

**20 აგვისტოს, 09.00-დან 18.00-სთ-მდე:**
თარხნიშვილის, ბარნოვის(ნაწილობრივ), ბესიკის, ბორბალოს, ჩაბანოს, ცხემის, გაბაშვილის, გურიის, კაკაბაძეების, ლიხის, ოძელაშვილის, რიწის, რუსთაველის გამზირის(ნაწილობრივ), სარაჯიშვილის, ტარიელის, თხინვალის, ტყის, ვეძინის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ზალდასტანიშვილის, ზუბალაშვილების ქუჩების მაცხოვრებლებს.

**20 აგვისტოს, 09.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ბაღნარის, ბიჭვინთის, ჩიქვანაიას, რევოლუციის, სკოლის, ზაჰესის ქუჩების მაცხოვრებლებს.

# სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი რეფორმისთვის მზადაა

*რამდენიმე თვის წინათ საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის ჩეხვაზე მორატორიუმი გამოცხადდა. ამ პერიოდში საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტში რეფორმის განსახორციელებლად სპეციალური პროექტი შეიმუშავეს. როგორც დეპარტამენტის თავმჯდომარე ბიძინა გიორგობიანი აცხადებს, პროექტი დარგის სასწრაფო რესტრუქტურიზაციას ითვალისწინებს. თუკი მთავრობა მისი დაწყების თაობაზე დადგენილებას არ მიიღებს, სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარე მუშაობას უნაყოფოდ მიიჩნევს და, როგორც თავად აცხადებს, თანამდებობიდან წავა.*

თამარ დვალი

მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებული პროექტი, რომელსაც სატყეო სექტორის განვითარებისთვის უნდა შეეწყო ხელი, სპეციალისტების აზრით, მომგებიანია, მაგრამ - დროში გაწელილი. რადგანაც საქართველოს ტყეები მძიმე მდგომარეობაშია, ხოლო სახელმწიფო ხაზინა ბუნებრივად განახლებადი რესურსებიდან ძალიან ცოტა შემოსავალს იღებს, სატყეო მეურნეობის დეპარტამენტში აღნიშნული რეფორმის დაჩქარება გადაწყვიტეს. **"ჩვენ გავეცანით მსოფლიო ბანკისა და სხვადასხვა ქვეყნის რეკომენდაციებს, თუმცა ბრმად არც ერთი ქვეყნის მოდელი არ გადმოგვიღია. მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, შევიმუშავეთ გარკვეული წინადადებები და რეკომენდაციები მთავრობისთვის. რეფორმა ხე-ტყის ბირჟის ჩამოყალიბებას გულისხმობს, რომელიც ხელს შეუწყობს მერქნული და არამერქნული ტყის რესურსის ფასების რეალურ ფორმირებას. ამ ბირჟაზე მოხდება მერქნული რესურსის ნამდვილი ფასის დადგენა. რესურსის სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიხრი არის ძალიან დაბალი. თავისუფალი ვაჭრობა ავლენს იმ ღირებულებას, რომელიც მას აქვს. წინა წლებში დაინტერესებული ფირმები წინასწარ იხდიდნენ ადგილობრივ ბიუჯეტში ფულს და შემდეგ მოდიოდნენ ტენდერზე; ეს აბსურდული პრაქტიკა ავკრძალე. თუკი კახეთში წიფელი 16 ლარად იყიდებოდა, ახლა 51 ლარად გაიყიდა"**, - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბიძინა გიორგობიანმა.

რეფორმის თანახმად, სახელმწიფო ორგანოების, კერძოდ, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ფუნქციებში უნდა მოექცეს ტყითსარგებლობის სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა, სატყეო პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება-განხორციელება, ტყის რესურსებით სარგებლობის რეგულირება და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა. რაც შეეხება ტყითსარგებლობას, ტყის მოვლას, დაცვასა და აღდგენას, ეს ფუნქციები საქართველოს სააქციო საზოგადოებასა და სხვა კერძო ფირმებს შორის უნდა გადანაწილდეს. სააქციო საზოგადოების აქციების 100 პროცენტი თავიდან სახელმწიფო მფლობელობაში იქნება, შემდეგ მოგების ზრდის კვალად, მოხდება ამ აქციების გაყიდვა. ორგანიზაციები, რომლებიც ბირჟაზე იყიდიან გრძელვადიანი ტყითსარგებლობის უფლებას, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან ხელშეკრულების საფუძველზე, ვალდებულნი იქნებიან, თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე უზრუნველყონ დაცვა-აღდგენის, ტყეთმოწყობისა და ტყისათვის აუცილებელი სხვა ღონისძიებების განხორციელება. ამასთან, გრძელვადიანი ტყითსარგებლობის უფლების მქონე ფირმებს სავალდებულოდ უნდა დაუწესდეთ სახელმწიფო ორგანოების მიერ სერტიფიცირებული მეტყევე სპეციალისტების ყოლა. ერთჯერადმა მომპოვებლებმა, რომელთაც ბირჟაზე შეძენილი ექნებათ გარკვეული რაოდენობის ნედლეულის მოპოვების ნებართვა, რესურსის დასამზადებლად უნდა მიმართონ საქართველოს სატყეო სააქციო საზოგადოების რეგიონულ ბიუროებს (სატყეო მეურნეობებს), სწორედ სატყეო მეურნეობები განახორციელებენ შესაბამისი რაოდენობის ხე-ტყის დამზადებას ხელშეკრულების საფუძველზე. ამ სქემის მთავარი მიზანი არის ის, რომ ტყეში კვალიფიციურმა მეტყევემ იმუშაოს. ამჟამად მოლაპარაკება მიმდინარეობს ავსტრიის სატყეო სამსახურთან. ახლო მომავალში ქართველი მეტყევეები ავსტრიაში ორთვიან კვალიფიკაციას გაივლიან.

**"ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებას სხვადასხვა ქვეყნის ორგანიზაციებთან, რომლებიც მზად არიან, სააქციო საზოგადოებასთან ერთად იმუშაონ ჩვენს ბაზარზე. მართალია, ტყე ოცწლიანი სარგებლობით გაიცემა, მაგრამ იგი სახელმწიფო საკუთრებად რჩება. გრძელვადიანი დამაგრების მაგალითი უკვე გვაქვს. ახლახან ჩატარებულ ტენდერზე ერთ ფირმას, რომელსაც მაღალი ტექნოლოგიები და ფინანსური რესურსები აქვს, ხელშეკრულება გაუფორმდა და უკვე დაიწყო კიდეც საბაგირო გზის მშენებლობა. ეს ფირმა დამაგრებული ტერიტორიით ოცი წლის განმავლობაში ისარგებლებს; თუ როგორ ისარგებლებს, ამას სახელმწიფო გააკონტროლებს. მიმაჩნია, რომ ოცი წელი ცოტაა სარგებლობისთვის. როდესაც სატყეო გზები გაჰყავთ, ფულის ინვესტიციაც დიდია. ავსტრიელები ტყეს, მინიმუმ, 40 წლის ვადით გასცემენ. როდესაც ტყის კოდექსში ცვლილებებს შევიტანთ, დამაგრების ვადასაც გავზრდით. ყველანაირი ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელი იქნება ბირჟაზე. გვინდა, რომ ამგვარი ბირჟა დასავლეთ, ასევე, აღმოსავლეთ საქართველოშიც ფუნქციონირებდეს"**, - აღნიშნავს გიორგობიანი.

ამ სქემას სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი მთავრობის უახლოეს სხდომაზე წარადგენს. თუკი მის პროექტს მთავრობამ მხარი არ დაუჭირა, გიორგობიანი მუშაობის გაგრძელებას უნაყოფოდ მიიჩნევს. **"თუ გვინდა, საქართველოს ტყე გადავარჩინოთ, აუცილებელია სატყეო სფეროს დაუყოვნებლივი რეფორმა. რაც უფრო მალე დავიწყებთ რეფორმას, მით უკეთესი, რადგანაც თითოეულ დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს,** - აცხადებს გიორგობიანი. მისივე აზრით, საქართველოში ტყეების გაყიდვა ყოვლად დაუშვებელია.




# ქოლგა - გამგებლის ახალი მოადგილისგან

ნანა ყაველაშვილი

*10 აგვისტოდან საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის ყოფილი თავმჯდომარე აკაკი სიხარულიძე გურჯაანის რაიონის გამგებლის პირველი მოადგილის მოვალეობის შესრულებას შეუდგა. მისი თქმით, ახალი თანამდებობა მისალოცი სულაც არ არის, რადგან მას მძიმე მემკვიდრეობა ერგო - გურჯაანის რაიონი, სოციალ-ეკონომიკური მაჩვენებლით, ქვეყანაში ბოლო სამეულშია, კრიმინოგენული სიტუაციით კი - პირველში. გამგებლის პირველ მოადგილეს მიაჩნია, რომ თავის დროზე კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში პრესის, რადიოსა და ტელევიზიის სექტორის განყოფილების უფროსის მოადგილეობისას მიღებული გამოცდილება ახალ თანამდებობაზე გამოადგება. მეტსაც გეტყვით, გამგეობის კულუარებში მას მომავალ გამგებლად მოიხსენიებენ.*



ზაზა ფარუაშვილის ფოტო

*10 აგვისტოდან საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის ყოფილი თავმჯდომარე აკაკი სიხარულიძე გურჯაანის რაიონის გამგებლის პირველი მოადგილის მოვალეობის შესრულებას შეუდგა.*

**"ვიდრე სამუშაოდ გურჯაანის რაიონში წამოვიდოდი, რამდენიმე შემოთავაზება მქონდა - მათ შორის, ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეობაც, მაგრამ მე მშობლიურ რაიონში მუშაობა ვარჩიე. მართალია, ხელფასი სულ რაღაც 80 ლარია, მაგრამ მინდა, რაიმე სასიკეთო გავაკეთო იმ რაიონისთვის, სადაც დავიბადე და გავიზარდე"**, - ამბობს იგი. იმ რამდენიმე დღის განმავლობაში, რაც გამგებლის მოადგილის მოვალეობას ასრულებს, აკაკი სიხარულიძეს ათეულობით მოქალაქის მიღება და რაიონის ძირითადი პრობლემების შესწავლაც მოუსწრია.

გაირკვა, რომ გურჯაანის ყველაზე მწვავე პრობლემა უწყლობაა, რასაც მოსახლეობა რაიონში ელექტროენერგიის დეფიციტს აბრალებს. ადგილობრივ მცხოვრებთა თქმით, წყლის პრობლემა განსაკუთრებით ზამთარში აქვთ - ზოგჯერ წყალი მთელი კვირა არ მოდის. ისე, ზაფხულის ცხელ დღეებში შუალამისას რამდენიმე საათით გამოშვებული წყალიც ვერაფერი შეღავათია. ადგილობრივი მოსახლეობა წყალს ბუნებრივი წყაროებიდან ბიდონებითა და ურიკებით ეზიდება. **"ამჟამად მოსახლეობას წყალი ღამის ათი საათიდან დილის ათ საათამდე მიეწოდება. წყლის შეზღუდვით მიწოდების მიზეზი ადგილობრივი წყალსადენი სამსახურის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობა და წყალსადენში არსებული ტექნიკური პრობლემებია"**, - განმარტავს გამგებლის ახალი მოადგილე. მისი თქმით, ქალაქის ანტისანიტარიის პრობლემები, რაც, ასევე, აწუხებდა მოსახლეობას, უკვე მოუგვარებიათ: **"ცოტა ხნის წინათ ნაგვის ოცი უცხოური ავტომანქანა ჩამოვიყვანეთ. თითოეული 56 ბუნკერს მოემსახურება. თუ მოსახლეობამ თვითონ არ დაარღვია სანიტარული ნორმები, ქალაქში ანტისანიტარია აღარ იქნება"**.

პრობლემების მოგვარებას აკაკი სიხარულიძე რაიონის ადმინისტრაციული საზღვრის სანიშნი ტრაფარეტის დადგმითა და რაიონული ცენტრის იერ-სახის შეცვლით იწყებს. **"ვიცოდი, რომ ძალიან ბევრი პრობლემა მელოდა, მაგრამ ამდენიც არ მეგონა. ელემენტარულად, არ არსებობს სანიშნი ტრაფარეტი - თუ სად იწყება გურჯაანის და სად მთავრდება საგარეჯოს რაიონი. რაიონში რამდენიმე ნახევრად დანგრეული, ყოფილი უწყებრივი შენობაა, სადაც გადახდილი სახურავის ადგილას ზეცა მოჩანს. ასეთია, მაგალითად, სოფელ ჩუმლაყის კულტურის სახლი. 9 აგვისტოს ქალაქის ცენტრში ძლიერმა ხანძარმა ლამაზი საცხოვრებელი სახლი შეიწირა და 12 ოჯახი უსახლკაროდ დარჩა. მათი ერთი ნაწილი - სანატორიუმ "ახტალაში", დანარჩენი კი სასტუმროში შევასახლეთ. ამ სახლს აუცილებლად სჭირდება აღდგენა. ხანძრის მიზეზი ნორმების დარღვევით გაყვანილი ელექტროენერგიის სადენები გახდა. ასეთი დარღვევა ქალაქში უამრავია, რაც, ერთ მხრივ - მოსახლეობის, მეორე მხრივ ადგილობრივი ენერგეტიკული სამსახურის ბრალია. საკუთარი თვალით ვნახე ერთ ლეღვის ხეზე გამავალი ათობით სადენი. გურჯაანის კულტურის სახლის უკანა მხარეს სახანძრო კიბეც დახუნძლულია სადენებით, თანაც - ისეთ სიმაღლეზე, მოზარდიც რომ ადვილად მისწვდება"**, - წუხს გურჯაანის რაიონის გამგებლის ახალი მოადგილე. პირველი საკადრო ცვლილება მან სამსახურში მისვლისთანავე განახორციელა - 9 აგვისტოს ხანძრის ჩასაქრობად მისულ რაიონის სახანძრო სამსახურის მანქანებს წყალი არ აღმოაჩნდათ; ამიტომ, მეზობელი რაიონების სახანძრო სამსახურების დახმარება დასჭირდათ. აკაკი სიხარულიძეს მეორე დღესვე მოუთხოვია სახანძრო სამსახურის უფროსის გათავისუფლება.

რაიონის გამგებლის მოადგილის თანამდებობაზე აკაკი სიხარულიძის დანიშვნა მნიშვნელოვან მოვლენას დაემთხვა. მიმდინარე წლის ბიუჯეტი რაიონის ხელმძღვანელობამ, როგორც იქნა, აგვისტოს დასაწყისში დიდი დავიდარაბით დაამტკიცა. მაგრამ, ეკონომიკურად ჩამორჩენილი გურჯაანის რაიონის 27 სოფლისათვის სამი მილიონ ასი ათასი ლარი საკმარისი ნამდვილად არ არის. ბიუჯეტის დეფიციტის შევსებას რაიონის ხელმძღვანელობა "თბილისური" მეთოდებით ცდილობს. **"რაიონში ბევრი ურჩი და არასრულფასოვანი გადამხდელია. სულ სამი უწყებაა, რომელსაც ბიუჯეტში თანხა შემოაქვს: ნაყინის საწარმო, რკინიგზა და ბაზარი. ვინც ბიუჯეტს გადასახადს უმალავს, მათ მიმართ მკაცრი ზომები გატარდება - მათ დააკავებენ და, თუ არ გადაიხდიან, პასუხს აგებინებენ. საერთოდ, კეთილშობილი კაცი ვარ, მაგრამ პრობლემების მოგვარებას, ლოიალობა და ძველებური მეთოდებით ბრძოლა კი არა, მკაცრი და ახლებური მიდგომა სჭირდება"**, - ამბობს აკაკი სიხარულიძე.

რაიონის გამგებლის ახალი მოადგილე ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ დასვენებასა და დასაქმებაზეც ზრუნავს. **"ელექტროენერგიის დეფიციტის გამო, მოსახლეობა ადრიანად იძინებს. ახალგაზრდობა ვერსად ერთობა; ჩაბნელებულ ქუჩებში "ბირჟაზეც" ვერ გამოდიან. უნდა აღვადგინოთ ყოფილი კულტურისა და დასვენების პარკი, მოეწყოს დისკოთეკები, გასართობი ცენტრი, სადაც მომსახურე პერსონალად ადგილობრივი ახალგაზრდობა დასაქმდება"**.

რაიონის მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა და შემოსავლის წყარო სოფლის მეურნეობა და ვაჭრობაა. თუმცა, გაზაფხულის ნაგვიანევი ძლიერი ყინვებისა და ზაფხულში ორგზის სეტყვის გამო, იქაურებს მოსავლის იმედი აღარ აქვთ. ერთადერთი დახმარება, რასაც ამ ეტაპზე გამგებლის ახალი მოადგილე მოსახლეობას ჰპირდება, ღვინის ქარხნებში ყურძნის ჩასაბარებელი ფასის განსაზღვრისას მოსახლეობის ინტერესების დაცვაა. სამომავლოდ კი გურჯაანელ გლეხებს აკაკი სიხარულიძე დიდ საჩუქარს ჰპირდება: **"თბილისში მოველაპარაკე შესაბამისი საქმის კონსტრუქტორ-გამომგონებლებს, რომ შეიქმნას სეტყვის საწინააღმდეგო სპეციალური დანადგარი, რომელიც სეტყვისას ქოლგასავით გადაეფარება ვენახს და მას დაზიანებისაგან დაიცავს. მთავარია, გლეხმა საჭირო კნოპზე ხელის დროულად დაჭერა მოასწროს. ნახაზები უკვე არსებობს. თუ წამოწყება წარმატებით განხორციელდა, შეიძლება, კახეთის ისტორიაშიც შევიდეს"**.

# მე ბევრი ოსი მეგობარი მყავს...

თამარ დვალი

13 წლის ნინო ოქრუაშვილი სოფელ ბელოთში ცხოვრობს. მას შემდეგ, რაც ცხინვალში ვითარება დაიძაბა, მან თავის და-ძმასთან ერთად სოფელი დატოვა და ბორჯომის ხეობაში სანატორიუმში ისვენებს. ნინო პირველ ზაფხულს ატარებს კურორტზე და ძალიან მოსწონს, თუმცა თავისი სოფელი მაინც ყველაფერს ურჩევნია. **"ქართველებსა და ოსებს შორის წარმოქმნილი პირველი კონფლიქტის დროს პატარა ვიყავი და არაფერი მახსოვს. მე ბევრი ოსი მეგობარი მყავს და მათთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა. წამოსვლის წინ არავინ მინახავს, რადგან სროლები იყო და დედა გარეთ არ მიშვებდა. მართალია, აქ ძალიან კარგად ვერთობით, მაგრამ ჩემი სახლი და სოფელი მენატრება და მინდა, რომ მალე დავბრუნდეთ"**, - გვითხრა ნინო ოქრუაშვილმა.

ცხინვალის რეგიონიდან ცემში, კეჩხობში, ბაკურიანსა და ბორჯომში სულ 976 ბავშვი ისვენებს. ერთი ბავშვის შენახვა ადგილობრივ ხელისუფლებას დღეში შვიდი ლარი უჯდება. თუმცა, ქველმოქმედთა სია თანდათან იზრდება. პანსიონატ "მწვანე ველის" დამსვენებლებს ბადრი პატარკაციშვილის ფონდი აფინანსებს. კეჩხობის სანატორიუმს ბორჯომის კომპანია პატრონობს. პრეზიდენტის რწმუნებულს სამცხე-ჯავახეთში ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილს იმედი აქვს, რომ სხვა მეცენატებიც გამოეხმაურებიან.

გუშინ ცხინვალის რეგიონიდან გამოყვანილ და ბორჯომში ჩასახლებულ ბავშვებს კომპანია "აგრიტექნიკის" ჯგუფმა ერთი ტონა ქათმის ხორცი, ნახევარი ტონა ბანანი და რძის პროდუქტები ჩაუტანა. კომპანია "ყაზბეგმა" კი თბილი ტანსაცმელი, პირველადი მოხმარების ჰიგიენური საგნები, სპორტული ინვენტარი და სურსათი. დიდი და პატარა ლიახვის ხეობებიდან გამოყვანილი ბავშვებისათვის "ყაზბეგი" კვების პროდუქტებს ჩაიტანს - შაქარს, ფქვილს, სხვადასხვა სახეობის ბურღულეულს და ცივ ჩაისაც. იმ სანატორიუმის დამსვენებლებს, რომლებსაც ტელევიზორის ყურების შესაძლებლობა არ ჰქონდათ, "ყაზბეგის" დახმარებით, გუშინდელი დღიდან ეს პრობლემაც მოეხსნათ.

როგორც "ყაზბეგის მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი თოფაძე აცხადებს, ეს აქცია ერთჯერადი არ იქნება და კვლავ გაგრძელდება: **"იმედი გვაქვს, რომ ცხინვალის რეგიონში სიტუაცია დარეგულირდება და პატარებიც შეძლებენ უსაფრთხოდ დაუბრუნდნენ თავის საცხოვრებელ ადგილებს. ჩვენი კომპანია მომავალშიც არაერთხელ მოაწყობს საქველმოქმედო აქციას და გაახარებს მათ"**.

გუშინ, როდესაც მოზარდებს საჩუქრები ჩაუტანეს, დამსვენებლების ნაწილი სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსთან ერთად მწვანე მონასტერში იყო წასული. რამდენიმე მათგანი მოინათლა კიდეც.

საქართველოს ბავშვთა ფედერაციის დახმარებით, მოზარდებს ფსიქო-ფიზიკური რეაბილიტაციის პროგრამა უტარდებათ. სანატორიუმებში ახალგაზრდა ლიდერები მუშაობენ, რომლებიც სპორტულ და ინტელექტუალურ შეჯიბრებებს აწყობენ.

როგორც ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა ეთერ ასტემიროვამ გვითხრა, ცხინვალის რეგიონიდან ბავშვებისა და ქალების გამოყვანა ორი კვირის წინ დაიწყო. ამჟამად საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე ორი ათასამდე ადამიანი ისვენებს. **"მთელი საქართველო მზად არის, მიიღოს ეს ბავშვები, მაგრამ მთავარია, კონფლიქტი დამთავრდეს და სასწავლო წლის დაწყებისას ბავშვები თავიანთ სახლებს დაუბრუნდნენ"**, - აღნიშნა ასტემიროვამ.

# განცხადება

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია ადმინისტრაციული საქმის N3ა/86-2004წ. მასალები მოსარჩელეების - ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებული ფიზიკური პირების: ლევან გოცაძის, მერი დვალიშვილის, ზაზა თვალიაშვილისა და სხვათა სარჩელისა გამო, მოპასუხის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ, მესამე პირები: თბილისის მერია, შპს "საქართველოს რკინიგზა", საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური. დავის საგანი:

1. დაევალოს მოპასუხე მხარეს საქართველოს კანონის "ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართულ მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ" მე-4 მუხლის "დ", "ზ", "თ" პუნქტებით; მე-5 მუხლის მუხლის "დ", "ე", "ზ", "თ", "ი", "მ" პუნქტებით და მე-6 მუხლის "დ", "ე", "ზ", "თ", "ი" პუნქტებით გათვალისწინებული მუხლების მოთხოვნების შესაბამისად გათვალისწინებული შეღავათების შესრულება, გადაწყვეტილების შესრულება რაც მდგომარეობს:

- საცხოვრებელი ფართობის ქირისა და საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურეობის (წყალია, საყოფაცხოვრებო და სხვა ღირებულების გატანა, გაზი, ელ-ენერგია, რადიო, ტელეფონი) ღირებულების 50% გადასახადისაგან განთავისუფლება.

- შესაბამისი სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

- ქალაქში სახელმწიფო საქალაქო ტრანსპორტით უფასოდ სარგებლობა, აგრეთვე ქვეყნის შიგნით სარკინიგზო ტრანსპორტით 50% ფასდაკლებით მგზავრობა.

- წელიწადში ერთხელ სანატორიუმის, დასასვენებელი სახლისა და პროფილაქტორიუმის უფასო საგზურით უზრუნველყოფა სახელმწიფო ხარჯზე.

აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული მუხლების დაფინანსება უზრუნველყოს სახელმწიფომ, კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ.

მოპასუხე მხარეს დაევალოს გადაწყვეტილების მიღების დღიდანვე მისი დაუყოვნებლივ აღსრულება.

2. დაეკისროს მოპასუხე მხარეს: საქართველოს კანონის "ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართულ მშვიდობიანი აქციის დაბეგვრის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ" მე-5 მუხლის "ი" პუნქტის, მე-6 მუხლის "თ" პუნქტის მოთხოვნებით წელიწადში ერთხელ სანატორიუმის, დასასვენებელი სახლისა და პროფილაქტორიუმის უფასო საგზურით უზრუნველყოფა სახელმწიფო ხარჯზე, რომელთა დაფინანსებას უზრუნველყოფს სახელმწიფო საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს მეშვეობით. აღნიშნული მუხლების მოთხოვნა ეხება 1812 დაზარალებულს, რომელთა უზრუნველყოფის მიზნით დაფინანსება უნდა გამოყოფილიყო ერთ დაზარალებულზე წელიწადში ერთხელ 420 ლარი 12 დღიანი საგზურით. სულ ყოველ წელს მოპასუხე მხარეს უნდა უზრუნველეყო 1812 დაზარალებული, რაზედაც წელიწადში ერთხელ უნდა ჩაერიცხა 761 040 (შვიდას სამოცდაერთიათას ორმოცი ლარი). სამი წლის მანძილზე 2 283 120 ლარი (ორი მილიონ ორას ოთხმოცდასამი ათას ასოცი ლარი). კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელეებს არ მიუღიათ კანონით გათვალისწინებული დაფინანსება, რის საფუძველზეც ითხოვენ დაეკისროს მოპასუხეს 2 283 120 ლარის (ორი მილიონ ორას ოთხმოცდასამი ათას ასოცი ლარი) გადახდა. ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა სასარგებლოდ, თანხების გადანაწილება მოხდეს საქართველოს საქველმოქმედო ფონდ "9 აპრილ"-თან შეთანხმებით.

სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება შეიძლება შეეხოს ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულ ფიზიკურ პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. სასამართლო კოლეგია მიმართავს 9 აპრილს დაზარალებულ ფიზიკურ პირებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქმის საბოლოო შედეგით და ამცნობს მათ, რომ შეუძლიათ ჩაებან აღნიშნული საქმის განხილვაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად. თითოეულმა დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს განცხადების გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის (თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. 7ა) მოსამართლეს მიხეილ ბებიაშვილს.

თბილისის საოლქო სასამართლოს
ადმინისტრაციული სამართლისა და
საგადასახადო საქმეთა კოლეგია

# აბაშიძის დროინდელი ჩინოსნისთვის ქონების ჩამორთმევა გასაჩივრდება

*აჭარის უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილის, გოგი კუპრეიშვილის ქონების კონფისკაციის კანონიერებაზე ამჟამად უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატა იმსჯელებს. ყოველ შემთხვევაში, კუპრეიშვილის ადვოკატი ეკა ბესელია ორშაბათს უზენაეს სასამართლოში უკვე შეიტანს სარჩელს, რომლითაც წინა ინსტანციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვს.*



*აჭარის უზენაესი სასამართლოს სწორედ ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას გეგმავს კუპრეიშვილის ადვოკატი და დარწმუნებულია, რომ თუ სასამართლო კანონით იხელმძღვანელებს, გამარჯვება გარანტირებული აქვს.*

პრეზიდენტის წინააღმდეგ ტერაქტის დაგეგმვასა და სხვა არაერთ სერიოზულ დანაშაულში მხილებულ, ასლან აბაშიძის დროინდელი აჭარის უშიშროების ყოფილი მინისტრის ყოფილ მოადგილეს გოგი კუპრეიშვილს, აჭარის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, მთელი ის ქონება, რომელიც თავის დროზე სამხედრო პროკურატურამ დაუსაბუთებლად მიიჩნია, სრულად ჩამოერთვა. ჩამორთმეულ ქონებას შორისაა ორი საცხოვრებელი სახლი და ერთი ბინა ბათუმში, მიწის ნაკვეთი აბაშის რაიონში. გარდა ამისა, თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ბრალდებულის გოგი კუპრეიშვილის ოჯახის წევრებს ბათუმში გაყიდული ბინების საფასურის გადახდაც მოუწევთ. დაუსაბუთებელი ქონების ნუსხაში მოხვდა ავტომანქანა "ნივაც".

კუპრეიშვილის ქონება დაახლოებით 500.000 ლარად არის შეფასებული, აქედან დაახლოებით 100.000 ლარი, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბრალდებულს ბიუჯეტისთვის ნაღდი ფულით უნდა გადაეხადა.

აჭარის უზენაესი სასამართლოს სწორედ ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას გეგმავს კუპრეიშვილის ადვოკატი და დარწმუნებულია, რომ თუ სასამართლო კანონით იხელმძღვანელებს, გამარჯვება გარანტირებული აქვს.

ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელიც ეჭვს შეიტანს იმაში, რომ ასლან აბაშიძესთან განსაკუთრებულად დაახლოებულ ჩინოსანს დაუსაბუთებელი ქონება აღმოაჩნდებოდა. მაგრამ, ეკა ბესელიას მიერ ჩამოთვლილი დარღვევები, რომლებითაც, ადვოკატის აზრით, აჭარის სასამართლომ ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო, თუ უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ გაითვალისწინა, ეს ნიშნავს, რომ პროკურატურაში საქმის წარმოება კვლავაც ძველი ტრადიციების დაცვით მიმდინარეობს. თუმცა, ამის გამო პასუხი ვერავის მოეთხოვება, რადგან სამხედრო პროკურატურა, რომელმაც სასამართლოს კუპრეიშვილის დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შუამდგომლობით მიმართა, უკვე გაუქმებულია.

სხვათა შორის, ეს ერთ-ერთი არგუმენტი გახლავთ, რის გამოც ეკა ბესელია სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვს:

**"სასამართლოს მთავარი სხდომის დროს დაწესებულება, რომელმაც სარჩელი წარადგინა, უკვე გაუქმებული იყო, გენერალური პროკურატურის წარმომადგენელს კი, რომელიც პროცესს ესწრებოდა, სათანადო რწმუნება წარდგენილი არ ჰქონდა. შესაბამისად, მოსარჩელე მხარე არასათანადოდ იყო წარმოდგენილი,** - ამბობს ადვოკატი, რომელიც პროცესს არც თავად ესწრებოდა - **სხდომა ისე წარიმართა, რომ მას არც მოპასუხე მხარე ესწრებოდა. ამასთან, კუპრეიშვილისთვის ქონების ჩამორთმევა სულაც არ იყო აჭარის უმაღლესი სასამართლოს განსახილველი. ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ამ საქმის განხილვა საოლქო სასამართლოს ექვემდებარება".**

პროცესუალური პრეტენზიების გარდა, ადვოკატს გადაწყვეტილების გაუქმების აუცილებლობის არგუმენტად ფაქტობრივი დარღვევებიც მოჰყავს:

**"ჯერ ერთი, სასამართლომ თავად გამოიტანა განჩინება, რომლითაც პროკურატურას ათდღიანი ვადა მისცა მტკიცებულებების სრულად წარსადგენად, რაც პროკურატურამ არ შეასრულა და მიუხედავად ამისა, სასამართლომ საკუთარი განჩინების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება გამოიტანა. არადა, პროკურატურის სარჩელის დაკმაყოფილებით სასამართლომ კუპრეიშვილის იმ ბინების ჩამორთმევის გადაწყვეტილება გამოიტანა, რომელთაგან ერთი კუპრეიშვილის მშობლებმა 1948 წელს მიიღეს და მას მემკვიდრეობით დაუტოვეს, მეორე კი სამსახურიდან მიიღო".**

ამ არგუმენტაციის შემცველ საკასაციო სარჩელს ეკა ბესელია უზენაეს სასამართლოში ორშაბათს შეიტანს. სასამართლოს ერთთვიანი ვადა აქვს სხდომის დასანიშნად.

*24 საათი*

# თამაზ მაღლაკელიძის გატაცების საქმე სასამართლოში გადაიგზავნა

თბილისის პროკურატურამ დაასრულა "გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თანათავმჯდომარის თამაზ მაღლაკელიძის გატაცების საქმის გამოძიება და ამ დანაშაულში ბრალდებულების, გენერალ გია ვაშაკიძის, ელდარ გოგბერაშვილისა და ბენიამინ სანებლიძის საქმე განსახილველად უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიაში გააგზავნა.

ვაშაკიძე, გოგბერაშვილი და სანებლიძე სამართალდამცველებმა მიმდინარე წლის 10 იანვარს დააკავეს. გამოძიების მტკიცებით, მათ 2003 წლის 5 დეკემბერს თამაზ მაღლაკელიძე გაიტაცეს და დიღმის ტყეში, საგანგებოდ გათხრილ სანგარში ჰყავდათ გადამალული. 35-დღიანი ტყვეობის შემდეგ მაღლაკელიძე თბილისის პოლიციისა და შს და იუსტიციის სამინისტროების ერთობლივი ოპერაციისას გაათავისუფლეს.

ბრალდებულები თავს დამნაშავედ არ ცნობენ. მათი დაკავებიდან რამდენიმე დღეში გავრცელდა ინფორმაცია სანებლიძისა და გოგბერაშვილის წამების თაობაზე. ადამიანის უფლებების დამცველები ამტკიცებდნენ, რომ მათ ჩვენებები წამებით გამოსძალეს.

დაკავებულთა სხეულის დაზიანების თაობაზე ინფორმაციას არც მაშინდელი შს მინისტრი გიორგი ბარამიძე უარყოფდა, თუმცა აცხადებდა, რომ დაკავებულებმა დაზიანებები დაკავებისას მიიღეს. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო პროკურატურის მიერ შეგროვილ მტკიცებულებებს სარწმუნოდ მიიჩნევს, ბრალდებულებს მაქსიმუმ თხუთმეტწლიანი სასჯელი ემუქრებათ.

*მედია-ნიუსი*

# საპატრულო პოლიციის მუშაობის პირველი შედეგები

როგორც ცნობილია, საპატრულო პოლიციამ მუშაობა რამდენიმე დღის წინ დაიწყო და როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური ირწმუნება, მათ უკვე მოახერხეს დიდი რაოდენობით დანაშაულის აღრიცხვა. კონკრეტულად, რა დანაშაულებზეა საუბარი, შინაგან საქმეთა სამინისტროში ამ ეტაპზე არ აზუსტებენ, თუმცა გვპირდებიან, რომ შედეგს უახლოეს მომავალში გამოაქვეყნებენ.

ქვეყნის მასშტაბით საპატრულო პოლიციის 130 ავტომანქანა მოძრაობს, გარდა ამისა, ქუჩაში წესრიგს ფეხით მოსიარულე საპატრულო პოლიციელებიც აკონტროლებენ. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, საპატრულო პოლიცია 24 საათი მუშაობს. მას, საგზაო პოლიციისაგან განსხვავებით, გადაუდებელ შემთხვევაში უფლება აქვს გაჩხრიკოს და დააკავოს საეჭვო პირები.

საპატრულო პოლიციის ავტომანქანის ადგილსამყოფელი კომპიუტერული სისტემით კონტროლდება. ცენტრსა და საპატრულო პოლიციელებს კავშირი რაციის მეშვეობით აქვთ. თითოეულ ავტომანქანაში ორი-სამი პოლიციელია. მათ ხან ავტომანქანით, ხან კი ფეხით უწევთ პატრულირება. საპატრულო პოლიციელებს 500 ლარზე მეტი ხელფასი აქვთ. ამ პოლიციაში უკვე 1000-ზე მეტი ადამიანი მუშაობს.

*მედია-ნიუსი*

# აფხაზები ქუბურხინჯის შეხვედრას ბოიკოტს უცხადებენ

აფხაზური მხარე ქუბურხინჯის ყოველკვირეული ოთხმხრივი შეხვედრის ბოიკოტირებას განაგრძობს, რის გამოც ქუბურხინჯის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე დღეისთვის დაგეგმილი ოთხმხრივი შეხვედრა მესამედ ჩაიშლება.

სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მაქსიმ გვინჯიას განმარტებით, აფხაზების მხრიდან ქუბურხინჯის ოთხმხრივი შეხვედრების ბოიკოტირება 30 ივლისს, ქართული მხარის მიერ აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში თურქული გემისათვის ცეცხლის გახსნას უკავშირდება.

ქუბურხინჯის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე ოთხმხრივი მოლაპარაკებები 1995 წლიდან ტარდებოდა და მასში, დაპირისპირებულ მხარეთა გარდა, მონაწილეობას კონფლიქტის ზონაში მოქმედი, გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მისიისა და რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები იღებდნენ. ქუბურხინჯის ოთხმხრივი მოლაპარაკებების ფარგლებში, 2000 წლიდან ასევე ფუნქციონირებდა მხარეთა წარმომადგენლების ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფი, რომელსაც უსაფრთხოების 12-კილომეტრიან ზონაში მომხდარი დანაშაულის გამოძიება ევალებოდა.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**ზუგდიდი.** ზუგდიდში სს "სოფტექნიკის" ტერიტორიაზე მდებარე აუზში გამწმენდი სამუშაოებისას საბრძოლო მდგომარეობაში მყოფი 21 ერთეული საზენიტო ჭურვი და ერთი ყუმბარმტყორცნი აღმოაჩინეს. ადგილზე სამეგრელო-ზემო სვანეთის უშიშროების სამსახურის თანამშრომლები მივიდნენ. ისინი ამ ტერიტორიაზე სხვა იარაღის აღმოჩენას არ გამორიცხავენ. მიმდინარეობს გამოძიება. შეგახსენებთ, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში სამოქალაქო დაპირისპირებისას აღნიშნული ობიექტი პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრე გვარდიის შტაბს ეკავა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** გუშინ დილით ქუთაისში დაუდგენელმა პირებმა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის უნივერსიტეტის რექტორის კაბინეტი გაქურდეს. უნივერსიტეტის შენობას ამ პერიოდში დაცვის თანამშრომლები იცავდნენ. პოლიციამ მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა. სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის უნივერსიტეტი 1993 წლიდან, აფხაზეთის ომის შემდეგ, დროებით ქუთაისში მოღვაწეობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოში მცხოვრები ნაბი ოსმანოვი, რომლისგანაც ამოიღეს 16-კალიბრიანი გადაჭრილი თოფი ორი ვაზნით და ხელყუმბარა "რგდ"-4. ასევე დააკავეს ქურდული ტრადიციების მიმდევარი, სენაკელი მალხაზ გაბელია, რომლის მიკროავტობუსიდან "ფორდ-ტრანზიტი" ამოიღეს ერთი ხელყუმბარა "ფ-1". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დაადგინეს 20 წლის ლერი მალასიძე, რომელმაც თბილისში, ლეონიძის ქუჩაზე მდებარე პოკერ-კლუბ "ფორტუნაში" ურთიერთშელაპარაკებისას დანით გულ-მკერდში მრავალი ჭრილობა მიაყენა შპს "ადამიანის უფლებათა დაცვის ძიების ცენტრის" მცველს ლევან ფირანიშვილს, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა. **მედია-ნიუსი**


**განცხადება წინადადებების მიღებაზე (RFP)**

btc

SCP South Caucasus Pipeline

**გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამის ფარგლებში კავკასიის რეგიონალური ბიომრავალფეროვნების პროექტის თემაზე**

კომპანია "ბი-პი"-ს მიერ ოპერირებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა (BTC Co.) და სამხრეთ კავკასიური გაზსადენისთვის (SCP)

**ოპერატორი - კომპანია BP**
*გამოშვების თარიღი:* **2004 წლის 26 ივლისი, ორშაბათი**
*წინადადებების მიღების ბოლო დღე და საათი:* **10 სექტემბერი, პარასკევი, გაერთიანებული სამეფოს (UK) ადგილობრივი დროით 17:00 სთ.**

"ბი-პი", როგორც "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" (BTC) და "სამხრეთ კავკასიური გაზსადენის კომპანიის" (SCP) ოპერატორი და მათი სახელით მოქმედი ორგანიზაცია, აცხადებს კონკურსს განაცხადების მიღებაზე შესაბამისი ორგანიზაციებიდან, რომელთაც დაევალებათ პროექტის შედგენა და განხორციელება გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამის (EIP) ფარგლებში BTC-ის და SCP-ის მიერ განსაზღვრულ ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე.

გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამა მთელი რიგი სხვადასხვა თემებისგან შედგება, რომლებიც პროექტში მონაწილე ეროვნულ და საერთაშორისო მხარეებთან კონსულტაციების შედეგად განისაზღვრა.

წინადადებების მიღება ცხადდება ექსკლუზიურად იმ პროექტებზე, რომლებიც EIP-ის პრიორიტეტულ თემას, **კავკასიის რეგიონალურ ბიომრავალფეროვნების პროექტს,** ეძღვნება. აღნიშნული თემის ამოცანაა რეგიონალური ბიომრავალფეროვნების პროექტის შედგენა და განხორციელება აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ჩართვით, რათა გატარებულ იქნას ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობისა და კონსერვაციისკენ მიმართული ღონისძიებები. პროექტით გათვალისწინებულ უნდა იქნას რეგიონში ბიომრავალფეროვნების წინაშე მდგარი საფრთხის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ინსტიტუციონალური წყაროები და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის შესაძლებლობები. პროექტი უნდა წარიმართოს ეროვნული ბიომრავალფეროვნების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმების ფარგლებში, ასევე იმ საერთაშორისო კონვენციების ჩარჩოებში, რომელთა ხელმომწერ მხარეებად აღნიშნული ქვეყნების მთავრობები გვევლინებიან.

განმცხადებლებს უნდა შეეძლოთ აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში მუშაობა საკუთარი სტრუქტურების ან სხვა შემსრულებელი პარტნიორების მეშვეობით, უნდა შეეძლოთ თანხების მიღება BTC-დან და SCP-დან, ანგარიშ-ფაქტურებისა და ქვითრების გაცემა და უნდა იყვნენ რეგისტრირებულნი როგორც გადამხდელი შესაბამის საგადასახადო ორგანოში. მათ მოეთხოვებათ ყველა შესაბამისი ადგილობრივი იურიდიული, სამოქალაქო და ფისკალური წესების დაცვა.

წინადადებები EIP-ს აღნიშნულ თემაზე მიიღება წინადადებების მიღების განცხადების (RFP) დოკუმენტის მეშვეობით. RFP-ი მიზნად ისახავს განმცხადებლებისთვის ინსტრუქციებისა და განმარტებების მიცემას.

წინადადებების მიღების განცხადების - RFP -ის დოკუმენტაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე:
www.caspiandevelopmentandexport.com



ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION
ფონდი **ღია საზოგადება - საქართველო**
**ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში**

**აცხადებს კონკურსს თემაზე**

**ქართულ-ოსური ურთიერთობების ხელშეწყობა: გზა კონფლიქტის გადაწყვეტისკენ**

**კონკურსის მიზანი**

ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირებაში პროგრესის დასაწყებად, სახელისუფლებო ქმედებებს საზოგადოებრივი აქტივობა და სახალხო დიპლომატია უნდა უქმნიდეს სამშვიდობო და კონსტრუქციულ ფონს.

კონკურსის მიზანია არსებული ვითარების ფონზე და კონფლიქტის დარეგულირებაში საზოგადოებრივი ძალისხმევის ინტენსიფიცირება.

ფონდისთვის პრიორიტეტულია შემდეგი მიმართულებები და საქმიანობის ფორმები:

1. ერთობლივი, ქართულ-ოსური კვლევითი და ჟურნალისტური საქმიანობა;
2. საზოგადოებრივად აქტიურ და გავლენიან ქართულ და ოსურ წრეებს შორის შეხებისა და თანხმობის წერტილების მოძებნაზე ორიენტირებული დიალოგის ხელშეწყობა;
3. ისეთი ტიპის ცალმხრივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც კონფლიქტის მონაწილე მეორე მხარის ნდობის აღდგენაზე იქნება მიმართული.

**კონკურსში მონაწილეობა:**
კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ რეგისტრირებულ არასამთავრობო, არამომგებიან ორგანიზაციას, აგრეთვე საინიციატივო ჯგუფს.

**კონკურსის პირობები**
პროექტის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 12 000 აშშ დოლარს.

**კონკურსის ვადები**
საკონკურსო განაცხადის შემოტანის **ბოლო ვადაა 2004 წლის 17 სექტემბერი 16.00 საათი**
კონსულტაციები გაიმართება ფონდის ოფისში 1, 8, 15 სექტემბერს 15.00 საათზე.
გამარჯვებულები გამოვლინდებიან 2004 წლის ოქტომბერში.

**ჭოველიძე ქ. 1 0., თბილისი, Gსქართველო 380008**
**ტელეფონი: (+995 32) 93 89 99, 25 05 92**
**ფაქსი: (+995 32) 29 10 52**
**ელექტრონული ფოსტა: kartuli@osgf.ge**

# ქალბატონი მინისტრის დასკვნები არგუმენტირებული უნდა იყოს



*რევოლუციური ცვლილებების კეთილმყოფელ ტალღას ნავთობსადენის დაპროექტებასა და მშენებლობაში არსებულ მდგომარეობაში სერიოზული ცვლილებები არ გამოუწვევია.*

მიგვაჩნია, რომ ქ-ნი თამარის მხრიდან, საქართველოს პრეზიდენტის სახელზე გამოქვეყნებული ღია წერილის (გაზეთი "24 საათი", 22.07.04. N174) ავტორების ინერტულობაში და შესაბამისად ბორჯომის ხეობისათვის არსებული საფრთხის გამო, მათი დადანაშაულება გამოწვეულია იმით, რომ იგი კარგად არ არის გარკვეული "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ნავთობსადენთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით პრობლემებში.

უნდა ვიფიქროთ, რომ ქ-ნი თამარი ადრეც იყო დაინტერესებული გარემოსდაცვითი საკითხებით და ეს გახლდათ ერთ-ერთი მიზეზი მის მიერ მინისტრის მაღალი პოსტის დაკავებისა.

აღნიშნულთან ერთად ცნობილია, რომ იგი ხელმძღვანელობდა არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტანტას", რომელთანაც ამჟამად თანამშრომლობს და რომელიც BP-ს პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობით არის დაკავებული; ამდენად, მისი ("კონსტანტას") ხელმძღვანელისათვის რამდენიმე მიზეზი არსებობდა ბორჯომის ხეობაში ნავთობსადენის გატარების საწინააღმდეგო მოძრაობაში მონაწილეობისათვის თუ არა, ამ საკითხზე მოსაზრების გამოთქმისათვის მაინც.

ჩვენ მისგან მსგავსი არაფერი გვსმენია და ასეთ ვითარებაში თითის სხვისკენ გაშვერა მართებულად არ მიგვაჩნია; ხოლო ის, თუ რისი გაკეთება შეძლეს ღია წერილის ავტორებმა, ვფიქრობთ, სასარგებლო იქნება ქ-ნი მინისტრისათვის და საინტერესო საზოგადოებისათვის, რის გამოც წარმოგიდგენთ იმ ქმედებათა ჩამონათვალს, რომელთა საშუალებითაც ისინი ცდილობდნენ, რომ ნავთობსადენის მშენებლობის პროექტი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით ყოფილიყო შედგენილი:

1. 2001 წელს გ. ჭანტურიასთან გამართულ სხდომაზე, პროფესორებმა უ. ზვიადაძემ და მ. გვრიტიშვილმა, ჰიდროგეოლოგიური პირობების და ბიომრავალფეროვნების საკითხების გაუთვალისწინებლობის გამო, ბორჯომის ხეობაში ნავთობსადენის გატარებას ეკოლოგიური დანაშაულის კვალიფიკაცია მისცეს.

2. 2001 წლის 17 მარტს საქართველოს მწვანეთა პარტიამ გაავრცელა განცხადება წარმოდგენილი მარშრუტის მიუღებლობის შესახებ.

3. 2002 წლის 6-7 ივნისს ბაქოში, აზერბაიჯანის ნავთობის აკადემიის და კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე ე. კაცაძემ გააკეთა მოხსენება ნავთობსადენის ტრასის 175-222 კმ-ს ფარგლებში არახელსაყრელი საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამო, "ყარა-ყაიას" ვარიანტით, ბორჯომის მონაკვეთის შეცვლის აუცილებლობის შესახებ.

4. 2002 წლის 18 ივლისს და 12 ნოემბერს საქართველოს მწვანეთა პარტიის ოფისში მოწვეულ ექსპერტთა მონაწილეობით მოეწყო გარემოზე შესძლო ზემოქმედების პროექტის (გშზ-ს) განხილვები და შესაბამისი უარყოფითი დასკვნები გაეგზავნა BP-ს, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას (სნსკ-ს) და გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს.

5. 2002 წლის 27 ნოემბერს სნსკ-ს შენობის წინ არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ ჩაატარა აქცია, ბორჯომის ხეობიდან ნავთობსადენის გადატანის მოთხოვნით.

6. 2002 წელს საქართველოში ჰიდროგეოლოგიური კვლევების ფუძემდებელმა, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ი. ბუაჩიძემ ბორჯომის ხეობაში ნავთობსადენის გატარების დაუშვებლობის შესახებ ღია წერილით მიმართა პრეზიდენტ ე. შევარდნაძეს.

7. 2002 წლის 29 და 30 ნოემბერს გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის დღეებში, საქართველოს მწვანეთა პარტიამ და ასოციაცია "ლობო"-მ ნავთობსადენის მარშრუტის შეცვლის მოთხოვნით ჩაატარეს აქციები, შესაბამისად, BP-ს თბილისის ოფისის და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობების წინ.

8. 2002 წლის 5 დეკემბერს ლონდონში BP-ს ოფისის წინ, საქართველოს მწვანეთა თხოვნით, ნავთობსადენის ბორჯომის ხეობიდან გადატანის მოთხოვნით მხარდამჭერი აქცია ჩაატარა ინგლისის არასამთავრობო ორგანიზაციამ: "მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრები".

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო მსოფლიო ბანკმა შეაჩერა პროექტის ფინანსირება და დანიშნა 9 თვიანი ვადა დამატებითი განხილვებისათვის.

9. 2003 წლის 25 მარტს ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის ("იბიარდი"-ს) თბილისის ოფისთან, ბორჯომის ხეობიდან ნავთობსადენის გადატანის მოთხოვნით ჩატარდა ორი დამოუკიდებელი აქცია, ორგანიზებული საქართველოს მწვანეთა მოძრაობის და არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის მიერ, იმავე დღეს კოალიციამ მოაწყო აღნიშნული საკითხის განხილვა თეატრალურ სარდაფში.

პარალელური მხარდამჭერი აქცია ინგლისის არასამთავრობო ორგანიზაციის "მწვანეთა მოძრაობა-დედამიწის მეგობრები"-ს მიერ ჩატარდა BP-ს ლონდონის ოფისის წინ.

10. 2003 წლის 30-31 ივნისს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის მიერ კინოს სახლში ჩატარდა ნავთობსადენის პრობლემისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომელზედაც თავისი უარყოფითი დამოკიდებულება პროექტში არსებული შეცდომების გამო გამოთქვეს: აკადემიკოსმა გ. გიგაურმა, პროფესორებმა უ. ზვიადაძემ და მ. გვრიტიშვილმა, ე. კაცაძემ, ლ. გაფრინდაშვილმა, მ. ქოჩლაძემ, გ. ნიკოლეიშვილმა, ქ. გუჯარაიძემ, ნ. ჯანაშიამ და სხვებმა.

11. 2003 წლის 31 ივნისს საქართველოს მწვანეთა პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე გ. გაჩეჩილაძემ ჟურნალისტებს წარუდგინა ქართველი გეოლოგების მიერ შედგენილი მეწყრული პროცესების ამსახველი რუკა.

12. 2003 წელს, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის ინიციატივით, ნავთობსადენთან დაკავშირებული პრობლემების განსახილველად საქართველოში ჩამოვიდა ამერიკის ყოფილი ელჩი გაერო-ში, ამერიკის მთავრობის მრჩეველი, ბ-ნი ჯონ მაკდონალდი.

13. 2003 წელს ე. კაცაძის და ჰ. სალუქვაძის სპეციალური წერილი, ტრასის ბორჯომის ხეობის მონაკვეთის და მიმდებარე ტერიტორიის არახელსაყრელი საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესახებ, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის მიერ მიწოდებული იქნა და განიხილეს თეთრ სახლში.

14. 2003 წლის აგვისტოში უშიშროების საბჭოს სხდომაზე BP-ის, სნსკ-ს და ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე გ. გიგაურმა, უ. ზვიადაძემ, მ. გვრიტიშვილმა, ზ. ბოკუჩავამ, ე. კაცაძემ, რ. ღამბაშიძემ და სხვებმა გამოთქვეს კრიტიკული შენიშვნები პროექტის მიმართ და მოითხოვეს მარშრუტის შეცვლა.

*შემოგვაქვს წინადადება, დაფუძნდეს "ბორჯომის ხეობის გადარჩენის ფონდი", რომელიც სხვა წყაროებთან ერთად დააფინანსებს ნავთობსადენის მიერ ხეობისათვის უკვე მიყენებული და მოსალოდნელი ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოებს, სხვა გარემოსდაცვით პროგრამებს. ფონდში პირველი შენატანი უნდა იყოს ყოფილი პრეზიდენტის და მისი უახლოესი გარემოცვის ქონება, რომელთაც საჯაროდ აიღეს პასუხისმგებლობა ბორჯომის ხეობის უსაფრთხოებაზე.*

15. 2003 წლის 8-11 სექტემბერს ბორჯომსა და თბილისში ორგანიზებულ პროექტის განხილვებში კრიტიკული შენიშვნები გამოთქვეს ე. კაცაძემ, უ. ზვიადაძემ, მ. გვრიტიშვილმა, ზ. ბოკუჩავამ, ლ. გაფრინდაშვილმა მ. ქოჩლაძემ, ლ. ჩხარტიშვილმა, ნ. ჯანაშიამ, გ. ნიკოლეიშვილმა, WWF-ის წარმომადგენლებმა და სხვებმა.

16. 2003 წლის 17 სექტემბერს ასოციაცია "ლობო"-ს მიერ, ბორჯომში, გამგეობის შენობის წინ გამართულ იქნა საპროტესტო აქცია ბორჯომის ხეობიდან ნავთობსადენის გადატანის მოთხოვნით. აქცია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სასტიკად იქნა დარბეული.

17. BP-ს, მსოფლიო ბანკის, სნსკ-ს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ განხილვებზე, პროექტში არსებულ სერიოზულ შეცდომებზე მიუთითებდნენ ცნობილი ქართველი ექსპერტები: გეოლოგები - მ. თვალჭრელიძე, ჯ. გაბეჩავა და დ. ონიანი, ჰიდროტექნიკოსი - თ. მდინარაძე, ჰიდროლოგები - ბ. უკლება და შ. ჯაოშვილი.

18. ვითარების გარკვევისა და გამოსწორების მიზნით ვწერდით წერილებს BP-ის, მსოფლიო ბანკისა და "იბიარდი"-ს ცენტრალურ ოფისებს.

19. პერიოდულად მოწყობილ თათბირებზე ვხვდებოდით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და სნსკ-ს ხელმძღვანელებს, რომელზედაც ვსაუბრობდით პროექტის ნაკლოვანებებზე.

20. ნავთობსადენის პროექტში არსებული შეცდომებისა და ნაკლოვანების გამოსწორების მიზნით კიდევ არაერთი ნაბიჯი იქნა გადადგმული არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის, მწვანეთა მოძრაობის, WWF-ის, CENN-ის, ცალკეული ექსპერტების და სხვა კერძო პირების მიერ, რომელთა ჩამოთვლა წერილის შეზღუდული მოცულობის გამო შეუძლებელია.

და ეს ყველაფერი კეთდებოდა ვითარებაში, როდესაც პრეზიდენტ ე. შევარდნაძეს უკვე გამოტანილი ჰქონდა ვერდიქტი: "შემოთავაზებული მარშრუტი წარმოადგენს ერთადერთ ტექნიკურად განხორციელებად ვარიანტს", ხოლო მისი ერთ-ერთი ახლადშეძენილი, კოლორიტულ-აგრესიული იდეოლოგი ნ. მოლოდინაშვილი ნავთობსადენის ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით გატარების მომხრეებს სამშობლოს მოღალატეებსა და უცხო ქვეყნის აგენტებს უწოდებდა (იხ. 2002 წლის 28-29 X11 "საქართველოს რესპუბლიკა" N 317-318)

მიგვაჩნია, რომ ღია წერილის ავტორებმა შესაძლებლობების მაქსიმუმი გავაკეთეთ; მეტის მიღწევა, ანუ ხელისუფლების იძულება, მოეთხოვა ინვესტორისათვის მარშრუტის შეცვლა, მხოლოდ მასობრივი სახალხო გამოსვლებით იყო შესაძლებელი. ასეთი სახის ზეწოლა ნავთობსადენთან თვითიდენტიფიცირებულ, კრიტიკისადმი ყრუ შევარდნაძის რეჟიმზე, პრაქტიკულად, ხელისუფლების ცვლას ნიშნავდა.

ასეთი პროცესების ორგანიზებისა და მართვის უნარი საქართველოში მხოლოდ ერთ პიროვნებას, ბ-ნ მიხეილ სააკაშვილს აღმოაჩნდა და ამის გამო ქ-ნმა თამარმა საზოგადოება დამნაშავედ არ უნდა ჩათვალოს.

ჩვენ არც ამჟამად ვწყვეტთ ჩვეულ საქმიანობას - 2004 წლის გაზაფხულზე არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ, ბუნების დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WWF-ის) კავკასიის ფილიალის დახმარებით, მსოფლიო ბანკის ომბუდსმენის სახელზე შეიტანა სარჩელი, რის საფუძველზეც საქართველოში ჩამობრძანდნენ ომბუდსმენის აპარატის წარმომადგენლები. ისინი გაეცნენ ბორჯომის ხეობაში ნავთობსადენის გატარებასთან დაკავშირებულ სერიოზულ პრობლემებს.

სამწუხაროდ, რევოლუციური ცვლილებების კეთილმყოფელ ტალღას ნავთობსადენის დაპროექტებასა და მშენებლობაში არსებულ მდგომარეობაში სერიოზული ცვლილებები არ გამოუწვევია, არ ჩამოყალიბებულა ახალი ჯანსაღი, ქმედითუნარიანი სტრუქტურა. მართალია, სნსკ-ს ნეგატიური გავლენა აშკარად აღარ იგრძნობა, მაგრამ მისი აქტივისტები, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ გარემოს დაცვით საკითხებზე და არსებული პრობლემის ერთ-ერთი ავტორები და საზოგადოების დეზინფორმაციის ოსტატები არიან, ახლა დამოუკიდებელ ექსპერტთა საერთაშორისო საბჭოს ("პანელის") და საქართველოს მთავრობის ტექნიკური მრჩევლის სახელით აგრძელებენ ჩვეულ "მოღვაწეობას". ამის მიზეზი სხვა ფაქტორებთან ერთად, ისიც უნდა იყოს, რომ მსოფლიო ბანკის მიერ დაქირავებული ექსპერტების და მრჩევლების სტრუქტურები ბოლომდე დამოუკიდებელნი, ობიექტურნი ვერ იქნებიან, ვინაიდან იგივე მსოფლიო ბანკი ნავთობსადენის მშენებლობის ერთ-ერთი მსხვილი დამფინანსებელია და პროექტის მაქსიმალურ ეკონომიკურ ეფექტიანობაში, ანუ მშენებლობის მინიმალური ხარჯებით წარმოებაშია დაინტერესებული.

ნამდვილად დამოუკიდებელი ექსპერტები, ჰოლანდიის მთავრობის მიერ წარმოგზავნილი სპეციალისტები იყვნენ და არიან კიდეც; შევარდნაძის რეჟიმის პერიოდში მათ კონფიდენციალური სამთავრობო დირექტივით ეშლებოდათ ხელი ქვეყნისათვის დახმარების გაწევაში და მათი არც ერთი რეკომენდაცია გათვალისწინებული არ იქნა; ყოფილი პრეზიდენტი მათთან შეხვედრასაც კი გაურბოდა.

მისასალმებელია, როდესაც თქვენ ბრძანებთ, რომ პროექტი არასრულყოფილების გამო 22 ივლისს შეჩერდა, მაგრამ არაფერს ამბობთ იმაზე, რომ ორი კვირის მანძილზე BTC-Co ცხრაწყარო-კოდიანას მონაკვეთზე უნებართვო, ანუ უკანონო მშენებლობას აწარმოებდა და ფორმალურადაც კი არ გამოთქვამთ საყვედურს მათ მიმართ. ასეთ ფაქტებზე ხისტი რეაგირება თქვენი უაშუალო მოვალეობაა.

იგივე პრეტენზია გვაქვს სნსკ-ს მიმართაც. ბატონი ი. ქელბაქიანი ღია წერილისათვის გაკეთებულ კომენტარში ხაზგასმით აღნიშნავს: "ნურავის ეგონება, რომ კონტროლი არ არსებობს, ან ჩვენ არ ვეჩხირებით BP-ს ყელში. ყველა ნაბიჯი კონტროლდება". სად არის ბატონო ირაკლი კონტროლის შედეგები აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით?

საზოგადოების აქტიურობისათვის, რომლის დიდ მნიშვნელობაზეც თქვენ, ქალბატონო თამარ, მართებულად ამახვილებთ ყურადღებას, აუცილებელია სრული და ობიექტური ინფორმაციის არსებობა.

რაც შეეხება მე-9 პუნქტს, რომლის დარღვევის გამოც შეჩერდა მშენებლობა, მიგვაჩნია, რომ სანამ ტექნიკური საშუალებების გამოყენებით უსაფრთხოების ხარისხის გაზრდაზე ვიზრუნებდეთ, უნდა ვიცოდეთ, რა ხასიათის და მასშტაბის პროცესების აღსაკვეთად უნდა მივმართოთ ასეთ ზომებს, ანუ ნავთობსადენის მშენებლობის პროექტის მთავარი ნაკლი, როგორც გაზეთ "ალიასათვის" (N89) 27 ივლისს მიცემულ ინტერვიუში, სამართლიანად აღნიშნავს გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი ქ-ნი ნ. ჩხობაძე, მეწყერსაშიში ფერდების მდგრადობის დაუსაბუთებლობა არის. ამდენად, უპირველეს ყოვლისა, დარღვეულია გარემოსდაცვითი ნებართვის მე-3 პუნქტი (გეოსაშიშროებები).

ვფიქრობთ, თქვენთვის სასარგებლო იქნება ჩვენს მიერ სრულიად უანგაროდ მოწოდებული ინფორმაცია: პრიორიტეტული მნიშვნელობის მქონე მე-3 პუნქტი, რომლის დაცვასაც, იმედია, მოითხოვთ, უახლოეს პერიოდში შესრულებული ვერ იქნება, ვინაიდან გასული წლის ზაფხულში 2 დამოუკიდებელი სუბიექტის: ექსპერტთა საერთაშორისო საბჭოს "პანელის" და საქართველოს მთავრობის ტექნიკური მრჩევლის, აგრეთვე სნსკ-ს და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შერჩეული ექსპერტების მონაწილეობით ჩატარებული დამატებითი გეოტექნიკური კვლევების პროცესში, არ იქნა ის ინფორმაცია მიღებული, რაც საჭიროა მეწყერსაშიში ფერდის მდგრადობის კვალიფიციური შეფასებისათვის; ანუ გეოტექნიკური ამოცანის გადასაწყვეტად არ ჩატარდა სრულფასოვანი გეოტექნიკური კვლევები (საველე და ლაბორატიული მეთოდებით არ იქნა შესწავლილი გრუნტების გეოტექნიკური, ფიზიკურ- მექანიკური თვისებები). დღეს ასეთი მონაცემების მისაღებად, რამდენიმე თვე არის საჭირო.

ქ-ნო თამარ, გვსურს დაგარწმუნოთ იმაში (ცნობისათვის, ასევე ვარწმუნებდით ქ-ნ ნ. ჩხობაძეს, სამწუხაროდ, უშედეგოდ), რომ თუ დაშვებულ იქნა ტრაგიკული შეცდომა და ნავთობსადენმა გადაკვეთა ბორჯომის ხეობა, რამდენიმე ხნის შემდეგ, ნეგატიური პროცესების ნიშნების გაჩენისთანავე, აუცილებლად იტყვიან, რომ შეცდომის გამოსწორება მშენებლობის პროცესში იყო შესაძლებელი. ზუსტად ისე, როგორც ამჟამად თქვენ აღნიშნავთ, სწორი გადაწყვეტილება "მაშინ უნდა ყოფილიყო მიღებულიო". და თქვენ, ქ-ნი ნინოსგან განსხვავებით, ინტერვიუების მიცემა გაგიჭირდებათ.

მიგვაჩნია, რომ თქვენგან იმის შესახებაც ვერ მივიღებთ დამაჯერებელ პასუხს, თუ რის საფუძველზე გაეცით ა/წ 2 აგვისტოს, ბორჯომის ხეობაში მშენებლობის გაგრძელების უფლება; რა პირობები შეასრულა ინვესტორმა და რამდენად გაიზარდა უსაფრთხოების ხარისხი. ჩვენ გვაინტერესებს არა საკითხის ზოგადი მხარე, არამედ კონკრეტული, ინჟინრულად დასაბუთებული საპროექტო გადაწყვეტილების არსებობის ფაქტი ("მილის უფრო ღრმად ჩადება" - პასუხი არ არის, მსგავს შემთხვევებში კვალიფიციური გადაწყვეტილების მისაღებად და მისი რეალიზაციის ტექნიკურად უზრუნველყოფისათვის ორი კვირა სრულიად არასაკმარისი პერიოდია).

ზოგადად პროექტში და მის გარშემო იმდენი ბუნდოვანი საკითხია, რომ იგი ცალკე კვლევის საგანი უნდა გახდეს; თუ ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც 22 ივლისის გაზეთ "24 საათისათვის" გაკეთებულ კომენტარში და 27 ივლისის გაზეთ "ალიასათვის" მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავენ ბ-ნი ი. ქელბაქიანი და ქ-ნი ნ. ჩხობაძე, ანუ თუ არსებული ხელშეკრულების თანახმად ინვესტორს აქვს შეუზღუდავი უფლება - აირჩიოს და შეცვალოს მარშრუტი, აწარმოოს დაპროექტება და მშენებლობა საკუთარი სტანდარტებით და ნორმატივებით (ფაქტობრივად საკუთარი შეხედულების მიხედვით) ყოველგვარი ნებართვის გარეშე, მაშინ ჩვენ პრეტენზიები უკვე ყოფილი პრეზიდენტის და პარლამენტის მიმართ გვაქვს - ისინი ვალდებულნი არიან, გვიპასუხონ, რატომ და ვის მიერ მინიჭებული უფლებით თქვეს უარი ქვეყნის სუვერენიტეტზე.

2004 წლის 5 აგვისტოს, შეერთებული შტატებში ვიზიტით მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა, ბატონმა მ. სააკაშვილმა, ვაშინგტონში გამართულ პრეს-კონფერენციაზე, ნავთობსადენის მიერ ბორჯომის ხეობის გადაკვეთის გამო შექმნილი პრობლემის შესახებ კითხვაზე პასუხის გაცემისას განაცხადა, რომ საქართველო ბანანის რესპუბლიკისაკენ მიმავალ გზაზე აღარ დგას და მისი ხელისუფლების მიზანი თანამედროვე ტიპის სახელმწიფოს მშენებლობაა; შესაბამისად, ყოველმა კომპანიამ, მათ შორის უცხოურმაც, საქმიანობა ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით უნდა აწარმოოს.

პერსპექტივის ასეთი ღირსეული ხედვის უნარი არ ჰქონია ყოფილი რეჟიმის არც ერთ წარმომადგენელს და არც მოქმედი ხელისუფლების რომელიმე წევრისთვის შეგვიმჩნევია დღემდე ასეთი სულისკვეთება.

2004 წლის 5 აგვისტოს განცხადებით, წერტილი უნდა დაესვას საერთაშორისო ეკონომიკურ ინტეგრაციაში მესამე თუ მეოთხე ხარისხოვანი ელემენტის - "დერეფნის" ფუნქციის მოპოვებისათვის ყოფილი ხელისუფლების "თავგანწირული" ბრძოლის, დიდ დამსახურებად აღიარებას; როგორც შედეგებით დავრწმუნდით, შევარდნაძის რეჟიმის მთავარი მიზანი გახლდათ გაჭირვებული ხალხის სრული დაბეჩავება, "დერეფანში" მათი ხელზე მოსამსახურეებად გადაქცევა და ყურადღების გარეშე დარჩენილი ქვეყნის ქონების ხელში ჩაგდება, რაც ნაწილობრივ მოახერხა კიდეც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შემოგვაქვს წინადადება, დაფუძნდეს "ბორჯომის ხეობის გადარჩენის ფონდი", რომელიც სხვა წყაროებთან ერთად დააფინანსებს ნავთობსადენის მიერ ხეობისათვის უკვე მიყენებული და მოსალოდნელი ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოებს, სხვა გარემოსდაცვით პროგრამებს. ფონდში პირველი შენატანი უნდა იყოს ყოფილი პრეზიდენტის და მისი უახლოესი გარემოცვის ქონება, რომელთაც საჯაროდ აიღეს პასუხისმგებლობა ბორჯომის ხეობის უსაფრთხოებაზე.

სრულიად ნათელია, რომ შრომის საერთაშორისო განაწილებაში აქტიური მონაწილეობა ქვეყნის წარმატებული განვითარების აუცილებელი პირობაა, და ყოველივე ამის მიღწევა შესაძლებელია ხალხის ინტერესების გათვალისწინებით, მისი თავმოყვარეობის შელახვის გარეშე.

ჩვენ ამ განწყობით ვამთავრებთ წერილს და ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს უმაღლესი პირის მიერ, მთავარი პარტნიორი ქვეყნის დედაქალაქში მკაფიოდ გაცხადებული პოზიცია სავალდებულო იქნება ხელისუფლების ყოველი წარმომადგენლისათვის და მისაბაძი თითოეული მოქალაქისათვის.

დასასრულს, ვადასტურებთ პატივისცემას თქვენს მიმართ და გამოვთქვამთ იმედს, რომ ნავთობსადენის გონივრული განთავსება საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ სიკეთის მომტანი იქნება.

*ქვემორე ხელისმომწერნი გამოვთქვამთ ღრმა მწუხარებას და თანგრძნობას ვუცხადებთ 27 ივლისს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს ტრაგიკულად დაღუპული ქართველი ექსპერტის მერაბ თვალჭრელიძის ოჯახს.*

*ედიშერ კაცაძე*
*ზვიად ბოკუჩავა*
*უჩა ზვიადაძე*
*ლაშა ჩხარტიშვილი*
*მირიან გვრიტიშვილი*
*გიორგი გაჩეჩილაძე*
*თარხან თევზაძე*

ახალგაზრდა ვირტუოზებო, ბრავო!



ანუკი ყიფშიძე იმედს იძლევა.

B2

დედამიწის გარშემო 80 საათში



"გლოუბლ ფლაიერი" სარეკორდო ფრენისთვის ფაქტობრივად მზადაა.

B6

აგვისტო



თბილისელებს გაგრილების მეთოდიც განსაკუთრებული აქვთ.

B7

# ზეიმი ახმეტაში



*მოზეიმე ახმეტელები.*



*სუფრები ახმეტის ქუჩებში.*



*"ვარდების რევოლუციის" შემდეგ კახეთის ქუჩებში საზეიმო სუფრები კიდევ ერთხელ გაიშალა. თუმცა, ამჯერად ზეიმი პოლიტიკურ მოვლენას კი არა, ოლიმპიადაზე ქართველი სპორტსმენის წარმატებას ეძღვნებოდა.*

წუხელ მთელი ღამის განმავლობაში ახმეტელები ათენის ოლიმპიურ ჩემპიონატზე ავთანდილ ზვიადაურის (ზურაბს ახმეტაში ავთანდილად იცნობენ) მიერ ოქროს მედლის მოპოვებას ზეიმობდნენ. ხალხის ყიჟინით სავსე ქუჩები და თითქმის ყოველ ოჯახში გაშლილი სამხიარულო სუფრა... ყველგან ზვიადაურის სადღეგრძელო ისმოდა.

განსაკუთრებით ამაღლებული განწყობა იყო ოლიმპიური ჩემპიონის ოჯახში. აქ ქალი, კაცი, დიდი თუ პატარა სავსე სასმისებით საქართველოს კიდევ ერთ გამარჯვებას ულოცავდა და ამ გამარჯვებას ცეკვა-სიმღერით აღნიშნავდა.

**"ჩვენ ყოველთვის გვქონდა ავთოს იმედი, თუმცა ამჯერად ყველანი ვღელავდით. როცა მას ოქროს მედალი გადასცეს, სიხარულისგან აღარ მახსოვს, რას ვაკეთებდი,"** - ამბობს ჩემპიონის ბიძაშვილი ხათუნა ზვიადაური. სიხარულის ცრემლებს ვერ იკავებდა თვით ზვიადაურის პირველი მწრთვნელი დიმიტრი აბრამიშვილი. მას ავთანდილის გამარჯვებისა ყოველთვის სჯეროდა, ამ ჩემპიონატზე კი იგი ძალზე ღელავდა: **"მას მარჯვენა ფეხი ტრავმირებული ჰქონდა და ამიტომ ძალზე ვნერვიულობდი, მაგრამ, როგორც ჩანს, ავთოში ხევსურის ჯიშ-ჯილაგმა თავისი გაიტანა და შედეგიც სახეზეა,"** - გვითხრა აბრამიშვილმა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოლიმპიური ჩემპიონი წარმოშობით ხევსურია, მაგრამ მასში კახური სიდინჯე ჭარბობს. **"იგი ბავშვობიდანვე წყნარი და დინჯი იყო, მაგრამ რასაც აკეთებდა, ყველაფერს გულს განსაკუთრებულად უდებდა და საქმე მონდომებით მიჰყავდა ბოლომდე. ჩვენ მისი ყოველთვის გვჯეროდა"**, - ამბობენ ჩემპიონის მეზობლები.

ზვიადაურის დედა, ქალბატონი დარიკო ცრემლნარევი სიამაყით და სიხარულით საუბრობდა შვილის ამ უდიდეს გამარჯვებაზე: **"მე ბედნიერი დედა ვარ, რომ დღეს საქართველოს ჩემი შვილი ჩემზე მეტად ეამაყება. მადლობა ყველას, ვინც ჩვენი სიხარული გაიზიარა."**

ეს ბრწყინვალე ზეიმი ახმეტაში წუხელ არ დასრულებულა. დღეს ამ დიდი წარმატების აღსანიშნავად რაიონის მოსახლეობა უკვე საგვარეულო სალოცავებში საკლავის შეწირვას გეგმავს. ქუჩებში კი გრანდიოზული ზეიმი გაგრძელდება.

***ზვიად რუაძე,***
***კახეთიდან***



*დიდი, პატარა, ქალი, კაცი - ყველა ზვიადაურის სადღეგრძელოს სვამდა.*



*ოლიმპიური ჩემპიონის ბიცოლა და მამა.*

შოუბიზნესი

## კულტურული მძღოლები კულტურულ დედაქალაქში



ევროპის კულტურული დედაქალაქი - ეს ის საპატიო ტიტულია, რომლის მოპოვებაშიც თითოეული კანდიდატი ქალაქის თითოეულმა მოქალაქემ უნდა მიიღოს მონაწილეობა. ასეა ლივერპულში. ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, პროცესში ჩაერთვებიან ტაქსის მძღოლები. მუნიციპალიტეტი აპირებს, მოძებნოს ათიოდე მძღოლი, რომლებიც კლიენტებს თავისუფლად გაუბამენ ლაპარაკს სხვადასხვა კულტურულ თემაზე, თან, როგორც ძველსა და კლასიკურზე, ისე თანამედროვეზე. მაგალითად, იდეალური იქნება ის მძღოლი, რომელიც იგივე ტრეისი ემინის ხსენებაზე არ დაიბნევა და იტყვის: "ტრეისი ემინი? ორიოდე დღის წინ ჩემი მანქანის უკანა სალონში იჯდა, თან თავისი საწოლიც ჰქონდა" (თანამედროვე ბრიტანელი ხელოვანი სწორედ "ჩემი საწოლის" ინსტალაციით არის ყველაზე მეტად ცნობილი).

კონკურსი უკვე გამოცხადებულია. გამარჯვების კრიტერიუმი, როგორც უკვე გითხარით, განათლებაა. მძღოლებმა ყველაფერი უნდა იცოდნენ გალერეების, თეატრების, საკონცერტო დარბაზების და ზოგადად, ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. მაგალითად, წარმოვიდგინოთ ასეთი სიტუაცია. ტურისტი ზის ტაქსში, მძღოლი კი მას თავაზიანად უამბობს: "აი, ნახეთ, ეს თეატრია, სადაც ხშირად იმყოფებოდა ახალგაზრდა ბერილ ბეინბრიჯი. იქეთ მხარეს უოლკერის სამხატვრო გალერეაა, სადაც პოლ მაკარტნი ათვალიერებდა ხოლმე პრე-რაფაელიტელებს. აგერ ეს კი ფილარმონიაა. ხომ გახსოვთ მაქს ბრაჩი, ის ტიპი, კონცერტი რომ დაწერა ვიოლინოსთვის, ეგ აქ მთავარი დირიჟორი იყო". გარდა ამისა, ლივერპულელმა ტაქსის მძღოლებმა ქალაქში ახლა მიმდინარე ღონისძიებების შესახებაც უნდა იცოდნენ. მაგალითად, ყველა უნდა იყოს იგივე ლივერპულის ბიენალეს საქმის კურსში.

ცხადია, არსებობს მძღოლების გამოსაცდელი ანკეტა-კითხვარებიც, რომლებშიც ასეთი კითხვებია შესული: დაასახელეთ ლივერპულის ორი ნაციონალური მუზეუმი. რა ჰქვია ქალაქის ახალ მედია-ხელოვნების ცენტრს?

ათ იღბლიან მძღოლს ტაქსებზე მხიარულ და საამაყო ტრაფარეტს დაუმაგრებენ.

ქალაქის საბჭოს წევრი უორენ ბრედლი ამბობს: "აუცილებელია, რომ ტურისტებს ჩვენს ქალაქზე პირველივე წამებში კარგი შთაბეჭდილება დარჩეთ. ტაქსის მძღოლებს კი ისინი, ერთ-ერთ პირველს შეხვდებიან. ამიტომ თუ ლივერპულის ტაქსებს კულტურულ ფუნქციას შევძენთ, სტუმრებიც ჩვენი ქალაქის მდიდარი მემკვიდრეობის შესახებ უფრო მეტს გაიგებენ".

## სამყაროთა ომი სპილბერგის ხელშია




1938 წელს ორსონ უელსის რადიო-ხუმრობა, შტატებს მარსელები შემოესივნენო, საერთო სახალხო ისტერიკით დასრულდა. "მოქალაქე კეინის" ავტორი და ამერიკული შოუბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა ამ ოხუნჯობით რადიოს განვითარების ისტორიის ნაწილიც გახდა. მოგვიანებით, "სამყაროთა ომი", რომელიც, თავის მხრივ, ჰერბერტ ჯორჯ უელსის ფანტასტიკური ჟანრის რომანია, ტელე-ფილმადაც აქციეს. 1953 წელს მარსელების შემოსევა ბაირონ ჰესკინმა გადაიღო.

თუმცა, უელსის 1898 წლის რომანს ხიბლი ამითაც დაუკარგავს. ახლახან პროექტით სტივენ სპილბერგი დაინტერესდა, რაც, ერთი შეხედვით, ლოგიკურიც იყო. ჰოლივუდელი რეჟისორის ინტერესის სფეროს ხომ ყოველთვის წარმოადგენდა იურიული პერიოდის პარკები, კაცები შავებში, მოგზაურობა მომავალში (სპილბერგი ამ ფილმების პროდიუსერი გახლდათ) და ა.შ.

ახლა ის კიდევ ერთხელ მოგვრის შიშის ზარს მთელ ამერიკას ლეგენდად ქცეული სიტყვებით: "ვერავის წარმოედგინა... რომ ჩვენს სამყაროს თანმიმდევრულად აკვირდებოდნენ არსებები, რომლებიც ადამიანზე გაცილებით უფრო ჭკვიანები არიან...".

მარსელების შემოტევის მთავარი გმირი ტომ კრუზი იქნება. პროექტს კინო-სტუდია "ფარამაუნთი" და "დრიმუორქსი" განახორციელებს. გადაღებები ნოემბერში დაიწყება. პრემიერა სავარაუდოდ 2007 წელს უნდა შედგეს.

მანამდე კი, ბერლინში უკვე იწყება მზადება "შეუსრლებელი მისიის" მესამე ფილმის გადაღებებისთვის. ასე რომ, სანამ პლანეტა მარსზე გადაერთვებოდეს, ტომ კრუზი მესამე შეუსრულებელ მისიასაც შეასრულებს.

## მღერიან "რამონესისთვის"




ამერიკული როკ-ჯგუფის "რამონესის" 30 წლის იუბილე და გრანდიოზული წვეულება ჰოლივუდში 12 სექტემბერს გაიმართება. წინასწარი ცნობით, ავალონის თეატრში დაგეგმილ შოუში მონაწილეობას მიიღებენ "პერლ ჯემის" ლიდერი ედი ვედერი, "რედ ჰოტ ჩილი პეპერსის" ჯონ ფრუშანტე და ფლი, ასევე ჰენრი როლინსი და "რენსიდის" ტიმ არმსტრონგი.

12 სექტემბერს ჰოლივუდში ჩასვლა მათაც მოუნდებათ, ვისაც "სექს ფისტოლზის" სტივ ჯონსის მოსმენა სურს, ანდა "რუნის" რობერტ კარმინისა და "ბლინქ 182"-ის.

ეს ის მუსიკოსებია, რომლებიც "რამონესისადმი" მიძღვნილ, 2003 წელს გამოსულ ალბომშიც მონაწილეობდნენ.

არსებობს ინფორმაცია, რომ კონცერტს დოკუმენტურ ფილმადაც აქცევენ, გვიან შემოდგომაზე კი მსგავს შოუს ნიუ იორკშიც გამართავენ, სავარაუდოდ, "სთროუქსის" მონაწილეობით.

ლოს ანჯელესში შეკრებილ მელომანებს კი კიდევ ერთი სიურპრიზი ელით. პირველად გამოეფინება "რამონესის" მოსაგონარი ექსპონატები. ავალონის შენობაც ტკბილმწარე მოგონებებს აღძრავს. ამავე დარბაზში 1996 წელს ხომ ჯგუფის ბოლო შოუ გაიმართა. კონცერტიდან შესული თანხა ლიმფომის კვლევით ცენტრსა და სედარს-სინაის პროსტატის კვლევით ცენტრს გადაერიცხება.

## დღეს პონტოს დახურვის ცერემონიალი გაიმართება

თამარ სუხიშვილი



*ბაკურ ბურდული: "თუ არ გამოგივა დღეს, გამოგივა ხვალ".*

კვარიათის ბუნგალოს ეზოში (ამ ბუნგალოს კვარიათში ხათუნას ბუნგალოს სახელით იცნობენ) დამონტაჟებული სცენისკენ სულ მუჯლუგუნებით გავიკვლიე გზა. ფესტივალის ორგანიზატორები ჯებირს შიგნით იდგნენ და დაცვის წევრებს მითითებებს აძლევდნენ: ამასა და ამას აკრედიტაცია აქვს და შემოუშვითო. მაგრამ ვის ესმოდა. უკან დაიწიეთო, ხალხს უყვიროდნენ და ხელს კრავდნენ. მარცხენა მხარე ახლაც დაბეჟილი მაქვს. მაინც ვერ მივხვდი, რატომ იყო ესეთი ჭყლეტა, როცა ხალხიც, კაცმა რომ თქვას, წესიერად იქცეოდა, ბილეთებიც ხელში ეჭირათ და არც ისეთი არეულობა არ ყოფილა. დაცვის სამსახურის წევრებმა კი შესასვლელთან შეჯგუფულ ხალხზე აქეთ მიიტანეს იერიში. რას იზამ, ყველაფერი ხდება.

მოკლედ, აკრედიტაციას ჰაერში ვაფრიალებდი, მაგრამ ვინ აქცევდა ყურადღებას. ამასობაში, ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი გამოემართა ჩემს საშველად და დაცვას დაუტატანა - ეს გოგონა დი ჯეია, გამოატარეთ, უამისოდ კონცერტი არ იქნებაო. მეც რაღა მეთქმოდა, დი ჯეობა შევიფერე და შევედი. მთავარია, ხომ მიქშერთან მუშაობა არ ეთხოვა ვინმეს.

სცენის სიახლოვეს რომ აღმოვჩნდი, კონცერტი უკვე დაწყებული იყო. ფანებით გარემოცული ბაკურ ბურდული თავის ცნობილ სიმღერას მღეროდა - "რაც არ გამოვა დღეს, გამოგივა ხვალ". და მაყურებელიც მის დღეს მიჰყვებოდა ხვალინდელი დღის იმედით. მერე სცენის პირდაპირ, აუზთან მოდების ჩვენება გაიმართა. ახალგაზრდა დიზაინერებმა თავიანთი კოლექციები წარმოადგინეს: "მარკესი და მარტოობის ასი წელიწადი", "აპრილის მენუეტი", "შოტლანდია" და ბათუმელი დიზაინერის გოგა ნიქაბაძის კოლექცია "თინეიჯერი". მართალია, მე მაინცდამაინც ვერ გავიგე, რა კავშირი ჰქონდა "ფინქფლოიდის" ფონზე წარმოდგენილ კოლექციას მარკესთან, ან რატომ ცდილობდა საღამოს წამყვანი გოგონა სულ თავის თავზე ელაპარაკა, და თანაც რაც შეიძლება მეტჯერ ეხმარა სიტყვები: აუ, რაა, ძაან, ძაან მაგარი...

მანამდე იყო ლიტერატურული საღამო გონიოს ციხეში ნუკრი დავითაშვილის კვარტეტის და ხალხური სიმღერების თანხლებით: კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრის ცნობილი წარმოდგენა "მიმიკრია", რომლის პრეზენტაციაც ორი წლის წინ კლუბ სარდაფში გაიმართა; კვარიათში წარადგინეს პირველად "მწვანე ოთახის" ახალი კლიპი, რომლის წარდგენასაც "მწვანე ოთახის" კონცერტი მოჰყვა, რა თქმა უნდა, ცოცხალი შესრულებით.

დღეს შავი ზღვის ფესტივალი "პონტო" იხურება. ამინდიც იცვლება. თუმცა, ზღვა მაინც კარგია. დახურვაზე ბევრი საინტერესო სიურპრიზი გველის. და ფესტივალის მონაწილეებსაც სჯერათ, რომ რაც არ გამოვა დღეს, გამოგივა ხვალ.

## ახალგაზრდა ვირტუოზებო, ბრავო!

ნელი უზნაძე

*თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დანიშვნამდე სულ ცოტა ხნით ადრე მინკუსის "დონ-კიხოტში" შედგა ახალგაზრდა მოცეკვავეების - ანუკი ყიფშიძისა და ლაშა ხოზაშვილის დებიუტი.*



ი. მურადოვის ფოტო

*ანუკი ყიფშიძე იმედს იძლევა.*

ჯერ კიდევ ქორეოგრაფიულ სასწავლებელში სწავლისას (ლ. შკუნოვას კლასი) ანუკი ყიფშიძე გამოირჩეოდა მოცეკვავის მკაფიო მონაცემებით. სხეულის წაგრძელებული პროპორციები, დიდი ნაბიჯი, მაღალი, ძლიერი ნახტომი. გოგონას ყველა მონაცემი ჰქონდა იმისათვის, რომ სოლისტი გამხდარიყო, მაგრამ გზა საბალეტო ხელოვნებაში ეკლიანია. სკოლა ბაზას აძლევს, თეატრში კი იწყება პროფესიის სირთულეების შეცნობა. ნორჩმა ბალერინამ ცეკვა კორდებალეტიდან დაიწყო. შემდეგ მოჰყვა მცირე სოლო პარტიები. ცეკვავდა აზარტულად. ყურადღებიანი მაყურებელი კი მის ზრდას ელოდა.

გარკვეული დროის მანძილზე ის მეუღლესთან, ედუარდ ბაბლიძესთან ერთად (ისიც ბალეტის სოლისტია) პოლონეთში მუშაობდა.

ერთ მშვენიერ დღეს მის ცხოვრებაში საოცნებო დღე დადგა - თვალსაჩინო ბალეტმეისტერმა ბორის ეიფმანმა თავის დასში მიიწვია სამუშაოდ.

რა შენიშნა ცნობილმა ქორეოგრაფმა ახალგაზრდა მოცეკვავეში - ძვირფასი მასალა, პოეტური რომანტიულობა? ყველა შემთხვევაში ეიფმანი თავისი პრინციპის ერთგული რჩება: გამოამჟღავნოს და წარმოაჩინოს ინდივიდუალიზმი.

მოულოდნელი ოჯახური პრობლემების გამო კი, ანუკი მეუღლესთან ერთად იძულებული იყო მშობლიურ ქალაქს დაბრუნებოდა. მშობლიურ თეატრში ბალერინა მუშაობისას წააყდა დამკვიდრებულ ცნობილ აქსიომას - დასში ძნელია იპოვო საკუთარი ადგილი, მოიპოვო საკუთარი რეპერტუარი და უფლება მისი შესრულებისა.

შესაძლოა, ანუკის ასე წარმატებულად არ წასვლოდა საქმე, რომ არა შეხვედრა მკაცრ, მომთხოვნ პედაგოგ-რეპეტიტორთან. პარტიაზე მუშაობისას სწორედ რეპეტიტორი ეხმარება მსახიობს გახსნას, წარმოაჩინოს საკუთარი პოტენციური შესაძლებლობები, დაეუფლოს ოსტატობის ახალ წახნაგებს, ტექნიკა კი ბრწყინვალებამდე მიიყვანოს. ჩელიტას პარტიას ანა ყიფშიძესთან ერთად საქართველოს სახალხო არტისტი, ვახტანგ ჭაბუკიანის ეპოქის ვარსკვლავი ვერა წიგნაძე ამზადებდა. უზარმაზარ გამოცდილებასა და მაღალი, ფილიგრანული პროფესიონალიზმის წყალობით ვერა წიგნაძე შთაგონებით მუშაობდა ახალგაზრდა მოცეკვავესთან. დასაწყისისთვის შედეგები სანაქებოა.

ბაზილის პარტიას ლაშა ხოზაშვილთან ერთად საქართველოს სახალხო არტისტი ლილიანა მითაიშვილი ამზადებდა. ამ შემთხვევაშიც გამოცდილებამ და მონდომებამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. ახალი დუეტის სცენური მომხიბვლელობა, გრძნობათა სიწრფელე და ახალგაზრდული მშვენიერება, საპასუხო რეაქციას იწვევდა მაყურებელთა დარბაზიდან. მქუხარე აპლოდისმენტებით აჯილდოებდნენ ბაზილის ვირტუოზული პასაჟების კასკადს, ფრენით ნახტომებს და დიდ პირუეტს, ჩელიტას ვარიაციებსა და ფუეტეს.

ალექსანდრე გორსკის ქორეოგრაფიული მიგნებები, რომლებიც მარიუს პეტიპას შემდეგ ახალი ვერსიით შემოგვთავაზა, "დონ-კიხოტი" მუდმივი წარმატებებისათვის არის განკუთვნილი (მიუხედავად მათი შესრულების ხარისხისა). ამ შემთხვევაში ახალგაზრდა შემსრულებელთა ტალანტმა პარტიების მოგებიან ნახაზს ხაზი გაუსვა.

რამდენი ჩელიტა და ბაზილი უნახავს ჩვენი ოპერისა და ბალეტის თეატრს, ბევრიც საბალეტო ხელოვნების ისტორიაში შევიდა. საკმარისია იმის გახსენება, რომ სწორედ ჩელიტას პარტიით დაიწყო თავისი ბრწყინვალე კარიერა ვერა წიგნაძემ.

დღეს ახალგაზრდა დებიუტანტების წარმატებით გახარებული, უყურებ რა მათ მთრთოლვარე ღელვას და ემოციურობას, გრძნობ, არ ირღვევა დროთა კავშირი თაობათა ცვლაში.

## „იაკობი და შვიდი ყაჩაღი" სამოთხის კართან

### რით გაახარებს მადონას უკანასკნელი წიგნი ბავშვებს

მადი სერებრიაკოვა

*ბავშვები ელიტარულ ქრონიკას არ ეცნობიან და არც ლიტერატურული მიმოხილვების კითხვით იკლავენ თავს. ბავშვებმა თვითონაც კარგად იციან - რა წიგნი მოეწონოთ და რა არა. მიუხედავად ინტელექტუალთა ქილიკისა, მადონამ ლიტერატურული მოღვაწეობა, მტრების ჯინაზე, მაინც განაგრძო და მორიგ წიგნსაც ყიდის დიდი წარმატებით. "იაკობი და შვიდი ყაჩალი" სექს-ბომბა მადონას კეთილ მეზღაპრე დეიდა ესთერად ტრანსფორმირების ციკლს აგვირგვინებს. პოპ-ვარსკვლავი ჩვენს პატარებს სამოთხის კარების ყაჩაღების დახმარებით შემტვრევის უტყუარ რეცეპტებს სთავაზობს.*

მადონას გარდასახვა ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაიწყო და იოგასა და კაბალისტიკით გატაცების შემდეგ, ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ცოტა ხნის წინათ, მან 20 მილიონი დოლარი გადაიხადა ნიუ იორკში კაბალისტიკის სკოლის გახსნისთვის. მადონას ლიტერატურული შემოქმედებისა არ იყოს, ეს სკოლაც ბავშვებისთვისაა განკუთვნილი. როგორც თავად მეზღაპრე აცხადებს, ეს მისი დიდი ხნის ოცნებაა და ბავშვების განათლების საქმეში ფულის ჩადება ყველაზე საიმედო კაპიტალდაბანდებაა. თავის დროზე, მადონად გარდაქმნილი იტალიური წარმოშობის ლუიზა ვერონიკა ჩიკონე, ამჯერად კეთილმორწმუნე ებრაელი ესთერის იმიჯს იმკვიდრებს. თუმცა, წიგნს მაინც მადონას სახელით გამოსცამს - რას ვიზამთ, ბოლოს და ბოლოს, ბრენდია. მადონას ავტორობის გარეშე კი "იაკობსა და შვიდ ყაჩაღს" საეჭვოა, დიდი წარმატებისთვის მიეღწია.

ზოგიერთები მიიჩნევენ (და არცთუ უსაფუძვლოდ), რომ ახლადგამომცხვარი კეთილი დეიდა მადონა თავის უწესო და უსირცხვილო წინამორბედზე ბევრად უინტერესო პერსონაჟია. მის განაცრისფერებულ იმიჯს ბრიტნი სპირსთან პირდაპირ ეთერში გამართული არცთუ დედა-შვილური ხვევნა-კოცნა და "მადონას შიშველი ფოტოების" გამოცემაც ვერ გადაარჩენს. მადონას წარსულიც წარსულს ჩაბარდა და მისი კარიერის ყველაზე ღირსშესანიშნავ მოვლენებად სწორედ ბოლო სამი წიგნი გვევლინება. ამას თავად მადონაც არ მალავს და აღიარებს, რომ ცხოვრების ამ ეტაპზე მადონას ამპლუას ესთერობა ურჩევნია: **"მადონას სახელით უთვალავი სისულელე ჩავიდინე, ეგოისტურად ვიქცეოდი და ქაოსი შემქონდა უამრავი ადამიანის ცხოვრებაში".**

ასეა თუ ისე, ესთერი, იგივე მადონა, იგივე ლუიზა და იგივე ვერონიკა, თავის ახალ ლიტერატურულ ქმნილებას ცელქ ბავშვებს უძღვნის და ამ უკანასკნელებს მაღალ ზნეობრივ პრინციპებსა და მორალს, როგორც შეუძლია - ისე უქადაგებს. მკითხველებმა "იაკობი და შვიდი ყაჩალი" მადონას ყველაზე "სულიერ წიგნად" შერაცხეს. იგი კაბალასა და მეთვრამეტე საუკუნის ხასიდი მწერლის ბაალ შემ თოის პრიტჩებზე დაყრდნობით შეიქმნა. შინაარსი ასეთია: მეწაღე იაკობს ავად გაუხდება შვილი. მას ვერც ექიმები შველიან და ვერც სოფლის ბრძენი უხუცესი. იაკობი დახმარებისთვის წიგნის დანარჩენ პერსონაჟებს მიმართავს. ისინი არიან ყაჩალი, ჯიბის ქურდი, ჭუჭყიანი, ჩხუბისთავი და სხვები. სწორედ ამ ჯიბიდან გავარდნილი და ხელიდან წასული საზოგადოების ლოცვა მიაღწევს ზეცამდე და გადაარჩენს იაკობის ავადმყოფ შვილს: **"მარჯვე ქურდმა კარგად იცის, როგორ შეძვრეს ნებისმიერ ჭიშკარში"** - სამოთხის ჭიშკარსაც სწორედ ასეთი გმირები მოარგებენ გასაღებს.

ვერ გეტყვით რამდენად აღამაღლებს სულიერად ბავშვებს მადონას ამგვარი დიდაქტიკა. ერთი რამ კი მათ ნამდვილად მოეწონებათ: ახლად წერა-კითხვანასწავლი ბავშვიც კი მას ნახევარ საათში წაიკითხავს. მადონა საერთოდ ძალზედ ლაკონური მწერალი გამოდგა და მისი ზღაპრები დაახლოებით ასე იკითხება: "ვახშამი მაცივარშია, მალე დავბრუნდები". კრიტიკოსები მადონას ლიტერატურულ ქმნილებებს არ ინდობენ და ავტორს სტილსა და გემოვნებას უწუნებენ (შინაარსთან პრეტენზიები ნაკლებია - ხასიდური პრიტჩას კრიტიკა ჯერ ვერავენ შებედა).

მადონას უკანასკნელი წიგნის ნამდვილი ვარკვლავი კი მისი მხატვარი, რუსი ილუსტრატორი გენადი სპირინია. "იაკობი და შვიდი ყაჩალი" მან სლავური არქიტექტურითა და თოვლიანი პეიზაჟებით გააფორმა. სპირინის ფანქრით ნახატი ზღაპარი მადონას ოპუსის ფონზე ნამდვილი შედევრია და ამას ყველა მკითხველი ერთხმად აღიარებს.

"იაკობი და შვიდი ყაჩალით" ქართველი ბავშვები ჯერ ვერ გაიხარებენ. თუმცა გამომცემლობა "არეტემ" ქართულად უკვე გამოსცა მისი წინამორბედები "ინგლისის ვარდები" და "მისტერ პიბოდის ვაშლები". არ იდარდოთ, მადონას ბოლო ზღაპარს თუ არ წავიკითხავთ დედაენაზე - ამით ჩვენს ლიტერატურულ განსწავლულებას, ალბათ, ბევრი არაფერი დააკლდება. წიგნის დათვალიერება კი ყველა ენაზე შეიძლება.

ამერიკული ისტორია

# როკის პოეზია

მაგდა ანიკაშვილი

როკზე საუბარი შეუძლებელი იქნება, თუ არ გავიხსენებთ 50-იანი წლების მუსიკალურ რევოლუციას როკ-ენ-როლის სახით. ეს მართლაც რევოლუცია იყო არა მარტო მუსიკაში, არამედ აზროვნებაშიც. რომ არა ეს ეპოქა, 60-იანი წლები სახვაგვარად განვითარდებოდა. 50-იანელი თინეიჯერებისათვის როკ-ენ-როლი გადატრიალება იყო ყველაფერში: ჩაცმაში, ქცევაში, დამოკიდებულებაში უფროსებისა და თანატოლების მიმართ. პირველ რიგში კი, იცვლება შეხედულება საკუთარ თავზე. ახალგაზრდები ცეკვავენ, მღერიან და სამყარო ვითარდება მათ გარშემო. როკ-ენ-როლი - ეს ჯერ არ არის ბობოქარი 60-იანები, ეს უფრო ცელქობა, მშობლების გაბრაზება, საღამოობით საცეკვაო კლუბში გაპარვაა. შეუძლებელია დადგენა ზუსტად როდის ჩამოყალიბდა როკ-ენ-როლი, მაგრამ ზუსტადაა ცნობილი როდის გახდა ის პოპულარული და ეს მხოლოდ ერთი ადამიანის დამსახურებაა.

1952 წელს კლივლენდის რადიოსადგურ WJW-ის 30 წლის დისკ ჟოკეი ალან ფრიდი ფირფიტების მაღაზიაში აღმოაჩენს, რომ თურმე ახალგაზრდები უსმენენ შავკანიანთა რიტმულ მუსიკას, რადიოში კი მას არ უკრავენ. ფრიდი ითანხმებს რადიოს ხელმძღვანელობას და ფსევდონიმით moon dog (მთვარის ძაღლი) აკეთებს "აკრძალული" მუსიკის რადიო შოუს Moon dog's Rock and Rool Party, რომელიც ყველაზე პოპულარული ხდება ახალგაზრდებში. როგორც შავკანიანი, ისე თეთრკანიანი თინეიჯერები აიტაცებენ როკ-ენ-როლს, მუსიკას ალან ფრიდის მიერვე შერჩეული სახელწოდებით. პურიტანული საზოგადოებისათვის კი ეს ახალი მოდა გაკიცხვის ღირსია, რაღაც ბინძურსა და აკრძალულს უკავშირდება. მაგრამ მალე "რევოლუცია დასრულდა და დისკოთეკა დაიწყო". მთელი ამერიკა აცეკვდა და ამღერდა სტილში, რომელიც ყველაზე კომერციული გახდა. გამოჩნდა როკ-ენ-როლის შემსრულებლების მთელი თანავარსკვლავედი, რომლის სათავეში ელვის პრესლი იდგა.

60-იანი წლებიდან კიდევ ერთი რევოლუცია ხდება მუსიკაში და ამის მიზეზი "ბითლზია". რა კუთხითაც არ უნდა შევეხოთ იმ ეპოქას, გვერდს ვერ ავუვლით ამ ჯგუფის ფენომენს და ეს საქართველოზეც ვრცელდება, რადგან ლივერპულელმა ოთხეულმა ქართველ ნონკონფორმისტებზეც დიდი გავლენა მოახდინა. ბევრად მეტი ვიდრე მუსიკა, ეს იყო ცხოვრების სტილი, ფილოსოფია, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა, რასაც ბიტლომანია უწოდეს. 1963 წელს ლონდონის "პალადიუმში" კონცერტი იყო დაგეგმილი ამ ჯგუფის მონაწილეობით. ადგილზე მისულ რეპორტიორებს საოცარი სანახაობა დახვდათ: ფლით სტრიტი ხალხით იყო სავსე. თინეიჯერები კიოდნენ და თავიანთი კერპების გამოჩენას ელოდებოდნენ. მეორე დღეს ლონდონურ პრესაში ტერმინი ბიტლომანია გაჩნდა. მათი ჩაცმულობა, ქცევა, ყველაფერი - 60-იანების განწყობას გამოხატავდა. მიმბაძველები ბევრნი იყვნენ, მაგრამ საინტერესო ჯგუფებიც გამოჩნდნენ. 1967 წელს იმავე "პალადიუმში", იგივე წარმატებით "როლინგსტოუნზის" კონცერტი გაიმართა. მათი მუსიკა განსხვავებული იყო. მიკ ჯაგერი ბლუზისა და რიტმ-ენ-ბლუზის ელემენტებს იყენებდა. ჯგუფის წევრები უფრო თამამნი იყვნენ როგორც მუსიკაში, ასევე ცხოვრებაში. მათი კონცერტები, როგორც წესი, სკანდალითა და პოლიციასთან დაპირისპირებით სრულდებოდა. ინგლისის ყველაზე პოპულარულ მუსიკალურ შოუში მიწვეულმა მიკ ჯაგერმა წამყვანს, მისტერ ალბერტ დოკს შეურაცხყოფა მიაყენა: თქვენი გადაცემა მუსიკის საკურთხეველი კი არა, ნეხვიაო! ჯგუფის სხვა წევრები ყვიროდნენ და სკამებზე ფეხებს აბრახუნებდნენ. "როლინგსტოუნზი" ყველაფრით გამოხატავდა, რომ არ მოსწონდა და არ ემორჩილებოდა ხელისუფლებას. ვერც მიკ ჯაგერი და ვერც პოლ მაკარტნი ალბათ ვერასდროს დაიჯერებდნენ, თუ ოდესმე სერ მიკი და სერ პოლი გახდებოდნენ.

1964 წლიდან ინგლისური ჯგუფები ამერიკის ბაზარს იპყრობენ. მათი სიმღერები ჰიტ-სიების სათავეშია, ნიუ იორკში ჩასულ "ბითლზს" ქუჩაში თაყვანისმცემლების 10 ათასიანი არმია დახვდა. მთელი ამერიკა გიჟდება მათზე. მოდაშია ბრიტანული აქცენტი, გრძელი თმა, ფართხუნა შარვალი - ყველაფერი, რაც ამ მუსიკას უკავშირდება. მაგრამ ცოტა ხანში ამერიკამ თავისი პასუხი გასცა ბრიტანეთს.



ალან ფრიდი - ამ კაცმა მსოფლიოს აჩუქა ტერმინი, როკ-ენ-როლი.



ბობ დილანი - როკის უპირველესი პოეტი.

1967-69 წლები როკის ეპოქაა. დროის ამ მცირე მონაკვეთში უამრავი ისეთი ვარსკვლავი გაჩნდა, რომელთა სახელები დღესაც ყველასთვის ცნობილია. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ყველა იდეა, ყველა აზრი მუსიკაში პოვებდა გამოხატულებას. ყოველი კონცერტი, ფესტივალი, ვუდსტოკი თუ მონტერეი იყო პროტესტი ომის წინააღმდეგ, ბრძოლა უფლებებისათვის, სისტემის უარყოფა. მაშინ მართლაც ყველას სჯეროდა, რომ სიყვარული გადაარჩენს სამყაროს, რომ ყველანი დები და ძმები არიან და რომ მუსიკა, დაამარცხებს ომს.

ორ წელიწადში ჩამოყალიბდა ე.წ. West Coast Sound (დასავლეთ სანაპიროს ხმები). ამ მიმართულებას 1500-მდე როკ-ჯგუფი მისდევდა. ყველას გახსენება დღეს შეუძლებელია, მაგრამ დარჩა უკვდავი სახელებიც. სუპერპოპულარული ჯგუფები Jefferson Airplane და Cream, კალიფორნიიდან ბლუზსა და ფოლკზე აღზრდილი ჯენის ჯოპლინი გამოჩნდა და თავისი სიმღერით, ცხოვრების წესით უამრავი ადამიანის კერპი გახდა. სცენაზე ჯიმი ჰენდრიქსი ჯადოქრობდა თავის გიტარით, რომელიც, როგორც ამბობდნენ, ერთდროულად მისი მეგობარი, დედა, და და საყვარელი იყო. ყოველი გამოსვლა სექსუალურ აქტს ჰგავდა, რომლის ფინალშიც ჯიმი ჰენდრიქსი შორს მოიქნევდა გიტარას და საყოველთაო ექსტაზში მყოფი მსმენელების გნიასში სცენიდან გარბოდა. Let's go to San Francisco მღეროდა "დორსის" ლეგენდარული ლიდერი ჯიმ მორისონი და ყველას მოუწოდებდა როკისკენ, პროტესტისა და დაუმორჩილებლობისკენ. ჯიმ მორისონის ცხოვრება დაყოფილია ეპიზოდებად ერთი სკანდალიდან მეორემდე, პოლიცია მას უკან დასდევს ტურნეებში. მისი ყოველი კონცერტი, მოქმედება - საზოგადოების გამოწვევაა, რომელიმე ტაბუს დარღვევაა. 1969 წელს მაიამიში გამართულ კონცერტზე მან შარვალი ჩაიხადა და უზარმაზარი მასის წინ შიშველი დადგა. ამის გამო ისევ ციხეში მოხვდა. მაგრამ, თუკი ვინმე ითვლება პოეტად როკის ისტორიაში, პირველ რიგში ეს ბობ დილანია.

ბობ დილანი ბავშვობიდან მღეროდა და წერდა მუსიკას. სკოლაშივე აყალიბებდა ჯგუფებს. მას ფოლკი იზიდავდა, მღეროდა ბალადებს და ოცნებობდა ფოლკ-მუსიკის მექაში ნიუ იორკის გრინვიჩ-ვილიჯში ჩასვლაზე. თუმცა პირველივე ალბომიდან მსმენელმა ის გაიცნო, როგორც პოეტი. მისი განსაკუთრებული ხმისა და ტექსტების გამო ბობ დილანის სიმღერები ახლობელი გახდა უამრავი ადამიანისთვის. მას თავისი დამოკიდებულება ჰქონდა სამყაროსადმი, მის პოეზიაში ყველაფერი იყო: თანამედროვეობა, ახალგაზრდების პრობლემები, ომი და ხელისუფლების გაფრთხილება. მართალია, მისი ტექსტები ხანდახან ბუნდოვანიც იყო, მაგრამ მუხტი ყოველთვის აღწევდა მიზანს.

ბობ დილანის მუსიკა იცვლებოდა, ვითარდებოდა და როკს უახლოვდებოდა. ის პირველი იყო, ვინც ფოლკ-ბალადა ელექტრო გიტარის (1966 წელს ბობ დილანი მოტოციკლეტიდან გადმოვარდა და რამდენიმე მძიმე ტრავმა მიიღო, რის გამოც თითქმის ორი წლით ჩამოშორდა სცენას და განმარტოვებით ცხოვრობდა) თანხლებით შეასრულა, ამას ფოლკ-როკი უწოდეს. 1966 წელს მომხდარი ტრაგედია და შემდეგ მისი დაბრუნება სცენაზე იესოს აღდგომის ტოლფასი იყო დილანის თაყვანისმცემლებისთვის. ბობ დილანი როკის სიმბოლო, ლეგენდა გახდა თუმცა, როდესაც ეკითხებოდნენ მუსიკოსი უფრო ხარ, თუ პოეტიო? გაოცებული პასუხობდა: რას ამბობ, მე მხოლოდ გამრთობი ვარო.

70-იანი წლებიდან როკის ეიფორია ჩაწყნარდა. ხალხს, რომელსაც ეგონა, რომ ყველაზე მთავარი ცხოვრებაში როკი იყო, წარმოდგენა შეეცვალა ან დაიღუპნენ. 1970 წელს ერთმანეთის მიყოლებით კვდებიან ჯიმ მორისონი, ბრაიან ჯონსი, ჯიმი ჰენდრიქსი, ჯენის ჯოპლინი. საკუთარ აუზში თუ აბაზანაში, ნარკოტიკის ჭარბი რაოდენობის მიღებისგან თუ უბრალოდ გიჟური რეჟიმით გადაღლილი ორგანიზმი უარს ამბობს ფუნქციონირებაზე. ეს დიდი დარტყმა იყო იმ თაობისთვის, რომელიც ამ ადამიანებს მიჰყვებოდა. ლიდერები გაქრნენ, მაგრამ დარჩა მათი იდეები. როკი ცოცხალია. 60-იანი წლების სიმბოლოთაგან მან ყველაზე მეტად გაუწია

წინააღმდეგობა კომერციალიზაციას. თინეიჯერები მსოფლიოს ყველა წერტილში დღესაც უსმენენ ამ მუსიკას, ოცნებობენ ელექტრო გიტარაზე და ქმნიან ჯგუფებს. როკის იდეა დღესაც მშვიდობაა.

# ამბავი იმისა, თუ როგორ იჩხუბეს ინდერ პარმარმა და ვაგიტ ალეკპეროვმა

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

მიუხედავად ასეთი სათაურისა, ჩემს ნაამბობს გოგოლთან არაფერი აქვს საერთო. მას უმალ ნავთობისა და ბენზინის სუნი ასდის. მისი გმირები ერთმანეთს პირისპირ არასოდეს შეხვედრიან და არც "ბატი" უწოდებიათ ერთიმეორისთვის. მიუხედავად ამისა...

რუსეთის და საერთაშორისო ნავთობის გიგანტს, "ლუკოილის" ხელმძღვანელს პირადად ვიცნობ, პარმარს კი არ შევხვედრივარ. მის სახელს ერთ ამერიკულ ყოველკვირეულ გამოცემაში შემთხვევით გადავაწყდი, და მან ძალიან დამაინტერესა. და აი, რატომ.

ინდერ პარმარი, ემიგრანტი, რომელიც ახლა 44 წლისაა, ინდოეთიდან, პენჯაბიდან, შეერთებულ შტატებში 25 წლის წინათ ჩავიდა. პირველი ხუთი წლის განმავლობაში ინდერი, თავისი მრავალი თანამემამულის მსგავსად, ტაქსის მძღოლად მუშაობდა. ცოტაოდენი ფულის შეგროვების შემდეგ ის ბენზინის ბიზნესს მიეკედლა და 1989 წელს კომპანია "გეტისგან" ბენზინგასამართი სადგური იქირავა. ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ 2002 წელს "გეტი" "ლუკოილმა" არ იყიდა. იჯარის თანხა გაიზარდა, შემოსავალი შემცირდა. "საარსებო ფულის შოვნაც გაჭირდა," - ჩიოდა ინდოელი. "ისინი (ანუ "ლუკოილი" - მ.ს.) გალონ ბენზინზე სამოც ცენტს აკეთებენ, დილერებს კი გალონში სამ-ოთხ ცენტს აძლევენ".

მაგრამ პარმარი ეგოისტი არაა. ძლევამოსილ ნავთობის მონოპოლიებს ის მხოლოდ პირადი ვენდეტის გამო არ ერჩის. როცა ნავთობის ფასები სასწაულად ავარდა, მან მომხმარებლის დაცვა დაიწყო. "ნავთობის დიდი ბიზნესი უცერემონიოდ ზრდის ფასებს," - შფოთავს პარმარი. "მან ამერიკელები ასე უნამუსოდ არ უნდა გაყვლიფოს!" მაგრამ ზოგიერთი პოლიტიკოსისგან განსხვავებით, რომელიც ამას მხოლოდ ამომრჩეველთა ყურადღების მისაპყრობად, პირფერულად განიცდის, პარმარი სიტყვას საქმით ამტკიცებს. ამ წლის გაზაფხულიდან ის თავის სადგურზე ბენზინს საბაზრო ფასზე ოცდაათი ცენტით იაფად ჰყიდის. ამის გამო მას "პენჯაბელი ბენზინის რობინ ჰუდი" შეარქვეს.

პარმარი ნიუ იორკში ქვინსის უბანში ცხოვრობს, მისი ბენზინგასამართი სადგური კი ლონგ აილენდ სიტიში მდებარეობს. მისი პოვნა იოლია. აქ ტაქსისტები და წარმომადგენლობითი მიზნებისთვის განკუთვნილი წაგრძელებული ლიმუზინების მძღოლები დადიან ხოლმე საწვავის ჩასასხმელად. მძღოლები პარმარის ბენზინგასამართ სადგურს "ტაქსისტურ სამოთხეს" უწოდებენ. აქ ბენზინი იაფია, ყავა უფასოა, ტუალეტი ყველასთვის ღიაა. თავად მფლობელსაც სახის ბავშვური გამომეტყველება აქვს, გულითადია და მხიარული" (სანამ ლუდის კათხას მიართმევს ხოლმე, მას ჭაღარა წვეროსანი მოტოციკლეტისტებისთვის ასაკის კითხვა უყვარს).

ბენზინგასამართ სადგურზე ძველი სახელწოდება "გეტი" ლურჯი პლასტიკითაა დაფარული. კედლებზე საინტერესო პლაკატების წაკითხვა შეიძლება. ერთზე წერია: "ჩვეულებრივი ბენზინი - 1,89 დოლარი. ხმა მიეცით კერის!" მეორე უფრო ყურადსაღებია:

"გეტი" - "ლუკოილი" -
რუსი ოლიგარქი.
მხარს უჭერენ პრეზიდენტები,
ბუში და პუტინი "

აი, ასე წერია, ყოველგვარი დიპლომატური ეტიკეტის დაცვის გარეშე!

გასული წლის ივნისში "პენჯაბელმა რობინ ჰუდმა" "ლუკოილის" ბენზინგასამართი სადგურების სხვა ოპერატორებისგან ლობი შექმნა - ისინი, ძირითადად, ინდოეთიდან, პაკისტანიდან, "ახალი რეჟიმის მიერ ჩაგრული" ცენტრალური აღმოსავლეთიდან არიან ჩამოსული. ლობისტები ფლოშინგის საბანკეტო დარბაზში შეიკრიბნენ, კარი მიირთვეს და პარმარი პრეზიდენტად აირჩიეს. პრეზიდენტი უფლებამოსილია ახალი რეჟიმის წარმომადგენლებს საჩივრებისა და მოთხოვნების სია გადასცეს. ამ საბუთით აღჭურვილი ახლადარჩეული პრეზიდენტი ლონგ აილენდში, ისტ მიდოუში, "გეტის" შტაბ-ბინაში გაემართა. ბენზინის დიდ კაცებთან მოლაპარაკებამ დაძაბულობა ცოტა ხნით განმუხტა, მაგრამ სულ მალე ის ახალმა კონფრონტაციამ შეცვალა. პარმარმა იჯარის გადახდაზე უარი განაცხადა, "გეტიმ" კი ბენზინის მიწოდება შეუწყვიტა და გასახლების შესახებ უწყება გაუგზავნა, რომლის გამოც ის ახლა სასამართლოში დავობს.

ბენზინის გარეშე დარჩენილი პარმარი იძულებული გახდა, წვრილმანი ვაჭრობისთვის - კანფეტებისა და სიგარეტის გაყიდვისთვის მიეყო ხელი. სასამართლო გარჩევამ მისი მცირე დანაზოგებსაც ბოლო მოუღო. მაგრამ "პენჯაბელი რობინ ჰუდი" არ ნებდებოდა. მშვილდ-ისრის ნაცვლად ფაქსით შეიარაღებულმა მან ამერიკისა და რუსეთის სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებს წმინდა სიძულვილით სავსე წერილები დააყარა. თავის სამ შვილთან ერთად მან "გეტის" შტაბ-ბინასთან პიკეტი გამართა. რამდენიმე თვის განმავლობაში



"ლუკოილის" შტაბბინა მოსკოვში.




"ლუკოილის" ბენზინ გასამართი სადგური.

ის ყოველდღიურად (!) რეკავდა მოსკოვში, "ლუკოილის" შტაბ-ბინაში. ამ ზარების "ცდის" შესახებ პარმარი ამბობს: "იქ ინგლისურად მხოლოდ ერთი ადამიანი ლაპარაკობს. მას დმიტრი ჰქვია. თუ ჩვენი დროით დილის ხუთიდან ექვსამდე დარეკე, პირადად დმიტრისთან შეიძლება ლაპარაკი".

შექსპირის ენის მცოდნე დმიტრის პიროვნება ჟურნალ "ნიუ იორკერის" რეპორტიორმა, ფილდ მელონიმ დაადგინა. ნიუ იორკის დროით 6:21 წუთზე დარეკვის შედეგად მან მისი გვარი გაიგო - დოლგოვი. რეპორტიორს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ დოლგოვს დაღლილი, მოთმინებადაკარგული კაცის ხმა ჰქონდა. აბა, რა იქნება, როცა რამდენიმე თვის განმავლობაში ყოველდღიურად, ერთსა და იმავე დროს გირეკავენ! დოლგოვმა პარმარი "ჩვენს ნიუ იორკულ შვილობილ კომპანიას", ანუ "გეტის" "გადაულოცა". "გეტიმ", თავის მხრივ, "პენჯაბელ რობინ ჰუდს" "გაბრაზებული და გაღიზიანებული კაცი" უწოდა, და იმ ბრალდებებს, რომლებსაც ის მასსა და მთელს ნავთობის ბიზნესს უყენებს - "ცრუ და შეცდომაში შემყვანი".

აპრილში პარმარმა ერთი ნიუ იორკელი ბითუმად მოვაჭრე იპოვნა, რომელმაც მას ბენზინის მიწოდებაზე თანხმობა განუცხადა. სულ მალე მის სადგურში კვლავ გაჩნდა ძვირფასი სითხე, რომლის გარეშეც თანამედროვე ადამიანის არსებობა წარმოუდგენელია. პარამარის ბენზინგასამართი სადგურის ღვთისნიერი ფასების შესახებ ცნობა მთელს ლონგ აილენდს მოედო. სიმართლის მაძიებელის საქმე ჰყვაოდა. მასთან მძღოლები ნიუ იორკის სხვა რაიონებიდანაც ჩადიოდნენ. აშშ-ს ეროვნული დღესასწაული, დამოუკიდებლობის დღე, რომელიც 4 ივლისს აღინიშნება, პარმარმა "ამერიკელების ნავთობმონოპოლიებისგან დამოუკიდებლობის დღედ" გამოაცხადა. ამის აღსანიშნავად მან ფასი კიდევ ოთხი ცენტით შეამცირა და მხიარული მუსიკაც ჩართო, რომელიც ხმის გამაძლიერებლების მეშვეობით მთელს მიდამოს ესმოდა.

მაგრამ სასამართლოში სულ სხვა მუსიკა გაჟღერდა. სევდიანი. ისეთი პირი უჩანს, რომ პარამარი ბენზინგასამართ სადგურს დაკარგავს. მაგრამ ის მაინც არ ჰყრის ფარ-ხმალს, და ბენზინგასამართ სადგურზე უწინდებურად საზეიმო განწყობა სუფევს. ინდერის ძმა, სინგჰი, ქაღალდის თეფშებზე საზამთროს ნაჭრებს აწყობს. პარმერი წითელ გულს მიირთმევს და ამბობს: "იქნებ სხვა ბენზინგასამართი სადგურის მენეჯერი გავხდე, ან კვლავ ტაქსის საჭეს მივუჯდები".

იქნებ ინგლისურის მცოდნე დმიტრის ვთხოვოთ, რომ პარმარი თავად რუს ოლიგარქს, ვაგიტ ალეკპეროვთან შეაეროთოს? მაგრამ სასწაულები არ ხდება, და ვერანაირი სატელეფონო ზარები ვერ შეცვლის "ამერიკის სისტემას". და არა მარტო ამერიკისას.

ჩემი სტუდენტებისგან, რომლებიც აზიიდან, აფრიკიდან, ლათინური ამერიკიდან არიან ჩამოსული, თითქმის ყოველდღიურად მესმის ასეთი კითხვა: "რატომ მიგვატოვეთ, რატომ დაგვტოვეთ ამერიკული იმპერიალიზმის პირისპირ?" ისე ვპასუხობ, როგორც შემიძლია. ძირითადად, თავის დაძვრენას ვცდილობ. ხომ არ ვიტყვი, რომ ის ფაქტი, რომ "ლუკოილმა" "გეტი" ჩაყლაპა, ანტიიმპერიალისტურ ბრძოლას ნიშნავს?

ათენი-2004

| 18 აგვისტო | | |
|---|---|---|
| **ტყვიით სროლა** | | |
| პისტოლეტი 25მ. | | ქალები |
| ოქრო | მარია გროზდევა | ბულგარეთი |
| ვერცხლი | ლენკა ჰიკოვა | ჩეხეთი |
| ბრინჯაო | ირადა აშუმოვა | აზერბაიჯანი |
| სასტენდო სროლა | | ქალები |
| ოქრო | კიმბერლი როუდი | აშშ |
| ვერცხლი | ლი ბო ნა | კორეა |
| ბრინჯაო | გაო ე | ჩინეთი |
| **ძიუდო** | | |
| 90კგ. წონითი კატეგორია | | კაცები |
| ოქრო | ზურაბ ზვიადაური | საქართველო |
| ვერცხლი | ჰიროში იზუმი | იაპონია |
| ბრინჯაო | ხასანბი ტაოვი | რუსეთი |
| | მარკ ჰაიზინგა | ჰოლანდია |
| 70კგ. წონითი კატეგორია | | ქალები |
| ოქრო | მასაე უენო | იაპონია |
| ვერცხლი | ედიტ ბოსხი | ჰოლანდია |
| ბრინჯაო | ანეტ ბემი | გერმანია |
| | ცინ დონია | ჩინეთი |
| **ცურვა** | | |
| ბრასი, 200მ. | | კაცები |
| ოქრო | კოსუკე კიტაჯიმა | იაპონია |
| ვერცხლი | დანიელ გიურტა | უნგრეთი |
| ბრინჯაო | ბრენდან ჰანსენი | აშშ |
| ბატერფლაი, 200მ. | | ქალები |
| ოქრო | ოტილია იენჯეიჩაკი | პოლონეთი |
| ვერცხლი | პეტრია თომასი | ავსტრალია |
| ბრინჯაო | იუკო ნაკანიში | იაპონია |
| თავისუფალი სტილი, 100მ. | | კაცები |
| ოქრო | პიტერ ვან დენ ჰუგენბანდი | ჰოლანდია |
| ვერცხლი | როლანდ მარკ შოემანი | სამხ. აფრიკა |
| ბრინჯაო | იან თორპი | ავსტრალია |
| 4x200მ. თავისუფალი სტილი | | ქალები |
| ოქრო | აშშ | |
| ვერცხლი | ჩინეთი | |
| ბრინჯაო | გერმანია | |
| **ფარიკაობა** | | |
| პირადი პირველობა. რაპირა | | ქალები |
| ოქრო | ვალენტინა ვეცალი | იტალია |
| ვერცხლი | ჯოვანა ტრილინი | იტალია |
| ბრინჯაო | სილვია გრუხალა | პოლონეთი |
| **ნიჩბოსნობა** | | |
| კანოე, ერთეულების თანრიგი | | კაცები |
| ოქრო | ტონი ესტანგე | საფრანგეთი |
| ვერცხლი | მიხალ მარტიკანი | სლოვაკეთი |
| ბრინჯაო | შტეფან პფანმოლერი | გერმანია |
| ბაიდარკა, ერთეულების თანრიგი | | ქალები |
| ოქრო | ელენა კალისკა | სლოვაკეთი |
| ვერცხლი | რებეკა გიდენსი | აშშ |
| ბრინჯაო | ჰელენ რივზი | ბრიტანეთი |
| **ველოსპორტი** | | |
| საშოსეო რბოლა. ინდივიდუალური | | კაცები |
| ოქრო | ტაილორ ჰამილტონი | აშშ |
| ვერცხლი | ვიაჩესლავ ეკიმოვი | რუსეთი |
| ბრინჯაო | ბობი ჯულიჩი | აშშ |
| საშოსეო რბოლა. ინდივიდუალური | | ქალები |
| ოქრო | ლეონტიენ ზეილარდ ვან მორსელი | ჰოლანდია |
| ვერცხლი | დიდრე დემეტ-ბარი | აშშ |
| ბრინჯაო | კარინ თურიგი | შვეიცარია |
| **მძლეოსნობა** | | |
| ბირთვის კვრა | | კაცები |
| ოქრო | იური ბილონოგი | უკრაინა |
| ვერცხლი | ადამ ნელსონი | აშშ |
| ბრინჯაო | იოახიმ ოლსენი | დანია |
| ბირთვის კვრა | | ქალები |
| ოქრო | ირინა კორჟანენკო | რუსეთი |
| ვერცხლი | იუმილეიდი კუმბა | კუბა |
| ბრინჯაო | ნადინ კლაინერტი | გერმანია |
| **ძალოსნობა** | | |
| 69კგ. წონითი კატეგორია | | კაცები |
| ოქრო | ჩჟანგ გუოჟენი | ჩინეთი |
| ვერცხლი | ლი ბაე იონგი | კორეა |
| ბრინჯაო | ნიკოლაი პეშალოვი | ხორვატია |
| 63კგ. წონითი კატეგორია | | ქალები |
| ოქრო | ნატალია სკაკუნი | უკრაინა |
| ვერცხლი | ანა ბაციუშკა | ბელორუსია |
| ბრინჯაო | ტატიანა სტუკალოვა | ბელორუსია |
| **ცხენოსნობა** | | |
| სამჭიდი. პირადი პირველობა | | |
| ოქრო | ნიკოლა ტუზენი | საფრანგეთი |
| ვერცხლი | კიმბერლი სევერსონი | აშშ |
| ბრინჯაო | ფილიპა ფანელი | ბრიტანეთი |
| სამჭიდი. გუნდური პირველობა | | |
| ოქრო | საფრანგეთი | |
| ვერცხლი | დიდი ბრიტანეთი | |
| ბრინჯაო | აშშ | |
| **მშვილდოსნობა** | | |
| პირადი პირველობა | | ქალები |
| ოქრო | პარკ სუნ ჰიუნი | კორეა |
| ვერცხლი | ლი სუნ ჯინი | კორეა |
| ბრინჯაო | ელისონ უილიამსონი | ბრიტანეთი |
| **სპორტული ტანვარჯიში** | | |
| აბსოლუტური პირველობა | | კაცები |
| ოქრო | პოლ ჰემი | აშშ |
| ვერცხლი | კიმ დე ეუნი | კორეა |
| ბრინჯაო | იანგ ტე იუნი | კორეა |

# 12 წლის შემდეგ

## ის ტატამზე ჭიდაობდა, ჩვენ - ტრიბუნებზე

A1 გვერდიდან

გამარჯვება მიულოცა, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია იყვნენ. "მე ტელეფონით ვესაუბრე ბატონ ზურაბ ჟვანიას და მან, პრეზიდენტის სახელით, გამარჯვება მომილოცა", - პრესკონფერენციაზე განაცხადა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ზურაბ ზვიადაურმა.

პირობა შესრულდა - ათენში საქართველოს ახალი ჰიმნი აჟღერდა და ახალი საქართველოს ახალი დროშა ყველაზე მაღლა აფრიალდა. ქართველები გამარჯვებას ვეჩვევით და მთელ ამ საჩემპიონო ამბიციაში ეს არის მთავარი.

ყველაზე ბედნიერი დღეები, რომელიც ამ 12 წლის განმავლობაში განმიცდია, 23 ნოემბერი და 18 აგვისტო იყო - დღეები სიამაყის განცდისა, საქართველოს გამარჯვების და ქართველობის ზეობისა. ეს ისეთი განცდაა, როცა მთებს გადააგორებ, ყველაფერი ძალგიძს და გეამაყება თქვა - "ქართველი ვარ".

ძიუდოს დარბაზში გუშინ ყველამ გაიგო, რომ ქართველები ვიყავით; მართალია - ცოტანი, მაგრამ - მაგრები. ათენის ქართველობამ საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა და თუ მანამდე ვფიქრობდი, რომ რამდენიმე ჟურნალისტი და დელეგაციის წევრი ვიყავით, ფინალებზე ასამდე ქართველი შეიკრიბა. ხუთჯვრიანი დროშებით შეიარაღებულებმა ჩვენი ფალავანი, როგორც შეგვეძლო, ისე გავამხნევეთ და მგონი, გამოგვივიდა კიდეც. ყველა ჩვენი ტრიბუნისკენ იმზირებოდა. საქომაგოდ მობილიზებული იაპონელებიც კი გაოცებით გვიყურებდნენ. ალბათ, ჩათვალეს, - გიჟები არიანო. მათი ხმაც ჩავახშეთ. ზვიადაური ტატამზე ჭიდაობდა, ჩვენ - ტრიბუნებზე; ჩვენც მოვიგეთ და იმანაც. ბოლოს ჰოლანდიელი ფანებიც ავიყოლიეთ და ძალიან ბევრნი გავხდით. "ჩეინჯი" შედგა - ჩვენ ჰოლანდიელს ვუჭერდით მხარს, რომელიც მესამე ადგილისთვის იბრძოდა, ისინი კი - ზვიადაურს.

ქართველ ფალავანს არცთუ ისე იოლი ბადე შეხვდა. პირველ წრეში გამოცდილ იტალიელს, ფრანჩესკო ოპრეს გადაეყარა. ზვიადაურმა მეტოქეს ერთხანს აცადა, კარგად დააკვირდა, ბოლოს კისრულით მხარზე მოიგდო და ტატამზე დაახეთქა. ჩვენი გუნდის ლიდერს ამ საქმისთვის სულ 48 წამი დასჭირდა.



ქართველები გამარჯვებას ვეჩვევით და მთელ ამ საჩემპიონო ამბიციაში ეს არის მთავარი.

მეორე წრეში რუსმა ხასანბი ტაოვმა გამოთქვა პრეტენზია. ეს ტაოვი ტომით ყარაჩაელი ყოფილა. ზვიადაურს მისთვის ადრეც რამდენჯერმე უსწავლებია ჭკუა - აბა, როდის ყოფილა, ყარაჩაელს ქართველისთვის ჭიდაობაში ეჯობნოს. ჰოდა, მასაც ერთხანს უყურა და ბოლოს მამა-პაპური მოგვერდით მოუთავა საქმე. ბრძოლის დროს ვერ ვგრძნობდი, რომ ოლიმპიურ ჩემპიონს ვეჭიდავებოდიო, - ბრძანა ყარაჩაელმა, მაგრამ ფაქტია, ზვიადაურმა კარგად აბურთავა რუსთა ნაკრების ფალავანი, მესამე წრეში გავიდა და ფრანგ ფრედერიკ დემონფაკონს შეხვდა.

ეს იყო ყველაზე დაძაბული ორთაბრძოლა, რომელიც ზვიადაურმა და ჩვენ გადავიტანეთ. ქართველ ფალავანს დამატებითი დრო დასჭირდა ნახევარფინალში გასასვლელად და ისევ მოგვერდით იმარჯვა. ნახევარფინალში ჩვენებურს ბრიტანელი უინსტონ გორდონი გადაეღობა. გორდონი დიდი ხვითო გამოდგა და გვარიანად გვანერვიულა, მაგრამ ქართველს შემართებას მაინც ველარ გაუძლო - პასიურობისთვის ოთხჯერ გააფრთხილეს და ტატამიც დაატოვებინეს. როგორც იქნა, ფინალში გავედით. იქ კი იაპონელი ჰიროში იზუმი გველოდა.

იზუმიმ კორეელი ჰვანგ ჰი ტაე დაამარცხა - სწორედ ის, რომელმაც ზვიადაურს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მოუგო. ეს კარგი ნიშანი იყო, რადგან ქართველი ფალავანი ადრე იზუმისაც შეხვედრია და დაუმარცხებია კიდეც. ასე რომ, ფინალის წინ კარგ ფსიქოლოგიურ განწყობაზე იქნებოდა.

ზვიადაურმა ფინალი ჩვეულ სტილში, დინჯად იჭიდავა. მეტოქეს გაფრთხილებაც აჰკიდა და ბრძოლის დამთავრებამდე 1.57 წუთით ადრე ტატამზეც გააკრა. ქართველმა მეტოქეს მძლავრად ჩასჭიდა ხელი, ჰაერში ასწია და ტატამზე ზურგით დაახეთქა იპონით!

ზურაბ ზვიადაური ოლიმპიური ჩემპიონია. "ვერცხლით მაინც და მაინც აღფრთოვანებული არ გახლავართ, მაგრამ თავს ზევით ძალა არ იყო", - აღიარა იაპონელმა.

ზურაბ ზვიადაური: "მე აქ მოსაგებად ჩამოვედი. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი ქვეყნისთვის პირველი დამოუკიდებელი ოლიმპიური ოქრო მომეგო, არამედ ოლიმპიური თამაშების მოსაგებად. ჩემთვის ეს დიდ ასპარეზზე მიღწეული პირველი წარმატებაა. მინდა გითხრათ, რომ ეს მხოლოდ ჩემი კი არა, მთელი საქართველოს გამარჯვებაა. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ქვეყანა გავახარე".

**- რომელი შეხვედრა იყო ყველაზე რთული?**

- რა თქმა უნდა - ფრანგ დემონფაკონთან. ანგარიში მხოლოდ ბრძოლის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე გავათანაბრე. ეს იყო ნერვების ბრძოლა. გამარჯვებისთვის დამატებითი დრო დამჭირდა და მოხარული ვარ, რომ, საბოლოო ჯამში, მეტოქე დავამარცხე. მე მეტი ჟინი მქონდა, ჩვენი ქვეყნისთვის ვჭიდაობდი. ამის შემდეგ ისეთი განწყობა დამეუფლა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი უნდა გავმხდარიყავი".

დღეს 100 კგ. წონით კატეგორიაში ივერი ჯიქურაული ჭიდაობს. თუ მანაც მედალი გაახერხა, საქართველოს ნაკრებს სრული კომპლექტი ექნება. ივერი პირველ წრეში მონღოლ ბათვარგალ ოდხუსთან გაარკვევს ურთიერთობას. თუ ეს ბარიერი დაძლია, შემდეგ, სავარაუდოდ, ალჟირელ სემი ბელგროუნთან ექნება საქმე; მესამე წრეში კი ბელორუსი ან ყაზახი ფალავანი ელოდება. თუ ეს წრეც დაძლია, მაშინ ნახევარფინალში უაღრესად სერიოზული ბრძოლა მოუწევს იაპონელ კოსეი ინუოსთან.

გუშინ საქართველოს ნაკრები ოლიმპიადაზე კიდევ ორმა სპორტსმენმა წარადგინა - სპორტული პისტოლეტით სროლაში სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ მე-8 ადგილი დაიკავა. წინასწარ შეჯიბრებაში ქართველმა სპორტსმენმა წარმატებით იასპარეზა, ფინალში რვა უძლიერესს შორის გავიდა და მერვე ადგილზე დარჩა.

ოლიმპიაში კი გაიმართა ტურნირი ბირთვის კვრაში, სადაც მარიამ ქევხიშვილი გამოდიოდა. ქევხიშვილმა იარაღი 15,6 მეტრზე გადააგდო, რაც ფინალში გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა და მარიამმაც ოლიმპიადაზე გამოსვლა ამით დაამთავრა.

# მხრებში გაიშალეთ, ზვიადაურია!

*დარწმუნებული ვარ, გუშინ დედაჩემი ტიროდა. დარწმუნებული კი არა, ასე იქნებოდა. დედაჩემი ყველაფერზე ტირის. საკმარისია, ქართულ სიმღერას მოჰკრას ყური, რომ ცრემლები ადგება თვალებზე. რაც თავი მახსოვს ასეა. მერე სულ ვეჩხუბები, რა გატირებს, ბოლო-ბოლო, სიმღერაა-თქო, მაგრამ გუშინ ცრემლები მეც მომადგა; და რომ არა რედაქციის საკუჭნაოში შეყუჟული გოგონები, ალბათ, მეც ვიქვითინებდი. რა ვქნა, ამას 12 წელიწადი ველოდი და... ზვიადაურო, ჯიგარი ხარ!*

გიგა გურასაშვილი

მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ჩვენ ქვეყანას "ოქრო" არ ღირსებია - ოლიმპიურ ანუ უმთავრეს სარბიელზე ჩემპიონობას ვგულისხმობ, თორემ მსოფლიო და, მით უმეტეს, ევროპის ჩემპიონატებზე ნაირფეროვანი მედლები არაერთხელ მოგვიპოვებია.

მართალი გითხრათ, ათენის ოლიმპიურ თამაშებამდე სულ ვამბობდი: ერთი ოქროს მედალი მაინც რომ ავიღოთ, მაგრები ვიქნებით-მეთქი, - მაგრამ თურმე ვის ატყუებ, რას ატყუებ. ადამიანი ყოველთვის მაქსიმალისტი იყო და აწი რაღა შეიცვლება?! ... არ მითხრათ ახლა, - ჩვენ იმითაც კმაყოფილები ვართ, რაც უკვე მოგვიპოვებიაო; მით უმეტეს, რომ ერთგვარ დევიზად წინ მიგვიძღოდა: "უკეთ, ვიდრე სიდნეიში!" პირადად მე მეტი მსურს და არ მგონია, ეს ცუდი იყოს. არგუმენტიც მაქვს - "მადა ჭამაში მოდის"!

გუშინ კი ყველანი მადაზე ვიყავით. ერთმანეთს ვეუბნებოდით: ჯერ სად ხარ, წინ კიდევ თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები დგანან რიგში-თქო. რაკი ვცდილობ, გულახდილად ვილაპარაკო, იმასაც გეტყვით, რომ ძიუდოისტებისგან ამგვარ წარმატებას ნამდვილად არ ველოდი. მართალია, გუნდური სულისკვეთებით არავის ჩამოვუვარდებით და მხოლოდ ძიუდოს ფუძემდებლებს - იაპონელებს ჩამოვრჩებით, მაგრამ, როდესაც ოლიმპიურ ტატამზე გადიხარ და ყველაფერთან პირისპირ, მარტო რჩები, მხოლოდ ერთი რამ გიმაგრებს ზურგს - საკუთარი რწმენა და მერე - ქვეყანა, შენი სამშობლო, საქართველო.

გულახდილადო ვთქვი და, ძიუდოისტებისგან ერთ მედალს ველოდი - რომელი ხარისხისას, ჩემთვის ამასაც აღარ ჰქონდა მნიშვნელობა. ალბათ, იმიტომ, რომ გამარჯვებას და არა გამარჯვებებს, კარგა ხანია, გადავეჩვიეთ. არადა ნესტორ ხერგიანმა პირველივე დღეს, 14 აგვისტოს XXVIII ათენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალი მოგვიპოვა. ეს უკვე წარმატებად მიმაჩნდა, მაგრამ ხომ გითხარით...

და, თურმე, წინ ბევრად აღმატებული გამარჯვება გველოდა.

ისევ გულახდილად გავაგრძელებ - მეც ისეთივე გულშემატკივარი ვარ, როგორც თქვენ, უბრალოდ, ჩვენ რაღაცეებს ვჯღაბნით და თავშეკავებულად, ყოველგვარი ემოციების გარეშე წერა გვევალება. ამჯერად კი მომიტევეთ - ამას, 12 წელიწადია, ველოდები. საქართველო, 12 წელიწადია, ჩემპიონი არ ყოფილა. მსოფლიო ჩემპიონები ვყოფილვართ, მაგრამ არა - ოლიმპიური. ეს ის წოდებაა, რომელიც არასდროს დაიდგამს თავსართს - "ექს". ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მუდმივია, იგი არასდროს ცვდება; და საქართველო გუშინ ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ძიუდოში - სპორტის სახეობაში, სადაც იაპონელები პირველობენ.

წარუმატებლობებს იმდენად შევეგუეთ, ბევრს დაავიწყდა კიდეც, რომ ძიუდოში ქართველთაგან ბოლოს ოლიმპიურ ჩემპიონად დავით ხახალეიშვილმა დატოვა ტატამი; 12 წლის წინათ ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებზე... მაშინ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანას, მსოფლიოს ოლიმპიურ ოჯახში არავინ ცნობდა. ოლიმპიურმა სამყარომ საქართველო დამოუკიდებელ ქვეყნად 1993 წელს მიიღო. მას აქეთ ოქროს ჭაბუკის გამოჩენას ველოდებით. და აი, გუშინ საქართველო ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. პირადად ჩემთვის საქართველო გახდა ჩემპიონი და არა ზურაბ ზვიადაური. ზვიადაური მხოლოდ ამ გამარჯვების იარაღი იყო.

დარწმუნებული ვარ, გუშინ ბევრ ოჯახში, განსაკუთრებით კი ახმეტაში, ჩვენი ჩემპიონის მშობლიურ მხარეში ფიალა ფიალაზე იცლებოდა; ზვიადაურის სადღეგრძელო ისმებოდა; დედაკაცებს ცრემლიც მოადგებოდათ; ოღონდ ეს ცრემლი ვაჟა-ფშაველას ზვიადაურზე დაღვრილ ალაზას ცრემლს არ ემგვანებოდა - ზურაბ ზვიადაურმა სიხარულის ცრემლით ატირა ქართველი ქალები.




ათენი-2004

# "დრიმ თიმია" თუ ნუცას სკოლა

კახა ფარუაშვილი
ათენიდან

ბერძნებმა იციან თავის საქმე. ჰელინიკონში ისეთი კომპლექსი ააგეს, გარეთ მტერს უზრმავებს თვალებს, შიგნით კი მოყვარეს. აქ კალათბურთელთა ტურნირი იმართება. საბერძნეთი - "დრიმ თიმს" ხვდებოდა. ცხოვრებაში ერთხელ მაინც თუ მოგეცა ამერიკელთა ნახვის საშუალება, არ უნდა გამოტოვო, მით უფრო, თუ ის საბერძნეთს ხვდება, სადაც ფეხბურთი და კალათბურთი ფანატიკურად უყვართ და ქომაგობის ხელოვნება უმაღლეს დონეზე აქვთ აყვანილი.

12-ათასიანი სტადიონი ბერძნებით შეივსო და ტრიბუნები თეთრ-ლურჯ ფერებში გადაიპენტა. საკუთარი თვალით უნდა ნახოთ, როგორ ხვდებიან გულშემატკივრები თავიანთ რჩეულებს. ტრიბუნებზე ყურთასმენა არ არის და თუ ყური გაწუხებთ, აჯობებს, სახლში დარჩეთ, რადგან, ადვილი შესაძლებელია, სასმენი აპკი გაგისკდეთ. ტრიბუნებიც ისეა მოწყობილი, რომ მთელი ამ ღრიანცელის ტალღა პირდაპირ მოედანზე ეშვება და მეტოქე გუნდს თრგუნავს. სწორედ ამიტომ ამბობენ, - საბერძნეთში თამაში ნამდვილი ჯოჯოხეთიაო. თუ გუნდი გამოუცდელია, ჩათვალეთ, რომ ის თამაშამდე დამარცხდა.

ბერძნებმა გუშინ ამერიკელების დათრგუნვაც სცადეს. თავის კალათბურთელებს, როგორც გმირებს, ისე შეხვდნენ, ამერიკელებს კი გამაყრუებელი სტვენის თანხლებით, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ტიმ დანკანის გვარზე ტრიბუნები ერთხანს შეჩერდა. დანკანი ნამდვილი ვარსკვლავია. ის, ალბათ, ერთადერთია, რომელიც ამ ფორმაციის ნაკრებში "დრიმ თიმის" დონეს მიუახლოვდებოდა. ის ხომ ბოლო ორი წლის მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელია და ბერძნებმა მასაც პატივი სცეს.

დანკანი, მართლაც, ერთადერთია, "დრიმ თიმის" სახელს რომ იმსახურებს, სხვები კი ვარსკვლავებს არაფრით ჰგვანან. ალენ აივერსონი კიდევ ერთი ბედნიერი შემთხვევაა აშშ-ის ნაკრებში და შარშანდელი დრიფტის პირველი ნომრები - ლებრონ ჯეიმსი და კარმელო ენტონი... მაგრამ, ეს "დრიმ თიმი" არ არის და საოცარია ამერიკელთა ახირება, რატომ არქმევენ ყველა ფორმაციის გუნდს "დრიმ თიმს". ამერიკელები ამით თავის უპირატესობას უსვამენ ხაზს, მაგრამ ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ თუ მაიკლ ჯორდანის, მეჯიკ ჯონსონის, ლარი ბერდის, ჩარლზ ბარკლისა და აიზია ტომარის გუნდი "დრიმ თიმი" იყო, მაშინ როგორ შეიძლება, თუნდაც - დანკანის, აივერსონის, ჯეიმსის, ჯეფერსონის, სტაუდმაიერისა თუ ოდომის გუნდს "ოცნების გუნდი" ერქვას.

ბერდი, ჯორდანი, ჯონსონი ხომ ეპოქალური კალათბურთელები იყვნენ; ისინი, ვის თამაშზეც გავიზარდეთ და ვინც დღემდე გვახსოვს; გავა დრო და ეს დიდი სახელები კიდევ გვემახსოვრება (როგორც უილტ ჩემბერლენი), ამ ფორმაციის გუნდისა კი - არა. ესეც ერთი არგუმენტია, თუ რატომ არ უნდა ერქვას აშშ-ის ნაკრებს "დრიმ თიმი". "ოცნების გუნდი" ერთი უნდა იყოს. სწორედ იმიტომ არის ის ოცნების, რომ ერთადერთი და განუმეორებელია. ასეთი გუნდი ბარსელონაში თამაშობდა და სხვა ამ სახელს აშკარად ვერ იტევს.

ამერიკელებმა პირველივე თამაში პუერტო-რიკოსთან დათმეს. არ ვიცი - როგორ, მაგრამ ფაქტი ჯიუტია - ამერიკამ წააგო. მეორე მატჩს კი ლარი ბრაუნის გუნდი ბერძნების წინააღმდეგ ატარებდა. აშკარაა, რომ ამერიკელებს შეთანხმება აკლიათ. ისინი მთელი წლის განმავლობაში ორჯერ შეიკრიბნენ - შესარჩევი ტურნირისთვის და ოლიმპიურ თამაშებზე. ბუნებრივია, რომ დროის ამ მცირე მონაკვეთში ლარი ბრაუნს გუნდის შეთამაშება უაღრესად გაუჭირდებოდა. ამიტომაც უჭირს "დრიმ თიმს" ევროპულ გუნდებთან გამკლავება და, რაც დრო გავა, უფრო გაუჭირდება.

NBA-ს შეფებმა გადაწყვიტეს, ასოციაციის მასშტაბი გაზარდონ და ევროპის ქვეყნებიც მოიცვან. ამ პროგრამის პირველი ნაწილი ევროპელი კალათბურთელების ამერიკაში გადინებაა. ოკეანის გაღმიდან სულ უფრო აქტიურად ეძებენ ევროპაში რეზერვებს და ყოველ წელიწადს სულ უფრო მეტი ევროპელი მიემგზავრება ამერიკაში. ეს კი ამერიკელთათვის სერიოზულ კონკურენციას ქმნის და ისინიც ველარ ფლობენ იმ უპირატესობას, რომელსაც, ვთქვათ - 10 წლის წინათ. არგუმენტად ბოლო მსოფლიო ჩემპიონატი გამოგვადგება, სადაც აშშ მეექვსე ადგილზე გავიდა. არც ის არის გამორიცხული, ლარი ბრაუნის გუნდმა ოლიმპიადა ვერ მოიგოს და მაშინ ამერიკელებს "დრიმ თიმთან" დაკავშირებით სერიოზული დაფიქრება მოუწევთ.

დაიწყო თამაში და გული დამწყდა, რომ ბარსელონას ოლიმპიური თამაშები გამოვტოვე. იმის გაფიქრებამ, რომ ჯორდანის, ჯონსონისა და ბერდის თამაში შეიძლებოდა ცოცხლად მენახა, ძალიან დამწყვიტა გული. დღეს ამერიკას "ოცნების გუნდი" აღარ ჰყავს და ბერძნებმა ეს ყველას თვალნათლივ დაანახეს. ამერიკამ მოიგო, მაგრამ - ექვსი ქულა, და ისიც ბოლო წამებზე მოახერხა. ბერძნებმა ჯოჯოხეთური მხარდაჭერის პირობებში, ტოლი არაფერში დაუდეს ლარი ბრაუნის ნაწრთობ ვარსკვლავებს.

"დრიმ თიმმა" თამაში ტიმ დანკანზე ააგო. ყველა გადაცემა მისი მიმართულებით იგზავნებოდა, მაგრამ ლაზაროს პაპადოპულოსმა და ჩაცივრეტასმა საიმედოდ გაანეიტრალეს ამერიკელთა ლიდერი და მას ბურთის მიღების საშუალებასაც არ აძლევდნენ. ამერიკელებს პირველ მეოთხედში ძალიან გაუჭირდათ. სამქულიანი ტყორცნები წაუვიდა ფოტსის და "დრიმ თიმმა" მხოლოდ ერთი ქულის სხვაობით გაიმარჯვა. დანკანის ანგარიშზე ერთადერთი ქულა და 2 მოხსნა იყო.

მეორე მეოთხედში ლარი ბრაუნმა თამაშის სურათი შეცვალა. მოედანზე შარშანდელი დრაფტის პირველი და მეორე ნომრები - ლებრონ ჯეიმსი და კარმელი ენტონი გამოუშვა. ჯეიმსმა 8 ქულა აკრიფა და ტიმ დანკანმაც ამოისუნთქა. ბერძნები მიხვდნენ, რომ მხოლოდ დანკანის ნეიტრალიზება ხეირს ვერ დააყრიდათ და ლებრონ ჯეიმსზე გადაერთნენ. სწორედ მეორე მეოთხედში შეიქმნა ამერიკამ ის მარაგი, რომელმაც, საბოლოო ჯამში, "დრიმ თიმს" გაამარჯვებინა.

შესვენების შემდეგ ტიმ დანკანის დროც დადგა. მან 10-წუთიან მონაკვეთში 13 ქულა მოაგროვა და ამერიკელებს სერიოზული მარაგი შეუქმნა. თუმცა, 4 პერსონალური შენიშვნის გამო, ლარი ბრაუნმა ის დაასვენა. ბერძნებმა შვებით ამოისუნთქეს და ფოტსისმა და პაპადოპულოსმა იმდენი მოახერხეს, რომ ერთი პირობა, ანგარიშში სხვაობა ერთ ქულამდეც შეამცირეს. მაგრამ, ისევ ტიმ დინკანის, აივერსონისა და ლებრონ ჯეიმსის მცდელობით, ამერიკელებმა უპირატესობა შეინარჩუნეს და ოლიმპიურ თამაშებზე პირველი მატჩი მოიგეს. ჯგუფს კი ორი გამარჯვებით სათავეში ლიტვის ნაკრები უდგას. ლიტველებმა ჯერ ანგოლა, შემდეგ კი პუერტო-რიკო დაამარცხეს.

ლარი ბრაუნმა ჯეისონ კადი და კობი ბრაიანტი სახლში დატოვა. შაკილ ო`ნილი კი ვერაფრით დაიყოლია. "შაკს" სურდა, მწვრთნელად ვილ ჯექსონი ჰყოლოდა და რაკი ის აირჩიეს, ნაკრებში თამაშზე უარი თქვა. ამერიკას კი, მის გარეშე, ძალიან უჭირს. ის "დრიმ თიმი" ნამდვილად არ არის.

# ბერძენი მორბენლები ოლიმპიურ თამაშებს ტოვებენ

პაატა თოთაძე

ბერძენმა სპრინტერებმა - კოსტას კენტერისმა და კატარინა ტანუმ, რომლებიც დოპინგ-ტესტზე არ გამოცხადდნენ, განაცხადეს, რომ ოლიმპიური თამაშებს ტოვებენ.

გუშინ დილით სპორტსმენები სადისციპლინო კომიტეტის სხდომას დაესწრნენ, სადაც დაწვრილებით განუმარტეს დაინტერებულთ, თუ რატომ არ მივიდნენ დოპინგ-ტესტზე. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, თუ რა ილაპარაკეს სხდომაზე. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი და საბერძნეთის ოლიმპიური კომიტეტი ამაზე საუბრისგან თავს იკავებენ. ოთხი წლის წინათ სიდნეის ოლიმპიადაზე კენტერისმა 200 მეტრზე რბენაში ოქრო მოიგო და, ბუნებრივია, წელსაც გამარჯვების უპირველეს კანდიდატად ითვლებოდა. მისი თქმით, ის თამაშებს "ქვეყნის გულისთვის" ტოვებს.

"არა მგონია, რაიმე შეცდომა დამეშვა, ან ცუდად მოვქცეულიყავი. პატარა გაუგებრობა იყო, სხვა არაფერი. მათ კი ყველაფერს ისეთი სახე მისცეს, თითქოს რაიმე დანაშაული ჩამედინოს. ოთხი წლის განმავლობაში, დაახლოებით, 30-ჯერ გავიარე დოპინგ-ტესტი და პრობლემა არასდროს შემქმნია. როგორც ჩანს, ვიღაცას ჩემი სახელის და რეპუტაციის გაფუჭება სჭირდებოდა. ვიღაცას გზაზე გადაველობე და ამიტომაც მოიქცა ასე. გავა დრო და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა", - ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა კენტერისმა.



კოსტას კენტერისმა და კატარინა ტანუმ ოლიმპიურ კომიტეტს ბოიკოტი გამოუცხადეს.

რაც შეეხება ტანუს, ის წინა ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორია 100 მეტრზე რბენაში. "მინდა, ბოდიში მოვუხადო ბერძენ ხალხს. იძულებული ვარ, ოლიმპიური თამაშები დავტოვო. მე მთელ ერს გავუცრუე იმედი, რისთვისაც პატიებას ვითხოვ", - განაცხადა მორბენალმა.

სხდომა ადგილობრივი დროით დილის ცხრა საათზე დაიწყო. საათსა და ორმოც წუთში კი სხდომა მორბენლებმა და ადვოკატმა დატოვეს. იმავ წუთს სპორტსმენებმა გააკეთეს განცხადება ოლიმპიური თამაშების დატოვების თაობაზე. გარდა ამისა, როგორც გაირკვა, კენტერისმა გაწყვიტა თანამშრომლობა პირად მწვრთნელთან. როგორც ირკვევა, სპორტსმენი მას ადანაშაულებს სკანდალის აგორებაში.

მიუხედავად ყველაფერისა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეს-მდივნის, ემანუელ მორის განცხადებით, სპორტსმენების გადაწყვეტილება არაფერს ცვლის: "სადისციპლინო კომიტეტი განაგრძობს გამოძიებას მომხდართან დაკავშირებით და საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა, სპორტსმენები დატოვებენ თუ არა აქაურობას".

მკაცრი ტონი შეინიშნება საბერძნეთის ოლიმპიური კომიტეტის განცხადებაშიც: "გამოძიების პროცესი ჯერ არ დასრულებულა. სადისციპლინო კომიტეტმა თავის განაჩენი უნდა გამოიტანოს. ამავე დროს სპორტსმენთა საქმე გამოსაკვლევად პროკურატურას გადაეცემა. ავარიაში, რომელიც სპორტსმენებს მოუვიდათ, ბევრი რამაა საეჭვო, ამიტომაც აუცილებელია, ვითარებაში ბოლომდე გავერკვეთ".

ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ სპორტსმენებს ავარიის არანაირი კვალი არ ეტყობათ ტანზე. არადა, მათი თქმით, ავარია საკმაოდ მძიმე იყო; ექიმებიც ამბობენ, რომ შეუძლებელია, ტანზე კატასტროფის კვალი არ დარჩენოდათ. ავარიის შემდეგ მორბენლებმა საავადმყოფოში ხუთი დღე დაჰყვეს. ამის შემდეგ მათ მოითხოვეს განმეორებით ტესტის ჩატარება, თუმცა მისი ჩატარება უკვე ოლიმპიურმა კომიტეტმა არ ისურვა.

"არ ვიცი, როგორი იყო მათი სტრატეგია, მაგრამ ჩვენ სხვა გეგმა გვაქვს. საავადმყოფოში ტესტის ჩატარებას აზრი არ ჰქონდა. საავადმყოფოს პირობებში, ადვილად შეიძლება აკრძალული პრეპარატების კვალი დაფარო - ანუ, ნებისმიერ შემთხვევაში, ტესტი უარყოფითი იქნებოდა", - განაცხადა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სამედიცინო კომისიის ხელმძღვანელმა არნე ლუნკვისტმა. მისი თქმით, სამედიცინო კომისიას მოკლე ხანში ექნება საშუალება, აკრძალული პრეპარატის კვალი ორგანიზმში მას შემდეგაც აღმოაჩინოს, თუკი მის გასანეიტრალებლად სპორტსმენმა რაიმე მიიღო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბერძენ სპორტსმენებს მომავალი კარგს არაფერს უქადის. ალბათ, ამიტომაცაა კენტერისმა ჟურნალისტებთან საუბარში რომ განაცხადა, - ვინ იცის, ეგებ საერთოდ დავანებო თავი სირბილსო.

ბოულინგი

# ბოულინგური ტაიმ აუტი

*ვინ იცის, 1999 წლიდან მოყოლებული თბილისის "ბოულინგ ცენტრში" ბურთი რამდენჯერ გაგორებულა - ბევრჯერ, რადგან ამგვარი გასართობი ცენტრი ერთადერთია საქართველოში, თუ, რა თქმა უნდა, გუდაურის "მარკო პოლოს" კეგლბანს არ ჩავთვლით. აქედან გამომდინარე, თბილისის "ბოულინგ ცენტრს" სტუმარი თუ დამსვენებელი არასდროს მოჰკლებია, მაგრამ ახლა, რამდენიმე დღეა, "თავად ბოულინგ ცენტრი" ისვენებს. უფრო სწორად, კი არ ისვენებს, არამედ ისევ იმაზე ზრუნავს, რომ სტუმრებს უკეთესი პირობები შეუქმნას...*

ჩვენი გაზეთი, შეძლებისდაგვარად, აშუქებდა ბოულინგური სამყაროს სიახლეებსა თუ კურიოზებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც "ბოულინგ ცენტრმა" ტაიმ აუტი აიღო, ინფორმაციული ვაკუუმის შესავსებად და ვითარებაში უკეთ გასარკვევად "ჯი-ემ-სი" ჯგუფის პიარს მაკო ჯაოშვილს მივმართეთ და შევიტყეთ, რომ "ბოულინგ ცენტრში" ერთგვარი სარემონტო თუ კოსმეტიკური სამუშაოები მიმდინარეობს.

"ის, რომ სარემონტო სამუშაოებით ვართ დაკავებულები, არ ნიშნავს, რომ არსებითი ცვლილებები იქნება. უბრალოდ, პერიოდულად ამგვარ სამუშაოებს ვატარებთ ხოლმე. ვაახლებთ ინტერიერს, ტექნიკურ შემოწმებას ვუტარებთ სათამაშო ბილიკებს. ის ტექნიკური ხარვეზები, რომელიც ხანდახან დისკომფორტს უქმნიდა მოთამაშეებს, გვინდა, მინიმუმამდე დავიყვანოთ. აგვისტო კი იმიტომ ავირჩიეთ სარემონტო სამუშაოებისთვის, რომ ხალხი მეტ-ნაკლებად ქალაქიდან გასულია.

25 აგვისტოდან კი "ბოულინგ ცენტრი" ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება, ამასთან - ახალი პროექტებით. ბოულინგის ლიგა ბევრად აქტიურად ჩაებმება როგორც ბოულინგის პოპულარიზაციაში, ისე რიგი შეჯიბრების მოწყობაში; ამოქმედდება ბოულინგის ფედერაცია; შემოდგომაზე ველით საქართველოს ღია ჩემპიონატსაც. გარდა ამისა, "ბოულინგ ცენტრის" მესვეურები ოლიმპიურ თამაშებსაც გამოეხმაურებიან; სექტემბრის მეორე ნახევრისთვის გადაწყვეტილი აქვთ ტურნირის მოწყობაც - კერძოდ, იმ ოლიმპიელებისთვის, რომლებიც ათენში წარმატებებს მიაღწევენ, ერთგვარი ოლიმპიური ბოულინგური ტურნირი მოეწყობა.

მართალია, ბოულინგი ოლიმპიური თამაშების ოფიციალური პროგრამის ნაწილი არ გახლავთ, მაგრამ მსოფლიოს ბოულინგური სამყარო ყველანაირად ცდილობს ოლიმპიური თამაშების სტატუსის მოპოვებას. მანამდე კი ქართველ ოლიმპიელთა ბოულინგით შევიქციოთ თავი. იმედია, მათი რაოდენობა შთამბეჭდავი იქნება. ერთი მონაწილის ვინაობა უკვე ცნობილია - ძიუდოისტი ნესტორ ხერგიანი, რომელმაც ათენური ვერცხლის მედალი მოიპოვა. ერთი სიტყვით, ათენის ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ ურიგო სანახაობა არ გველის.

ფეხბურთი

www.pfl.ge

# საქართველოს თასის 1/16 ფინალის კენჭისყრა

18 აგვისტოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის საშეჯიბრო კომიტეტმა საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის მატჩების კენჭისყრა ჩაატარა. გუნდები ასე დაწყვილდნენ:

**პირველი მატჩები**
**ოთხშაბათი, 25 აგვისტო**

ტორპედო (ქუთაისი) - გურია (ლანჩხუთი)
კოლხეთი 1913 (ფოთი) - ეგრისი (სენაკი)
დინამო (ბათუმი) - კოლხეთი (ხობი)
ზესტაფონი (ზესტაფონი) - მაღაროელი (ჭიათურა)
ჩიხურა (საჩხერე) - ამერი (თბილისი)
ლოკომოტივი (თბილისი) - ივერია (ხაშური)
სიონი (ბოლნისი) - ბორჯომი (ბორჯომი)
რუსთავი (რუსთავი) - ჭაბუკიანი (ჭაბუკიანი)
სპარტაკი (თბილისი) - ცხუმი (სოხუმი)
ცხინვალი (ცხინვალი) - მუხრანი (მუხრანი)
მილანი-მერანი (თბილისი) - კახეთი (თელავი)
პრემა (თბილისი) - საგარეჯო (საგარეჯო)

**საპასუხო მატჩები**
**პარასკევი, 3 სექტემბერი**

გურია (ლანჩხუთი) - ტორპედო (ქუთაისი)
ეგრისი (სენაკი) - კოლხეთი 1913 (ფოთი)
კოლხეთი (ხობი) - დინამო (ბათუმი)
მაღაროელი (ჭიათურა) - ზესტაფონი (ზესტაფონი)
ამერი (თბილისი) - ჩიხურა (საჩხერე)
ივერია (ხაშური) - ლოკომოტივი (თბილისი)
ბორჯომი (ბორჯომი) - სიონი (ბოლნისი)
ჭაბუკიანი (ჭაბუკიანი) - რუსთავი (რუსთავი)
ცხუმი (სოხუმი) - სპარტაკი (თბილისი)
მუხრანი (მუხრანი) - ცხინვალი (ცხინვალი)
კახეთი (თელავი) - მილანი-მერანი (თბილისი)
საგარეჯო (საგარეჯო) - პრემა (თბილისი)

**საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა ულოცავს მთელს საქართველოს ათენის ოლიმპიადაზე ქართველი ძიუდოისტის ზურაბ ზვიადაურის ბრწყინვალე გამარჯვებას. ეს ერთი და სხვა მრავალი!**

TV-სპორტი

## ხუთშაბათი. 19 აგვისტო

**НТВ+ФУТБОЛ**

07:30 ოლიმპიადის დღიური
08:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. ჩოგბურთი. მესამე წრე
10:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფეხბურთი. ვაჟები. კოსტარიკა - პორტუგალია
11:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. "პალმეირასი" - "ინტერნასიონალი"
12:00 ოლიმპიური პრესცენტრი
12:15 ოლიმპიური თამაშები ათენში. კალათბურთი. ვაჟები. იტალია - ესპანეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
14:00 ოლიმპიური პრესცენტრი
14:25 ოლიმპიური თამაშები ათენში. კრივი. 69კგ. წინასწარი შეხვედრები. პირდაპირი ტრანსლაცია
15:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. კალათბურთი. ვაჟები. აშშ - ავსტრალია. პირდაპირი ტრანსლაცია
17:15 ოლიმპიური პრესცენტრი
17:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. ძალოსნობა. ქალები. 69კგ. პირდაპირი ტრანსლაცია
19:10 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფეხბურთი. ვაჟები. პარაგვაი - იტალია
20:00 ოლიმპიადის დღიური
20:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. ცურვა. ნახევარფინალები და ფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
21:55 სპორტული ტანვარჯიში. ქალები. მრავალჭიდი. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:45 ოლიმპიური თამაშები ათენში. ძალოსნობა. ვაჟები. 77კგ.
00:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. კრივი. 64კგ. 69კგ. წინასწარი შეხვედრები
01:30 ოლიმპიადის დღიური

**НТВ+СПОРТ**

06:25 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფეხბურთი. ვაჟები. კოსტარიკა - პორტუგალია
08:10 08:10-დან 08:30-მდე შესვენება
08:30 "ოლიმპიური ოდისეა"
09:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. დღის ანონსი
09:40 "ოლიმპის შვილები"
09:45 ოლიმპიური პრესცენტრი
10:00 გადაძახილი
11:15 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფრენბურთი. ქალები. გერმანია - რუსეთი
12:45 გადაძახილი
13:15 ოლიმპიური პრესცენტრი
13:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. ტყვიით სროლა. ვაჟები. 10მ. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
14:10 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფრენბურთი. ვაჟები. ჰოლანდია - ბრაზილია
15:25 ოლიმპიური თამაშები ათენში. სასტენდო სროლა. ქალები. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
16:15 ოლიმპიური პრესცენტრი
16:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. კრივი. 64კგ. წინასწარი შეხვედრები
17:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. ძიუდო. ქალები. 78კგ. ვაჟები. 100კგ. მატჩი მე-3 ადგილისთვის. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:50 ოლიმპიური პრესცენტრი
19:05 ოლიმპიური თამაშები ათენში. მშვილდოსნობა. ვაჟები. ფინალი
19:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფარიკაობა. ვაჟები. ხმალი. გუნდური. მატჩი მე-3 ადგილისთვის. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
21:40 "ოლიმპიური დღე". უმთავრეს ასპარეზობათა ფრაგმენტები
22:25 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფრენბურთი. ვაჟები. რუსეთი - აშშ. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 "მითი და რეალობა"
00:10 "თემა"
00:40 "ოლიმპიური ოდისეა"
01:40 ოლიმპიური თამაშები ათენში. წყალბურთი. ვაჟები. ხორვატია - რუსეთი
02:40 ოლიმპიური თამაშები ათენში. კალათბურთი. ვაჟები. საბერძნეთი - ლიტვა
04:10 ოლიმპიური თამაშები ათენში. მაგიდის ჩოგბურთი. ერთეულთა მეოთხედფინალები

**EUROSPORT**

06:00 კრივი. ოლიმპიური თამაშები ათენში
07:00 ცურვა. ოლიმპიური თამაშები ათენში
08:00 ოლიმპიური თამაშები. ახალი ამბები
08:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
08:45 ოლიმპიური თამაშები. ახალი ამბები
09:15 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
09:30 აკადემიური ნიჩბოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
11:00 ცურვა. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
13:15 ბაიდარი და კანოე. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
14:45 ოლიმპიადის სიახლეები
15:00 კრივი. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
17:30 ძალოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 ძიუდო. ოლიმპიური თამაშები ათენში
20:15 ოლიმპიური თამაშები. ახალი ამბები
20:30 ცურვა. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 სპორტული ტანვარჯიში. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 კრივი. ოლიმპიური თამაშები ათენში
00:30 ფარიკაობა. ოლიმპიური თამაშები ათენში
01:00 "ოლიმპიკ ექსტრა"
02:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
02:15 ძალოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში
03:15 ფრენბურთი. ოლიმპიური თამაშები ათენში
04:00 ცურვა. ოლიმპიური თამაშები ათენში
05:00 სპორტული ტანვარჯიში. ოლიმპიური თამაშები ათენში

# NASA-ს შიკრიკი მერკურის 2011 წელს მიაღწევს

თითქმის 30-წლიანი პაუზის შემდეგ, აშშ-ის კოსმოსური კვლევის სააგენტომ (NASA) მზის სისტემის პირველი პლანეტის, მერკურის საკვლევი მისია წამოიწყო - აგვისტოს დასაწყისში, ფლორიდის შტატში მდებარე კანავერალის კონცხის კოსმოდრომიდან სტარტი აიღო საპლანეტთაშორისო კოსმოსურმა ხომალდმა სახელად "მესენჯერ" (შიკრიკი, მაცნე), რომელიც შვიდი წლის შემდეგ შეუდგება მერკურის შესწავლას.

ხომალდი კოსმოსში "ბოინგის" წარმოების მზიდმა რაკეტა "დელტა 2"-მა გაიყვანა, რომლის გაშვებაც თავიდან 2 აგვისტოსთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ უამინდობის გამო ერთი დღით გადაიდო. 3 აგვისტოს ეგრეთ წოდებული "სასტარტო ფანჯარა" მხოლოდ 12 წამი იყო, მაგრამ გაშვება წარმატებული გამოდგა. სტარტიდან 56 წუთისა და 43.7 წამის შემდეგ, რაკეტამ განავითარა სიჩქარე, რომლის წყალობითაც მან შეძლო ჩვენი პლანეტის მიზიდულობის დაძლევა და "მესენჯერთან" ერთად თავისუფალ კოსმოსში გავიდა.

პირველად ადამიანის მიერ შექმნილმა ხელსაწყომ, რომელსაც "მარინერ 10" ეწოდებოდა, მერკურის სიახლოვეს 1973 წელს გაიფრინა და პლანეტის 45 პროცენტზე მეტი გადაიღო. თუმცა, ამის მიუხედავად, მერკური მაინც ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად შესწავლილ პლანეტად რჩება. "მარინერი"



მესენჯერი სტარტზე...



...მერკურის ორბიტაზე კი 7 წლის შემდეგ გავა.

1974 და 1975 წლებში სულ სამჯერ მიუახლოვდა მერკურის და მის მიერ გადაღებულმა ფოტოებმა უფრო მეტი კითხვა წარმოშვა, ვიდრე მანამდე არსებობდა ("მარინერმა" ვერ შეძლო მერკურის ორბიტაზე გასვლა, რადგან მეტისმეტად მაღალი სიჩქარით მოძრაობდა).

ამჯერად, ამ კითხვებზე პასუხების მისაღებად, "მესენჯერი" შვიდი ულტრათანამედროვე აპარატით აღიჭურვა, რომელთა საშუალებითაც პლანეტის გეოქიმიური გამოკვლევისა და მისი ბირთვის თავისებურებებში გარკვევის საშუალება იქნება. ხომალდის აღჭურვილობაში შედის სენსორული სისტემები, უმაღლესი გარჩევადობის მქონე კამერები, მაგნეტომეტრი (მერკურის მაგნიტური ველის შესასწავლად) ლაზერული ალტომეტრი (პლანეტის ტოპოგრაფიის შესადგენად) და სპექტრომეტრი, რომლის საშუალებითაც შორი მანძილიდან შესაძლებელი იქნება მერკურის ზედაპირის და მახლობელი არეალის ქიმიური შემადგენლობის შესწავლა.

მაგალითად, გასარკვევია, რატომაა მერკურის სიმკვრივე მეტისმეტად მაღალი (მეცნიერთა ვარაუდით, მის თითქმის ორ მესამედს რკინა შეადგენს) და რატომაა, რომ ჩვენი პლანეტის მსგავსად, მასაც გააჩნია მაგნიტური ველი. გარდა ამისა, დედამიწაზე განლაგებული რადიოტელესკოპების მიერ, მერკურის ღრმა პოლუსების სიახლოვეს მდებარე კრატერებში აღმოჩენილია ყინულის კვალი (!). ეს მაშინ, როცა პლანეტის ეკვატორულ ნაწილში, ტემპერატურა 450 გრადუსს აღწევს.

მისიის ერთ-ერთი მიზანი ისიცაა, რომ დაადასტუროს, ან უარყოს ეს აღმოჩენა. ზოგიერთი ვარაუდით, ტელესკოპების მიერ აღმოჩენილი ყინული სულაც არ არის გაყინული წყალი, არამედ მეცნიერებისთვის ჯერაც უცნობი ტიპის ეგრეთ წოდებული სუპერგაყინული კვარცული წარმონაქმნია, რომლის მსგავსი მანამდე არსად დაფიქსირებულა.

გარდა იმისა, რომ მერკური მზის სისტემის პლანეტებიდან ყველაზე მხურვალეა, მასზე მზეც გაცილებით ინტენსიურად (11-ჯერ უფრო მკვეთრად, ვიდრე დედამიწაზე) ანათებს. ამიტომ, "მესენჯერის" და მასზე განთავსებული აპარატურის დასაცავად, ხომალდი სპეციალური დამცავი ეკრანითაა აღჭურვილი, რომელიც კერამიკული მასალებითაა დამზადებული. მსგავსი მასალები გამოიყენება მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსურ ხომალდ "შატლის" თერმულ დაცვაში, რომელიც ხომალდს ატმოსფეროში შემოსვლის დროს იცავს გადახურებისგან. სხვათა შორის, სწორედ ამგვარი ფენის დაზიანების გამო განიცადა "კოლუმბიამ" კატასტროფა, როცა ის ატმოსფეროში შემოდიოდა.

სხვათა შორის, სახელი "მესენჯერ" აბრევიატურას წარმოადგენს (MESSENGER - MErcury Surface, Space ENvironment, GEochemistry and Ranging, ანუ მერკურის ზედაპირი, კოსმოსური გარემო, გეოქიმია და სისტემატიზაცია). მისიის ღირებულება "სულ რაღაც" 427 მილიონ დოლარს შეადგენს და ფაქტობრივად, ეს არის NASA-ს მიერ წარმოებული ერთ-ერთი ყველაზე იაფფასიანი წამოწყება.

მერკურის ორბიტაზე გასვლამდე "მესენჯერს" საკმაოდ რთულ ტრაექტორიაზე მოძრაობა მოუწევს და ამ დროს გამოიყენებს (შენელდება) "შემხვედრი" პლანეტების (მათ შორის, დედამიწისაც) გრავიტაციას. მოგზაურობის დროს "მესენჯერი" სულ 15-ჯერ შემოუფრენს მზეს, ზუსტად ერთი წლის შემდეგ იგი ჩვენი პლანეტის სიახლოვეს ჩაიქროლებს, 2006 წლის ოქტომბერში და 2007 წლის ივნისში იგი ორჯერ ჩაიქროლებს ვენერას მახლობლად, რის შემდეგაც, 2008 წლის იანვარსა და ოქტომბერში, ასევე 2009 წლის სექტემბერში, იგი სამჯერ მიუახლოვდება მერკურის. ამის შემდეგ, ხომალდს კიდევ ორი წელი დასჭირდება იმისათვის, რომ მერკურის (ეს პლანეტა ოდნავ დიდია მთვარეზე) ორბიტაზე გავიდეს, სადაც დაახლოებით წელიწადს დაჰყოფს.

მისიის დასრულება 2012 ან 2013 წლისთვისაა დაგეგმილი, როცა "მესენჯერს" საწვავის მარაგი გამოელევა. წინასწარი ვარაუდით, ის არსებობას პლანეტის ზედაპირზე დაეცემით დაასრულებს.

# დედამიწის გარშემო 80 საათში

ამერიკელი მოგზაური სტივ ფოსეტი იმითაა ცნობილი, რომ რამდენიმე რეკორდითაა შესული გინესის რეკორდების წიგნში, მაგრამ ამით დაკმაყოფილებას არ აპირებს და სოლიდური ასაკის (60 წლისაა) მიუხედავად, კიდევ ერთი რეკორდული გადაფრენისთვის ემზადება, რაშიც მას პარტნიორობას გაუწევს ბრიტანელი მილიარდერი, კორპორაცია "ვირჯინის" შეფი სერ რიჩარდ ბრენსონი, ვინც ასევე უჩვეულო თავგადასავლებითაა ცნობილი.

ცნობილი კონსტრუქტორის, ბერტ რუტანის კომპანია "სქელდ კომპოზიტსის" მიერ შექმნილი უჩვეულო საფრენი აპარატით, სახელად "გლოუბლ ფლაიერ", ფოსეტი ჩვენი პლანეტის გარშემო, ყოველგვარი საშუალედო დაჯდომისა და საწვავის ჩამატების გარეშე შემოფრენას ეცდება.

ჩვენი რუბრიკის ერთგულ მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ რუტანი და მისი კომპანია კოსმოსური ტურიზმის პიონერობასაც ეშურებიან თავიანთი შედევრით სახელად "სპეისშიპვან", რომელიც პირველი კერძო კოსმოსური ხომალდია, კოსმოსის ზღვარს (100 კილომეტრი) რომ მიაღწია. უფრო მეტიც, სწორედ რუტანის შექმნილია ორადგილიანი თვითმფრინავი



"გლოუბლ ფლაიერი" სარეკორდო ფრენისთვის ფაქტობრივად მზადაა.

"ვოიაჯერი", რომლითაც ბერტის ძმამ, 66 წლის დიკ რუტანმა და ვინმე ჯენა იეგერმა ჩვენს პლანეტას შეუსვენებლივ და საწვავის ჩამატების გარეშე პირველებმა 1986 წელს შემოუფრინეს.

ბრენსონისა და ფოსეტის რეკორდული გაფრენის სტარტი თავდაპირველად 2004 წლის აპრილისთვის იყო დანიშნული, მაგრამ ფრენის მონაწილეების შეთანხმებით, იგი მომავალი წლის დასაწყისისთვის გადაიდო, რათა მანამდე შესაძლებელი ყოფილიყო დამატებითი ტესტების ჩატარება. აღსანიშნავია, რომ ბრენსონი, ვინც მთლიანად აფინანსებს პროექტს, სათადარიგო პილოტია იმ შემთხვევისთვის, თუ ფოსეტი ვერ შეძლებს ფრენას. თუმცა, სერ რიჩარდს ჯერაც არ მოუპოვებია მფრინავის ლიცენზია.

რამდენადაც ლიცენზიაზე ჩამოვარდა სიტყვა, ისიც გავიხსენოთ, რომ ბრენსონსა და ფოსეტს ერთობლივად განხორციელებული აქვთ საჰაერო ბურთით სარეკორდო გადაფრენები. ბრენსონს აქვს საჰაერო ბურთით ფრენის ლიცენზია. სამაგიეროდ, სარეკორდო ფრენის გადადების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ის იყო, რომ ბრენსონს თვითმფრინავის მართვის ლიცენზია არ აქვს. ამასთან, რამდენადაც "გლოუბლ ფლაიერიც" ექსპერიმენტული აპარატია, მასაც სჭირდებოდა შესაბამისი ლიცენზია.

ფოსეტი და ბრენსონი მათი წამოწყების ერთ-ერთ მთავარ სულისჩამდგმელად რუტანს მიიჩნევენ, რომელსაც ბრიტანელი მილიარდერი "სუპერ გენიოს ბიჭად" მოიხსენიებს. მისი თქმით, რუტანმა "გლოუბლ ფლაიერის" შესაქმნელად გამოიყენა ის ტექნოლოგია, რითაც რეკორდის მიღწევა გაცილებით იოლი იქნება.

თვითმფრინავის დასამზადებლად გამოყენებულია კომპოზიციური მასალები, რისი წყალობითაც აპარატს მის საკუთარ წონაზე ოთხჯერ მეტი საწვავის ტარება შეუძლია. სწორედ ამის წყალობითაა შესაძლებელი 40-ათასკილომეტრიანი შეუსვენებელი გადაფრენა. გარდა ამისა, ესოდენ დიდ ფარდობით ტვირთამწეობას ფრთების უზარმაზარი გაშლაც (34.5 მეტრი) უზრუნველყოფს.

თვითმფრნავს ერთადგილიანი კოკპიტი გააჩნია და ერთადერთი ტურბორეაქტიული ძრავითაა (უილიამს FJ44-3 ATW) აღჭურვილი, რომელიც კოკპიტის ზურგზეა დამაგრებული. სტარტისთვის გამზადებული თვითმფრინავის წონის (დაახლოებით ათი ტონა) 82 პროცენტს საწვავი შეადგენს, რაც, რუტანის თქმით, გაცილებით მეტია, ვიდრე "ვოიაჯერის" შემთხვევაში.

"ჩვენ ოცნებაც კი არ შეგვეძლო მასის ასეთ პროპორციებზე", - აღტაცებას ვერ ფარავს რუტანი, რომელსაც ფრთების მსგავსი კონსტრუქცია აქვს გამოყენებული თავისი კოსმოსური ხომალდის მზიდ თვითმფრინავ "უაით ნაითშიც".

თვითმფრინავის კონსტრუქციის სიმსუბუქე პირველ რიგში, კარბონისა და პოლიეთერული წებოს კომპოზიტმა განაპირობა. უზარმაზარი ფრთების მიუხედავად, საწვავით გაუწყობელი "გლოუბლ ფლაიერის" ანგარიდან გამოგორება ცალი ხელითაც კი შეიძლება. თვითმფრინავი იმდენად მსუბუქია, რომ სარეკორდო ფრენს მიწურულს, გარე დახმარების გარეშე მისი დასმა შეუძლებელი იქნება. რუტანის თქმით, დასმის დროს სპეციალური პარაშუტი იქნება გამოყენებული.

მოსალოდნელია, რომ სარეკორდო ფრენა სულ 80 საათს გასტანს და მთელ დროს "გლოუბლ ფლაიერი" სტრატოსფეროში, ზღვის დონიდან 12-14 კილომეტრის სიმაღლეზე გაატარებს. მიზნის მისაღწევად მოგზაურები ჩრდილო ნახევარსფეროს საჰაერო დინების გამოყენებას იმედოვნებენ, რომლის საშუალებითაც თვითმფრინავი მაქსიმალურად დაზოგავს საწვავს.

# კლონირების ექსპერიმენტი - გზა კიბოს განკურნებისკენ

აშშ-ის მასაჩუსეტსის შტატის უაითჰედის ბიოსამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა ექსპერიმენტებულად დაამტკიცეს, რომ გარკეულ პირობებში შესაძლებელია კიბოვანი უჯრედების ნორმალურ უჯრედებად გარდაქმნა.

ცნობილია, რომ კიბო ორგანიზმში მაშინ ვითარდება, როცა გარკვეული გენები სახეცვლილებას განიცდიან, ან როცა მემკვიდრეობით კიბოსადმი მიდრეკილი გენების სახეშეცვლილი ვერსიები, გარე ზემოქმედების გამო იწყებენ მოქმედებას. ეს ხდება ეგრეთ წოდებული ეპიგენეტიკური პროცესების პარალელურად, როცა უჯრედის არაგენეტიკური მოლეკულები აზიანებენ გენს ისე, რომ ამ დროს არ იცვლება დნმ-ის ჯაჭვის თანმიმდევრობა.

ექსპერიმენტების დროს, მკვლევარები კანის კიბოს (მელანომას) უჯრედის ბირთვს (რომელიც დეფექტიან გენეტიკურ კოდს ატარებს) თაგვის კვერცხუჯრედში ათავსებდნენ (კლონირება), რომელიც ისევე ვითარდებოდა, როგორც განაყოფიერებული კვერცხუჯრედი.

მიღებული ემბრიონიდან ხდებოდა ღეროვანი უჯრედების (მათ მშენებელ უჯრედებსაც უწოდებენ, რადგან ნებისმიერი ორგანოს უჯრედად ჩამოყალიბება შეუძლია) ამოღება და მათ მაშინვე ათავსებდნენ თაგვის ჯანმრთელ ბლასტოციტებში (ემბრიონი, რომლის ასაკიც რამდენიმე დღეა). მათზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ზოგიერთი ასეთი ემბრიონი მაინც ჯანმრთელ თაგვად გარდაიქმნებოდა.



"ჩვენი ექსპერიმენტის ყველაზე საინტერესო შედეგი ისაა, რომ კლონირებული მელანომადან აღებული ღეროვანი უჯრედების ჯანმრთელი თაგვის თითქმის ყველა ორგანოში გადანერგვის მიუხედავად, თაგვებში დაავადება არ ვითარდებოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გადაგვარებულ უჯრედებს რევერსირება, ნორმალურ უჯრედად გარდაქმნა შეუძლიათ", - ამბობს ექსპერიმენტის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე რობერტ ბლელოხი.

ექსპერიმენტით დადასტურდა, რომ კიბოს უჯრედებმა, თუნდაც მცირე ხნით, დაკარგეს ავთვისებიანობა. თუმცა, მაშინ, როცა საექსპერიმენტო თაგვებში ხდებოდა კიბოსთან დაკავშირებული გარკვეული გენების აქტივიზაცია, მათში ავთვისებიანი სიმსივნე გაცილებით მაღალი ტემპებით იწყებდა განვითარებას.

ამერიკელ მეცნიერებს ანალოგიური ექსპერიმენტების ადამიანებზე ჩატარებაც სურთ, მაგრამ ამის საშუალებას არ იძლევა აშშ-ის მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც ადამიანის ემბრიონზე კლონირების ექსპერიმენტებს კრძალავს. სამაგიეროდ, მსგავსი ექსპერიმენტები უკვე ნებადართულია დიდ ბრიტანეთში...

## ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზრდება

სან ფრანცისკოში ჩატარებულ ბიოლოგთა კონფერენციაზე ბიოტექნოლოგიის ერთ-ერთმა პიონერმა, დოქტორმა ლეროი ჰუდმა განაცხადა, რომ ახლო მომავალში მეცნიერები შეძლებენ დაავადებათა დიდი ნაწილის გენეტიკის შესწავლას, რაც კაცობრიობას ამ დაავადებათა ეფექტური მკურნალობის საშუალებას მისცემს, ამას კი ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა მოჰყვება.

"ჩემი პროგნოზით, უახლოესი სამი ათეულის წლის განმავლობაში კაცობრიობა ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის საოცარი ზრდის მოწმე გახდება. არაა გამორიცხული, რომ ამ ზრდამ 10-20 წლიწადიც კი შეადგინოს", - აცხადებს ჰუდი და დასძენს, რომ გენეტიკის შესწავლა ძირფესვიანად გარდაქმნის მედიცინას, რომელიც გაცილებით ეფექტური გახდება.

"დაახლოებით ათი წლის შემდეგ მედიკოსების ხელში აღმოჩნდება ნანოტექნოლოგიური ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებითაც ცალკეული პაციენტების გენომის თითზე ჩამოსათვლელ საათებში შესწავლა იქნება შესაძლებელი. შეადარეთ ეს იმ ათას საათს, რომელიც იგივე პროცესს დღეს სჭირდება", - ამბობს ჰუდი.

მისი თქმით, მალე ბიოლოგები თითიდან აღებული სისხლის სინჯის მეშვეობით დაახლოებით 10 ათასი სხვადასხვა ტესტის ჩატარებას შესძლებენ. მიღებული შედეგები კავშრის ფიჭური საშუალებით მიეწოდება სერვერს, რომელიც იმავე კავშირის საშუალებით გამოაგზავნის პასუხს, რომლის მიხედვითაც ექიმი პაციენტს მკურნალობას დაუნიშნავს.

## ჩინელები რთულ მანქანებს ჩვენს ერამდეც იყენებდნენ

ჩინეთში ნაპოვნი უძველესი ნეფრიტული სამკაულების შესწავლის შემდეგ, მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ მათი დამუშავება ადამიანს რთული ხელსაწყოს გარეშე არ შეეძლო. ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევარმა, დოქტორმა პიტერ ლიუმ დაასკვნა, რომ სამკაულების ასაკი დაახლოებით 2550 წელია, მათზე არსებული გეომეტრიულად სწორი სპირალური ჩაღრმავებები კი იმაზე მეტყველებს, რომ მათ დამამზადებლებს სპეციალური რთული ხელსაწყოებით უნდა ემუშავათ, რადგან ხელით ამგვარი ფორმების მიცემა პრაქტიკულად შეუძლებელია.

ლიუს ვარაუდით, ამ სამკაულების შემოქმედს უნდა ჰქონოდა ზუსტი მანქანა, რომელსაც საჭრეთელისთვის რთული მოძრაობის მინიჭების უნარი შესწევდა, ან საჭრეთელის სწორი მიმართულებით მოძრაობის შემთხვევაში, მაგიდის (რომელზეც დამაგრებული იყო დასამუშავებელი ნეფრიტი) ბრუნვით მოძრაობას უზრუნველყოფდა.

ყოველივე კი იმის ნიშანია, რომ ჩინელი ხელოსნები ჯერ კიდევ 25 საუკუნის წინ იყენებდნენ რთულ მოწყობილობას, რომელსაც რამდენიმე დეტალი გააჩნდა.

## ინდოელ ბიჭუნას შიდს-ისა და კიბოს მკურნალობა შეუძლია

11 წლის ინდოელი სოფლელი ბიჭუნა, რომლის ინტელექტუალური დონეც 162 ერთეულითაა შეფასებული, ირწმუნება, რომ მას შიდს-ისა და კიბოს განკურნება შეუძლია. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სოფელ ნოორპურში მცხოვრები ბიჭის, სახელად აკრიტ იასვალი, ინტელექტუალური დონე გაცილებით მეტია ალბერტ აინშტაინისაზე. მის შესაძლებლობებს ორი თვის განმავლობაში სწავლობდნენ ქალაქ მუმბაიში მდებარე კიბოს კვლევის ინსტიტუტის მეცნიერები.

"ზოგჯერ ჩემს სანახავად ერთდროულად 300-მდე პაციენტი მოსულა, რომელთა შორის ექიმებიც იყვნენ. მე ვფლობ ტექნიკას, რომელიც შიდს-თან და კიბოსთან გენეტიკის მეშვეობით ბრძოლის საშუალებას მაძლევს", - ამბობს იასვალი და არ აზუსტებს, თუ კონკრეტულად, რა მეთოდს იყენებს პაციენტების სამკურნალოდ.

ამერიკაში აკრიტ იასვალს უკვე უწოდეს გენიოსი. სასწავლად შვილის უცხოეთში გასაგზავნად, თურმე მის მშობლებს თითქმის მთელი თავიანთი ქონება გაუყიდიათ, მოგვიანებით კი მისთვის ნიუ დელიში ლაბორატორიაც კი მოამზადეს. იასვალი ახლა იმაზე ფიქრობს, რომ განათლება გაიღრმავოს ფარმაცევტული ქიმიის განხრით. თანაც, არც თავისი გამოკვლევების შეწყვეტას აპირებს და არც პაციენტებს ეუბნება მკურნალობაზე უარს.

# აგვისტო



ბესო გულაშვილის ფოტოები









სანდრო ნავერიანი

ცხელა, თან საშინლად ცხელა. წლის ამ პერიოდში ყოველთვის ცხელა. ასე იყო ერთი წლის წინ, ორი საუკუნის წინ და ჩვენ წელთაღრიცხვამდეც ასე იყო. აგვისტოში ყოველთვის ცხელა.

თითებზე ჩამოსათვლელია ისეთი ადგილები, სადაც აგვისტოში არ ცხელა, დანარჩენი მსოფლიო კი იწვის. თბილისში განსაკუთრებული პაპანაქებაა.

თბილისელებს გაგრილების მეთოდიც განსაკუთრებული აქვთ. მაგალითად, ჩემი მეზობელი ტუალეტში შედის გასაგრილებლად - თვითონ მითხრა. მართალია, შარშან მითხრა, მაგრამ მაინც. იქ, მზე საერთოდ არ აღწევს და ამიტომაც გრილაო. არ ვიცი მომატყუა თუ არა, მაგრამ ის თუ მთელი დღე ტუალეტში ზის, საღოლ მაგას. თუმცა არა მგონია ტუალეტში მარტო გასაგრილებლად შედიოდეს. მაგრამ რა დროს ეგენი არიან ამ გაგანია აგვისტოში.

ადრე, თბილისში, წლის ამ პერიოდში, ამდენი ხალხი არასოდეს მინახავს. თუმცა, ალბათ, იმიტომ, რომ ამ დროს თვითონ არასოდეს ვყოფილვარ თბილისში. შეიძლება ითქვას მთელი თბილისი თბილისშია. ალბათ, ესეც სიცხის ბრალია, ისე გვცხელა, რომ ქალაქიდანაც ვერ გავდივართ. ისე, ამ დღეებში, ყური მოვკარი, ვიღაც სამი თბილისელი გოგო ეგეოსის ზღვაზე ყოფილა დასასვენებლად; კიდევ გავიგე, რომ ვიღაც თბილისელი ქალი კოჭორში, აგარაკზე ყოფილა ორი დღით ასული; ერთი-ორი წყნეთიდან ჩამოსულიც ვნახე. მოკლედ, ათიდან ერთი გარუჯულია, კიდევ ერთს მთის ჰაერი აქვს ნაყლაპი, დანარჩენ რვა კი უფულობისგან აგრესიას ვერ თოკავს.

რომ გირჩიოთ დასასვენებლად სად წახვიდეთ, ალბათ, მეტყვით, -შე არანორმალურო, ფული მომე და სენტ ტროპედან ალპებში წავალ ედელვაისების დასაკრეფად, მერე კი ნილოსის აუზიდან ნიანგის კვერცხს ჩამოგიტანო. იფ, იცოცხლე, კარგია ასეთი დასვენება, მაგრამ მთვარეზე მოსაქმება და ჩუსტებით გასეირნება, ცოტა არ იყოს რთული საქმეა.

რა ვქნა, რით დაგეხმაროთ? რა გითხრათ, რით გაგახაროთ? ჩემი ბრალი არაფერია. ერთადერთი, რაც ჩემი ბრალია, ის არის, რომ მე თვითონ ვერ გავტეულვარ ამ მზიანი თბილისიდან. მეც თქვენსავით ვეძებ საშუალებას - როგორმე ცხელი აგვისტო გადავიტანო.

რას აკეთებს აგვისტოში თბილისელი თბილისში? ზოგიერთი, ტელევიზორს, იმედის არხს იმედის თვალით უყურებს და ოლიმპიური თამაშების ტრანსლაციებს ნიჭიერი მზერით ცვეთს. ჩაუჯდება დილიდან და მიდიი, საღამომდე ბუსავით დაჭყეტილი აქვს თვალები. აგვისტოში ასეთი გატარებული დღე შეიძლება ერთხელ იყოს საინტერესო, მაგრამ მეორე და მესამე დღეს იმაზე ფიქრში ატარებ, თუ რა ქნა მეოთხე დღეს.

ზოგი სამსახურში დადის და როდესაც შეეკითხებიან დასასვენებლად რატომ არ მიდიხარო, უფულობისგან დაღლილი გადარეული პასუხობს, შენ ვინ გეკითხებაო, ან ატყუებს, შვებულებას არ მაძლევენო.

არადა, ქალაქში ახალი და საინტერესო არაფერი ხდება, კაცმა გული რომ გადააყოლოს.

სულ რაღაც ოთხი დღის წინ ჩვენმა პრეზიდენტმა გზა დაულოცა ახალ პატრულებს, რომლებიც მერიამდე პიო-პაოს სირენებით მივიდნენ. პრეზიდენტმა იმდენი აქო ახალი პოლიციელები, იმდენი, რომ მერიიდან საპატრულოდ გასულმა ერთ-ერთმა მანქანამ სამუშაო დღის პირველივე წუთზე ავარია მოახდინა. კაი მძღოლი, კაი პოლიციელი, მაგრამ რა დროს ეგენი არიან ამ გაგანია აგვისტოში. თუმცა, 15 აგვისტო მაინც შევა საქართველოს ისტორიაში - უტაქტო და გაუნათლებელი პოლიციელები ახლებმა შეცვალეს, განათლებულებმა და ზრდილობიანებმა.

ამ წერილის წერა მხიარულ გუნებაზე დავიწყე და თან აგვისტოს თბილისელებზე, მაგრამ არ შეიძლება სამხრეთ ოსეთის საკითხს არ შევეხო. შევეხო თორე მეც არ გადავწყვიტო ყველაფერი, მაგრამ მაინც. ამ კოკოითებმა, ჩოჩიევებმა ხო გაგვიწყალეს საქმე. გეგონება რამის თავი ჰქონდეთ. ამოფარებიან პუტინის კალთას და თავი ოსეთის განმათავისუფლებად გამოუყვანიათ. სამწუხაროა, რომ ორი სახელმწიფოს ინტერესებს უდანაშაულო ადამიანები შეეწირნენ. მე არ ვარ პოლიტიკის მანიით შეპყრობილი და არც ანალიზის გაკეთება შემიძლია, ერთადერთი რისი თქმაც მინდა, ის არის, რომ არც ოსეთი, არც აფხაზეთი არ ღირს ადამიანის სიცოცხლედ, თუნდაც ერთი ადამიანის.

აგვისტოს თბილისელების ნაწილს ერთი, მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა აქვთ, რომელსაც დანარჩენი აგვისტოს თბილისელები უქმნიან. საქმე ის არის, რომ ამ გაგანია აგვისტოში სადარბაზოში შეხვალ და აბა თუ მიხვდებით რისი სუნი გცემთ? მართალი ბრძანდებით, სწორად იმის სუნი გცემთ, რაც გაიფიქრეთ და ეს არომატი არც "შანელის", არც "ქელვინ ქლაინის" და არც "კრასნაია მასკვასია", ეს არის შარდის სუნი, რომელიც ისე მძაფრდება, ისე, რომ ბოლოს შეიძლება სპირტიც კი დააყენო. მინდა გავაფრთხილო ყველა ის აგვისტოს თბილისელი, რომელიც ამ საქმით არის დაკავებული - ერთ ადამიანს (შეგნებულად სახელს და გვარს არ ვასახელბ) ყელში ამოუვიდა, ვინმე თუ ფაქტზე დაიჭირა, ნესტოებში თითებს მოკიდებს, გაისვრის და წინა კბილებით კედელში შეარჭობს. ასე რომ, უფრთხილდით, ის ადამიანი შეიძლება ყველგან იყოს, ნებისმიერ სადარბაზოში, მან ომი გამოუცხადა სადარბაზოში მშარდველებს.

და მაინც, თბილისში ცხელა, საშინლად ცხელა, მაგრამ ფული არ არის და მეც თბილისში ვრჩები.

არადა, რა დროს თბილისია ამ გაგანია აგვისტოში.

## TV პროგრამა

19 აგვისტო

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "უკვდავი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.10** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფილმი "ხადსაკერის მემკვიდრე" **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "უკვდავი" **23.00** სერიალი "სოპრანოს კლანი". **00.00** მხ. ფილმი "მონსტრი". მთ. რ-ში: შარლიზ ტერონი, კრისტინა რიჩი (18)ყ

### პირველი არხი

**07.55** მოამბე **08.10** "ღამის მოამბე" გამეორება **09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **09.10** მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" **09.40** იმღერე რამე **10.10** სერიალი "მორიგი მსხვერპლი" **11.00** "მიამბეთ თქვენზე" **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** სერიალი "ფორსაიტების საგა" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "მაია პლისეცკაია" **15.20** სერიალი "ზაფხულის საიდუმლო" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალის გაგრძელება **16.30** დოკ. ფილმი **17.10** მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" **17.35** ჩემი მშვენიერი ლედი **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "სენ-ტროპე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** "მუსიკალური არჩევნები" **00.55** მხ. ფილმი "ვნებათა ორომტრიალი" (12)

### 202

**10.00** დებატები 202-ზე **11.30** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "სასიკვდილო იარაღი-3" (12) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "უკანასკნელი გმირი" (ა. შვარცენეგერი) (12) **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "დიდი გასეირნება" (გ) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "ნიუიორკის ბანდები" (18)

### მზე

**09.00** "ფარული კამერა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "ფანტაზიების კუნძული" **12.10, 21.45** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **13.10** მხ. ფილმი "მომაკვდინებელი იარაღი 4" (გ) (მ. გიბსონი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "დინოტოპია" **17.10** მულტსერიალი "რედვოლი" **17.35** მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" **18.10** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** "ტელეპროცესი. ნოე ჟორდანია" **00.00** მხ. ფილმი "ფროლაინ სმილას თოვლიანი გრძნობები" (18) (ჯულია ორმონდი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა" (გ) **20.10** დოკ. ფილმი "კურსკის ბედი" **21.00** დოკ. ფილმი "სალსის ზღაპრული ისტორია" **22.00** მხ. ფილმი "ლამაზი ჯონი" (15)

### იმედი

**07.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 02.05** ქრონიკა **07.45** ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა **09.15, 01.35** ტვ-მარკეტი **09.45** ოლიმპიური თამაშები: პლაჟის ფრენბურთი, ძიუდო, წყალბურთი (კაცები), კალათბურთი (ქალები) იტალია-ესპანეთი. **13.10** ძიუდო (გაგრძელება), კალათბურთი (გაგრძელება), კრივი. **15.10** ძიუდო (გაგრძელება), კრივი (გაგრძელება), კალათბურთი (კაცები) აშშ-ავსტრალია **17.10** კალათბურთი (გაგრძელება), ძიუდო (ფინალები), ჩოგბურთი (კაცები) (ქალები) **19.20** სერიალი "კლონი" **20.05** ჩოგბურთი (გაგრძელება), კრივი, ცურვა, ფარიკაობა, ძალოსნობა. **22.20** ჩოგბურთი (გაგრძელება), კრივი, ფარიკაობა, ძალოსნობა. **00.05** ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა **02.20** იმედის მელოდიები

### იბერია

**18.00** მხ. ფილმი "იესო" (გ) **20.10** დოკ. ფილმი **21.10** კონცერტი **22.00** მხ. ფილმი "ჰარი - ანგელის გული" (18)

### ОРТ

**06.00** Телеканал "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 10.30, 18.50** Сериал **"КЛОН". 11.30** Дневник XXVIII летних Олимпийских игр. **12.10** Валентин Смирнитский в комедии "Королевская регата". **14.00** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.20** Сериал **"АНГЕЛ НА ДОРОГАХ". 16.30** Документальный детектив. "Алмазная цепь". Дело 2001 года. **17.00** "Личная жизнь Валентины Терешковой". **1**-я серия. **18.20** "Властелины колец". Дневник Олимпиады. **19.50** Сериал **"ЧЕРНЫЙ ВОРОН". 21.00** Время. **22.40** На XXVIII летних Олимпийских играх. **00.00** Спецрасследование. "Острова из безмолвия". "Исповедь палача". **00.50** На XXVIII летних Олимпийских играх. **02.00** Детективный сериал **"24 ЧАСА". 02.50** Триллер **"ТОЧНАЯ КОПИЯ". 04.50** Сериал **"ДОКТОР КУИНСИ".**

### НТВ

**06.00** Утро на НТВ. **08.50** Сериал **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ-2". 10.00** Сегодня утром. **10.25** Квартирный вопрос. **11.20** Ток-шоу "Страна советов". **12.00, 15.00, 17.00, 19.00** "Сегодня" **12.30** Олег Жаков в боевике **"БЕЗ ПРАВА НА ОШИБКУ" 14.25** Время есть. **14.35** Протокол. **15.35** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"МУР ЕСТЬ МУР". 18.35** Протокол. **19.40** Сериал **"РОДИНА ЖДЕТ". 20.50** Сериал **"Я ВСЕ РЕШУ САМА". 22.00** "Страна и мир" **22.45** Бриджит Фонда в боевике **"ВОЗВРАТА НЕТ" 01.00** Сериал **"РОДИНА ЖДЕТ".**

## იაპონური ხატვა

წინა კროსვორდის პასუხი



## სკანვორდი



# საბედისწერო გაფრენა



ცნობილი თრილერის - “ალქაჯი ბლერიდან” კინოოპერატორი ავიაკატასტროფაში დაიღუპა. 35 წლის ნილ ფრედერიკი იმ რეაქტიულ თვითმფრინავში იჯდა, რომელიც ფლორიდის დასავლეთში ზღვაში ჩავარდა. დაღუპულის სამი კოლეგა გადარჩა. თავად ფრედერიკსის გვამი კი მოგვიანებით მეზღვაურებმა იპოვეს.

ოპერატორი ფილმზე, რომელიც ჟანრის კლასიკად ითვლებოდა, სცენარისტებთან და რეჟისორთან - ედუარდო სანჩესი, დენიელ მაირიკომი, - მუშაობდა. სწორედ მათ აქციეს მცირებიუჯეტიანი “ალქაჯი ბლერიდან”-ს სცენარი 1999 წლის ბლოკბასტერად.

# Queen კრემლში



ლეგენდარული Queen ერთადერთ კონცერტს მოსკოვში, კრემლის დარბაზში გამართავს. აქვე აუცილებელია განმარტება, რომ ამ შემთხვევაში ჯგუფის სახეს გიტარისტი ბრაიან მეი და დრამერი როჯერ ტეილორი წარმოადგენენ. კონცერტი 17 ოქტომბერსაა დაგეგმილი, მას შემდეგ რაც დასრულდება სპექტაკლის, ჯგუფის ძირითადი მუსიკალური მემკვიდრეობის - We Will Rock You-ის საპრემიერო ჩვენება.ლეგენდარული ჯგუფის წევრებთან ერთად კონცერტზე გამოვლენ ამ სპექტაკლის რუსული ვერსიის სოლისტებიც.

**ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობა აცხადებს კონკურს შემდეგ თანამდებობებზე: წამყვანები ტელევიზიის გასართობი, შემეცნებითი, საბავშვო-საყმაწვილო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემებისათვის**

**მოთხოვნები**

- ასაკი 25 წლის ზემოთ;
- სასიამოვნო გარეგნობა;
- სასიამოვნო ხმის ტემბრი;
- ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა;
- უცხო ენის ცოდნა;
- გამართული მეტყველება;
- უმაღლესი განათლება;
- ეთერში მუშაობის გამოცდილება (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი);
- ორგანიზებულობა;
- კომუნიკაბელობა;
- გუნდური მუშაობის უნარი.

**ტელევიზიის რუსული, აფხაზური, აზერბაიჯანული, სომხური საინფორმაციო პროგრამების წამყვანები**

**მოთხოვნები**

- ასაკი 25 წლის ზემოთ;
- სასიამოვნო გარეგნობა;
- სასიამოვნო ხმის ტემბრი;
- ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა;
- შესატყვისი ენის - რუსული, აფხაზური, სომხური, ან აზერბაიჯანული - სრულყოფილი ცოდნა;
- გამართული მეტყველება;
- უმაღლესი განათლება;
- ეთერში მუშაობის გამოცდილება (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი);
- ორგანიზებულობა;
- კომუნიკაბელობა;
- გუნდური მუშაობის უნარი.

მსურველებმა ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის მოქალაქეთა მისაღებში უნდა შეავსონ ანკეტები და დაურთონ 3 ფოტო (9X13) - პორტრეტი, სამ სხვადასხვა რაკურსში. ანკეტების მიღება იწარმოებს 18 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე.

**მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 68**

თელავის მერია იყიდის 6 ნახმარ სატვირთო მანქანას (რუსული მარკის, თვითმცლელი, დაბალი ძარით, თვითამწეობა 3 ტონა და მეტი) და 1 ტრაქტორს წინა კოვზით.

გთხოვთ გამოგვეხმაუროთ 20 აგვისტომდე და მოგვაწოდოთ თქვენი მონაცემები: ფასი, დეტალური ტექნიკური აღწერილობა: მანქანის ტიპი, გამოშვების თარიღი, ადგილი, ძრავის ტიპი, კილომეტრაჟი, მუხრუჭის სისტემა, სატვირთო ფართის სიდიდე, მანქანის მდგომარეობა საბურავების ჩათვლით, დასაშვები ტვირთის რაოდენობა.

**ჩვენი მისამართია: 2200 თელავი, ერეკლე II-ის 6,**
**ტელ: 7 14 02, 7 25 44; 8 99 53 63 14, ლევან არჯევანიძე**




თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24










## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.